საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№43 (278)
26 ნოემბერი - 2 დეკემბერი, 2014

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

კვიციანის საქმე და უკანასკნელი ტერცია აფხაზეთში 8

# წინათ ლექიანობა იყო, ახლა კი თურქობა დაიწყო

4




## ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი: საქართველო-თურქეთის საზღვარი მთლიანად მორღვეულია

«მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს, მოიცალოს და დაელაპარაკოს მესაზღვრეებს, თორემ, თუკი სიტუაცია ხელიდან გაექცევათ, თუკი მოსახლეობა შეიარაღდება და ანგარიშსწორებას დაიწყებს, საქმე ცუდად წავა»

7 «ოთხი პოლიციელის დაჭრა მერაბიშვილ-ოქრუაშვილ-ფირცხალავას პროვოკაციაა!»

10 «ამის შემდეგ რომელი ჯარისკაცი დადებს ფიცს და წავა სამშობლოს დასაცავად?!»

11 «პროკურატურამ უნდა გადაწყვიტოს, ვის თამაშს თამაშობს — საქართველოს თუ ძებნილი პრეზიდენტის»

# 11 წელი სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივი დასასრულიდან 6

14



## ირაკლი ალასანია — «ნაციონალების» მიერ ჩანერგილი კადრი «ქართულ ოცნებაში»?

## «ახლა გაგახსენდათ მისი უწმინდესობა, თქვე უწმინდურებო?» 15



12 ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარებაზე ზედმიწევნით ასრულდა

16 ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ოფიცერი დასავლეთის მიერ ორგანიზებული «კიევური პუტჩის» შესახებ

# მაიდნის წლისთავი — ЩЕ НЕ ВМЕРЛА УКРАИНА? 18

20 მილიონობით სექსუალური მონა

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველომ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარება მოითხოვა

**საქართველომ რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის ე.წ. ხელშეკრულების გაფორმების საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარება მოითხოვა.** როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა განაცხადა, საქართველო უკანონო, ე.წ. ხელშეკრულების საკითხს საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში დასვამს.

„გაეროში უკვე მოვითხოვეთ უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარება. ეუთოში უკვე მოვითხოვეთ სპეციალური მუდმივი საბჭოს სხდომის ჩატარება. ამ საკითხს ჩვენ დავსვამთ აქტიურად ევროკავშირში, ევროსაბჭოსა და ნატოში. უკვე განხორციელდა სატელეფონო საუბრები ჩვენს პარტნიორებთან. ე.წ. ხელშეკრულების საკითხს საქართველო მწვავედ დაყენებს ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში 10 დეკემბერს. როგორც მრავალმხრივ, ასევე ორმხრივ ფორმატში საქართველო მტკიცედ სთხოვს საერთაშორისო პარტნიორებს, დაგმონ ე.წ. ხელშეკრულება და მოუწოდონ რუსეთის ფედერაციას, ხელი აიღოს საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისგან“, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა.




# მინისტრებმა და მათმა მოადგილეებმა 8 თვეში 3 მილიონზე მეტი პრემია და დანამატი გამოიწერეს

**მინისტრებმა და მოადგილეებმა 2014 წლის 8 თვის განმავლობაში 3 მილიონზე მეტი ლარი მიიღეს, საიდანაც თითქმის ნახევარი პრემიებსა და დანამატებს შეადგენს, — განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირმა ნადირაშვილმა სპეციალურ ბრიფინგზე. ნადირაშვილი ამბობს, რომ მინისტრები და მათი მოადგილეები ყოველთვიურად დამატებით იღებენ თითქმის ხელფასის ოდენობის თანხებს.**

„2013 წელს „ქართული ოცნების“ მთავრობამ 138 მილიონი ლარით მეტი გასცა პრემიებად და დანამატებად... მან პრობლემის „მოგვარების“ მიზნით ჩამოიყვანა უცხოელი ექსპერტები და შემდგომ მოახსენა საქართველოს მოსახლეობას, რომ კანონმდებლობის ცვლილების შემდეგ შეწყდება უზარმაზარი პრემიების გაცემა. თუმცა რეალობა სხვა აღმოჩნდა — მინისტრები და მათი მოადგილეები ყოველთვიურად იღებენ დამატით, თითქმის ხელსფასის ოდენობის თანხებს. მხოლოდ 2014 წლის 8 თვის განმავლობაში და 3 მილიონზე მეტი ლარი მიიღეს, საიდანაც თითქმის ნახევარი პრემიები და დანამატებია და ეს ხდება იმ ფონზე, რომ საქართველოში უკვე ორი წელია არ გაზრდილა პენსია“, — განაცხადა ნადირაშვილმა. მისივე ინფორმაციით, საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა **მაია ფანჯიკიძემ** დანამატი — 21.680 ლარი, ხოლო პრემია 10.000 ლარი აიღო.

ყველაზე მეტი დანამატი მიღებული აქვს თავდაცვის ყოფილ მინისტრ **ირაკლი ალასანიას** — 43.980 ლარი. **21.680 ლარი მიიღო ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, აგრეთვე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, ჯანდაცვის მინისტრმა, სასჯელაღსრულების მინისტრმა, სპორტის მინისტრმა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მინისტრმა. ამ მინისტრებს პრემიები არ მიუღიათ.** დანამატთან ერთად პრემია მიიღო განათლების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ,** მისი დანამატი — 21.680 ლარს, ხოლო პრემია 6250 ლარს შეადგენს. იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** დანამატი — 21 ათას 680 ლარი, ხოლო პრემია 12 500 ლარი მიიღო. სოფლის მეურნეობის მინისტრმა დანამატი 21 562 ლარი მიიღო, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა — 17 910, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა — 22 068, კულტურის მინისტრმა — 21 444, გარემოს დაცვის მინისტრმა კი — 22 700 ლარი.

**მომზადებულია AMBEBI.GE- ს მიხედვით**

**P.S.საზოგადოების გულისწყრომა სახელმწიფო მოხელეებისთვის გამოწერილ მაღალ ხელფასებსა და პრემიებზე (ახლა სახელფასო დანამატები რომ დაარქვეს), მით უფრო სამართლიანია მწირი პენსიების ფონზე. ეს თემა ბევრ ქვეყანაშია კრიტიკის საგანი. ამერიკელი სენატორი ამერიკელ პენსიონერთან შედარებით 12-ჯერ მეტ გასამრჯელოს იღებს. იტალიელ კანონმდებელს იტალიელ პენსიონერთან შედარებით 20-ჯერ მეტი შემოსავალი აქვს, ხოლო გერმანიაში ეს მაჩვენებელი 9-ჯერ მეტია. ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანში დეპუტატს პენსიონერთან შედარებით, 10-ჯერ მეტი შემოსავალი აქვს.**

**დღეს საქართველოში მინისტრს პენსიონერთან შედარებით 33-ჯერ მეტი შემოსავალი აქვს. პარლამენტარს — 25-ჯერ მეტი. ქვეყნის პრეზიდენტის თანამდებობრივი სარგო კი 6.700 ლარია.**

## იააპ დე ჰოოპ სხეფერი:

# დღეს საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების შესაძლებლობას ვერ ვხედავ

**უკრაინული გამოცემა „Зеркало недели“, აქვეყნებს ნატოს ყოფილი გენერალური მდივნის — იააპ დე ჰოოპ სხეფერის განცხადების შესახებ სტატიას, სადაც სხეფერი არასწორ ქმედებად მიიჩნევს იმას, რომ ევროკავშირი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსი უკრაინას ამ ორგანიზაციებში გაწევრებას ჰპირდება, თუმცა ბრიუსელმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს მიზანი, რბილად რომ ვთქვათ, კიევისაგან ძალიან შორს არის.**



ნატოს ექსგენმდივნის თქმით, ბრიუსელმა კიევს ტყუილი დაპირება არ უნდა მისცეს, რადგან: პირველი — დიდი დრო სჭირდება უკრაინაში რეფორმების განხოციელებას და მეორე — ევროკავშირის წევრი ზოგიერთი სახელმწიფო უკრაინის მიღებას მაინც დაბლოკავს, რუსეთის ნეგატიური რეაქციის გამო. ეს იაპ დე ჰოოპ-სხეფერმა ჰააგაში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განაცხადა

„სწორად გამიგეთ: მოდით, ნუ მივცემთ უკრაინას ტყუილ დაპირებებს, რომ ის ევროკავშირის წევრი გახდება. ეს ჩვენი მხრიდან ულირსი საქციელი იქნება. ხომ ვიცით, რომ ჩვენი დაპირება არ განხორციელდება... ყველამ ვიცით, რომ უკრაინას კორუფციასთან სერიოზული ბრძოლა მოუწევს, აუცილებელი კანონის უზენაესობის დაცვა, მმართველობის ნორმალური სიტემის შექმნა“, — განაცხადა ნატოს ყოფილმა ხელმძღვანელმა. მისი თქმით, თუ ევროკავშირს მართლა სურს უკრაინის დახმარება, მან უნდა დაიკისროს პასუხისმგებლობა იმაზე, რასაც ბრიუსელი უკრაინას, საქართველოს და მოლდოვას დაჰპირდა — ხელი შეუწყოს ამ ქვეყნების ევროატლანტიკური ინტეგრაციისაკენ რეალურ სწრაფვას.

იააპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა, რომ ვერ ხედავს უკრაინას ნატოში იმიტომ, რომ ალიანსის წევრებში დღესაც არიან ის სახელმწიფოები, რომლებსაც კიევის მიღების გაგონებაც არ სურთ: **„მე ვერ ვხედავ დღევანდელ სიტუაციაში საქართველოსა და უკრაინის მიღების შესაძლებლობას, რომ ეს ქვეყნები აუცილებელ მოთხოვნებს შეასრულებენ თავიანთი ევროატლანტიკური სწრაფვის რეალიზების მიზნით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვხედავ — ჩვენ (ნატოს წევრებს) შორის სხვადასხვა აზრია. ხომ გახსოვთ, რომ [ნატოს] ბუქარესტის სამიტზე გერმანია და საფრანგეთი „ძალიან-ძალიან“ წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოსა და უკრაინისათვის „მაპ“-ის მიცემის საკითხში, ნატოში გაწევრების მიზნით“,** — ხაზი გაუსვა ალიანსის ყოფილმა გენმდივანმა.

იააპ დე ჰოოპ სხეფერმა აღიარა, რომ უკრაინის ევროატლანტიკური კურსისათვის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი პრობლემა რუსეთის რეაქციაა, კერძოდ, ვლადიმერ პუტინის პოზიცია. გარდა ამისა, ნატოს ყოფილი ხელმძღვანელი თვლის, რომ სწორედ ევროკავშირი ახდენს თავისი დაპირებებით პუტინის პროვოცირებას, არადა, ამგვარი დაპირებების შედეგი საქართველოს მაგალითზე უკვე ცნობილია.

> **«მე ვერ ვხედავ დღევანდელ სიტუაციაში საქართველოსა და უკრაინის მიღების შესაძლებლობას, რომ ეს ქვეყნები აუცილებელ მოთხოვნებს შეასრულებენ თავიანთი ევროატლანტიკური სწრაფვის რეალიზების მიზნით. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვხედავ, — ჩვენ შორის სხვადასხვა აზრია. ხომ გახსოვთ, რომ ნატოს ბუქარესტის სამიტზე გერმანია და საფრანგეთი «ძალიან-ძალიან» წინააღმდეგნი იყვნენ საქართველოსა და უკრაინისათვის «მაპ»-ის მიცემის საკითხში, ნატოში გაწევრების მიზნით»**


Georgian Prime Minister Irakli Garibashvili Says His Country Still Committed to Europe
Abrupt Departures of Several Cabinet Members Alarmed Western Leaders
By NAFTALI BENDAVID
BRUSSELS—Georgian Prime Minister Irakli Garibashvili insisted Monday that his country won't swerve from its Western track despite the recent departure of several top pro-European ministers.
Georgia's Prime Minister Irakli Garibashvili speaks during a news briefing in Tbilisi, on Nov. 5. REUTERS

## The Wall Street Journal:

# ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ მისი ქვეყანა ევროპის ერთგული რჩება

**„საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ამბობს, რომ მისი ქვეყანა ევროპის ერთგული რჩება“, — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა The Wall Street Journal-i ნაფტალი ბენდავიდის სტატიას.**

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, გასულ კვირას ბრიუსელში მყოფი ირაკლი ღარიბაშვილი ამტკიცებდა, რომ მისი ქვეყანა არ გადაუხვევს დასავლურ გზას, მიუხედავად რამდენიმე პროევროპული მინისტრის თანამდებობიდან წასვლისა.

ბრიუსელში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი მას შემდეგ შედგა, რაც საქართველოს პრემიერმა თავდაცვის მინისტრი გადააყენა თანამდებობიდან, ამას მოჰყვა საგარეო საქმეთა მინისტრისა და ევროპისა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის მინისტრების თანამდებობიდან წასვლა, რამაც შეაშფოთა დასავლელი ლიდერები.

**როგორც THE WALL STREET JOURNAL-თან საუბრისას ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, მისი მთავრობა ევროპული გზის ერთგული რჩება და ყოფილი მინისტრების განცხადებები უპასუხისმგებლო იყო.**

როგორც სტატიაშია ნათქვამი, ირაკლი ღარიბაშვილი დარწმუნებულია, რომ გადალახავს ევროპულ სკეპტიციზმს. თუმცა, სტატიის ავტორის თქმით, როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთ ევროპელ ოფიციალურ პირს ჯერაც სჭირდება გადარწმუნება.

> „ჩვენ დავიწყებთ „სითი პარკთან” ხელშეკრულების გაწყვეტის პროცედურას ან ხელშეკრულებაში ცვლილებებს შევიტანთ“, — განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

## დავით ნარმანია:

# «სითი პარკმა» თბილისი უნდა დატოვოს!



„კომპანია „სითი პარკთან” დაკავშირებით დავიქირავეთ უცხოური საკონსულტაციო კომპანია, რომელიც შეისწავლის ხელშეკრულებას და უახლოეს ორ-სამ კვირაში მოგვცემს საბოლოო დასკვნას, რის შემდეგაც ჩვენ დავიწყებთ „სითი პარკთან” ხელშეკრულების გაწყვეტის პროცედურას ან ხელშეკრულებაში ცვლილებებს შევიტანთ. ჩემი პოზიცია ძალიან პრინციპულია — კომპანია „სითი პარკმა” უნდა დატოვოს თბილისი.

**მოსახლეობის ინტერესი არ არის გათვალისწინებული, ფული კი გაედინება გარეთ, არც კი ვიცით — სად. ეს არის ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია და უცნობია, ვინ დგას მის უკან. ისევე, როგორც „აუთ დორის” შემთხვევაში, რომელსაც 2021 წლამდე აქვს დედაქალაქის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნებართვის გაცემის ექსკლუზიური უფლება.** მაგრამ მოქმედი კანონმდებლობით ეს უკვე მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაა, ამიტომ კანონით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მკაცრად ვითხოვთ, თამაშის წესების დადგენას, რათა არავინ იყოს ქალაქში გარე რეკლამის განთავსების მონოპოლისტი”, — განაცხადა თბილისის მერმა.

> **«მოსახლეობის ინტერესი არ არის გათვალისწინებული, ფული კი გაედინება გარეთ, არც კი ვიცით — სად. ეს არის ოფშორში დარეგისტრირებული კომპანია და უცნობია, ვინ დგას მის უკან. ისევე, როგორც «აუთ დორის» შემთხვევაში, რომელსაც 2021 წლამდე აქვს დედაქალაქის ტერიტორიაზე გარე რეკლამის ნებართვის გაცემის ექსკლუზიური უფლება»**

ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლიტვის ჯანდაცვის მინისტრმა ღარიბების მოკვდინებისკენ მოუწოდა

**ევთანაზია შეიძლება კარგი არჩევანი იყოს იმ ღარიბებისთვის, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ სამედიცინო დახმარებაზე. ღარიბი პაციენტების საკითხის ასე მოგვარებისკენ მოუწოდა ლიტვის ჯანმრთელობის ახალმა მინისტრმა რიმანტე შალაშიავიჩიუტემ, რომელიც ამ პოსტზე ამა წლის ივლისში დაინიშნა.** შალაშიავიჩიუტემ მყისვე დაიწყო დისკუსია ლიტვაში ევთანაზიის ლეგალიზებაზე და ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ლიტვა არ არის სოციალისტური სახელმწიფო, სადაც პალიატიური (მიდგომა, რომლის დროსაც სწავლობენ სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადებით სნეული პაციენტისა და მისი ოჯახს მდგომარეობას და ცდილობენ მის დახმარებას) დახმარება ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვისაც ეს სჭირდება, და ამიტომ ევთანაზია შეიძლება, მისაღები გადაწყვეტილება აღმოჩნდეს იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც „არ სურთ თავიანთი ტანჯვის ცქერით ნათესავების შეწუხება“. ლიტვის ჯანმრთელობის მინისტრმა დღის წესრიგში, აგრეთვე, დააყენა „პედიატრიული ევთანაზიის“ საკითხიც. ქალბატონმა რიმანტემ განაცხადა, რომ ეს „უფლება“ უკვე აქვთ ბელგიელ ბავშვებს.

NEO
New Eastern Outlook

### პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი:

# დღეს აშშ არადემოკრატიული, ოლიგარქიული საზოგადოებაა!

**პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თანამედროვე გეოპოლიტიკაზე მრავალი წიგნის ავტორი უილიამ ენგდალი Journal-neo.org-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში წერს, რომ ბოლო 40 წლის განმავლობაში ამერიკელმა საზოგადოებამ განიცადა ცვლილებები, რომლებიც ნეგატიურად აისახა მოქალაქეების უფლებებსა და თავისუფლებებზე.**

„დასავლეთს უყვარს რუსეთის დადანაშაულება, რომ ის სხვადასხვა ოლიგარქიული სტრუქტურების სამშობლოდ იქცა. მაგრამ გასული საუკუნის 90-იან მშფოთვარე წლებში რუსეთში ოლიგარქების გამოჩენის თავიდან აცილება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ მათი უმრავლესობა იყო და არის პატრიოტი, თავისი ქვეყნის ინტერესების დამცველი. რაც შეეხება აშშ-ს, **პრინსტონისა და ჩიკაგოს გარეუბნებში მდებარე ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტების ერთობლივად ჩატარებული გამოკვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ამერიკელმა ოლიგარქებმა პრაქტიკულად გადათელეს ხელისუფლება აშშ-ში.**



1981-2002 წლების 1800 საკანონმდებლო ინიციატივის გამოკვლევის შედეგებით მტკიცდება, რომ ვაშინგტონის მიერ „დემოკრატიული ფასეულობების“ ფართოდ რეკლამირების მიუხედავად, ამერიკის მოქალაქე, პრაქტიკულად, უძლურია, გავლენა მოახდინოს თავისი ქვეყნის პოლიტიკაზე.




**ამერიკის შეერთებულ შტატებში ძირითად გადაწყვეტილებებს იღებენ არა პოლიტიკური პარტიები, არამედ გავლენიანი ლობისტური ჯგუფები, რომლებსაც, დასახული მიზნების მისაღწევად ძალუძთ, სახელმწიფოს პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ზემოქმედებით**“. — წერს უილიამ ენგდალი.

სტატიის ავტორი აღნიშნავს, რომ, დედის ძალისხმევით შეძლო მსოფლიოში ერთ-ერთი პრესტიჟული სასწავლებლის დამთავრება, რადგან იმხანად სწავლების ფასი 650 დოლარი იყო. ამ თანხით მშობლებს შეეძლოთ, თავიანთი პირმშოსთვის ან ნახმარი „შევროლე“ ეყიდათ, ან სასწავლებლად გაეგზავნათ. დღეს კი პრინსტონის უნივერსიტეტში სწავლის საფასური წელიწადში 42 ათას დოლარს შეადგენს, რის გამოც აშშ-ის ოჯახების დიდ უმრავლესობას საშუალება არ აქვს, თავის შთამომავალს კარგი განათლება მისცეს.

ოლიგარქიულმა სტრუქტურებმა აშშ-ში არა მხოლოდ კონტროლი დაამყარეს სახელმწიფოზე, არამედ „უბრალო მოკვდავებისთვის“ მმართველობის ბერკეტებისკენ მიმავალი გზების გადაკეტვით თვითწარმოება უზრუნველყვეს.

**«ამერიკის შეერთებულ შტატებში ძირითად გადაწყვეტილებებს იღებენ არა პოლიტიკური პარტიები, არამედ გავლენიანი ლობისტური ჯგუფები, რომლებსაც, დასახული მიზნების მისაღწევად ძალუძთ, სახელმწიფოს პოლიტიკაზე გავლენა მოახდინონ ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე ზემოქმედებით»**



### ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი:

# უკრაინა ნატოსა და ევროკავშირში ვერ შევა

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ნატოში უკრაინის გაწევრების წინააღმდეგ გამოვიდა. SPIEGEL ONLINE-სთვის მიცემულ ინტერვიუში ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა განაცხადა, რომ „უკრაინასა ნატოს შორის შესაძლებელია პარტნიორობა, მაგრამ არა უკრაინის წევრობა ამ ალიანსში”.**

გარდა ამისა, გერმანელი დიპლომატის განცხადებით, უკრაინა ვერ გაწევრდება ევროკავშირში „საკმაოდ შორეულ პერსპექტივაშიც კი”, რადგან კიევმა ამისთვის პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები უნდა განახორციელოს, რასაც არაერთი თაობის მუშაობა დასჭირდება. შტაინმაიერი საჭიროდ მიიჩნევს ამ საკითხზე „სპეკულაციები შეწყდეს”.

### ჯეიმს პეტრასი:

# «ყველაფერი ან არაფერი!» — ასეთია ნატოს სტრატეგია უკრაინაში

**„უკრაინაში ომი მომავალში მისი ესკალაციის გზით მიდის. უზენაესი რადის ფიქტიურმა არჩევნებმა კიევის ხუნტას ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში სრულმასშტაბიანი სამხედრო შეტევის დაწყებისა და დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობისკენ, ამ ოლქებიდან სახალხო ლაშქრის განიარაღებისა და ეთნიკური წმენდის განხორციელებისკენ უბიძგა“, — წერს გამოცემა Clobal Research-ში ნიუ იორკის ბინგჰემპტონის უნივერსიტეტის პროფესორი ჯეიმს პეტრასი.**

„ნატომ უკრაინაში უკომპრომისო სტრატეგია აირჩია: „ყველაფერი ან არაფერი!“ სრულიად უკრაინის დასაპყრობად უკრაინელების ხელით ანგრევენ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთს, ანადგურებენ მის მოსახლეობას და საწარმოებს, აგრეთვე, აწარმოებენ მასშტაბურ ეკონომიკურ ომს რუსეთთან.

ნატომ უკრაინას მრავალმიზნობრივი ამერიკული სამხედრო ბაზის როლი მოუმზადა აღმოსავლეთ ევროპაში.

რუსეთის მიმართ დაწესებული თითოეული ეკონომიკური სანქცია მიმართულია დონბასში რუსეთის პოზიციების დასასუტებლად, რათა გატეხონ უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთის მოლაშქრეების წინააღმდეგობა“, — აღნიშნავს პეტრასი, რომლის აზრით, რუსეთის მიერ დონბასისა და ლუგანსკის ოლქში ჰუმანიტარული ტვირთის ყოველი გაგზავნა — საკვების, წამლების, საშენი მასალების — კიევის ისტერიკას იწვევს იმიტომ, რომ რუსეთის ქმედება ეწინააღმდეგება ნატოს სტრატეგიას — სიცივითა და შიმშილით გაანადგუროს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრებლები და ასე გაწმინდოს ეს ტერიტორია.



**«ნატომ უკრაინაში უკომპრომისო სტრატეგია აირჩია: «ყველაფერი ან არაფერი!» სრულიად უკრაინის დასაპყრობად უკრაინელების ხელით ანგრევენ ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთს, ანადგურებენ მის მოსახლეობას და საწარმოებს, აგრეთვე, აწარმოებენ მასშტაბურ ეკონომიკურ ომს რუსეთთან. ნატომ უკრაინას მრავალმიზნობრივი ამერიკული სამხედრო ბაზის როლი მოუმზადა აღმოსავლეთ ევროპაში»**



### ჯონ მაკკეინი:

# უკრაინელების უაზროდ დაღუპვის გამო ობამას ისტორია გაასამართლებს

**უკრაინის ხელისუფლებისადმი მხარდამჭერი გამოსვლებით განთქმულმა რესპუბლიკელმა ჯონ მაკკეინმა განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ პასუხი უნდა აგოს „უდანაშაულო უკრაინელების უაზრო დაღუპვისთვის “. ამერიკელი სენატორის აზრით, ამერიკის ლიდერს „ისტორია გაასამართლებს“ იმის გამო, რომ ვაშინგტონმა უკრაინას იარაღი არ მიაწოდა.**

„ამ პრეზიდენტს ისტორია გაასამართლებს არა მხოლოდ როგორც წარუმატებელ ლიდერს, არამედ როგორც პასუხისმგებელ პირს უდანაშაულო უკრაინელების უაზროდ დაღუპვის გამო“, — განაცხადა სენატში გამოსვლისას რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა ჯონ მაკკეინმა.

მაკკეინი უკრაინის საკითხისადმი უფრო მკაცრი მიდგომით გამოირჩევა, ვიდრე აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცოტა ხნის წინათ გამართული არჩევნების შედეგების მიხედვით, აშშ-ის სენატში რესპუბლიკელებმა შესამჩნევად გაიძლიერეს პოზიციები და ახლო მომავალში ისინი თეთრ სახლზე ზემოქმედებას დაიწყებენ უკრაინისთვის იარაღის მიწოდების მოთხოვნით.

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„იმის საშუალება მაინც მოგვცენ, კოდორის ხეობაში „მონადირე“ რომ იყო, ისეთი დაჯგუფება შევქმნათ და თავი დავიცვათ. ამას ნამდვილად შევძლებთ. აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ და ბრძოლის არ მეშინია. მოსახლეობა საზღვარსაც დავიცავთ“.

სეს სურსათის ეროვნული სააგენტო

## სურსათის ეროვნული სააგენტო მოსახლეობას მიმართავს, შპს «კედარის» ნახევარ-ფაბრიკატები არ მიირთვას

**როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, შპს "კედარის" მიერ 9 ოქტომბერს გამოშვებულ გაყინულ ხინკალში აღმოჩენილია "ლისტერია მონოციტოგენეზი" — პათოგენური მიკროორგანიზმი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის, განსაკუთრებით — ბავშვებისა და ორსული ქალების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, შპს „კედარს” საწარმოო პროცესი დღემდე შეჩერებული აქვს, მაგრამ ქსელში კვლავ არის განთავსებული მის მიერ ოქტომბერში წარმოებული ნახევარფაბრიკატები, რაც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, საფრთხის შემცველი იყოს.

სურსათის ეროვნული სააგენტო კიდევ ერთხელ მოუწოდებს მოსახლეობას, თავი შეიკავოს შპს „კედარის“ მიერ წარმოებული პროდუქციის მიღებისაგან. ამჟამად მიმდინარეობს ნედლეულის შესწავლა და უახლოეს პერიოდში დადგინდება, რა გზით დაბინძურდა ეს ნახევარფაბრიკატები პათოგენური მიკროორგანიზმებისაგან, ამის შესახებაც დამატებით ინფორმაცია გავრცელდება.

## სურსათის ეროვნული სააგენტო: წყლის 2911 ნიმუშიდან 837 დადგენილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს

**წყლის 2911 ნიმუშიდან 837 დადგენილ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა, –განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტირების დეპარტამენტის უფროსმა გიორგი მიქაძემ.**

„აღებული წყლის 2911 ნიმუშიდან 837 არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. 80% დარღვევების მოდის მიკრობიოლოგიურ დარღვევებზე. მეტი წილი დარღვევებისა მოდის სასმელი წყლის მილებზე. განსაკუთრებით ეს ეხება რეგიონებს”,— თქვა მიქაძემ.

გამოვლენილი დარღვევის გამო 281 ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა 400 ლარით, 17 კი— 1200 ლარით. საწარმოო პროცესი შეუჩერდა 98-ს.



«ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ქართველის ხელიც ურევია. ქართველს თურქი ქურდები ბოსლამდე მიჰყავს, მაგრამ იქ უკვე თურქები თვითონ ირჩევენ, რომელი საქონელი წაიყვანონ, რომელიც არ მოსწონთ, ტოვებენ»

ლერი ოქრომელიძე:

# წინათ ლეკიანობა იყო, ახლა კი თურქობა დაიწყო

**პოლიტოლოგები ცხელ რეგიონად მიიჩნევენ აჭარას, სადაც, თურქების გაძლიერების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა დიდი პრობლემების წინაშე დგას, უკვე ეთნიკური კონფლიქტებიც შეინიშნება, მაგრამ არანაკლებ პრობლემური ტერიტორიაა სამცხე-ჯავახეთი, რომელზეც ამბობენ, რომ "გაუთამაშებელი კარტია". „საქართველო და მსოფლიოს“ ასპინძის რაიონის მცხოვრები ლერი ოქრომელიძე დაუკავშირდა და რაიონში არსებული პრობლემის შესახებ უამბო:**

«შარშან, ნოემბერში 30 სული მსხვილფეხა საქონელი, ფურები წაიყვანეს. წელს, აპრილში 57 სული საქონელი მოჰპარეს ერთ-ერთ გლეხს, 15 ნოემბერს კი ჩემი 35 სული მსხვილფეხა საქონელი გაიტაცეს. მაშინვე პოლიციას შევატყობინეთ, ცხელ კვალს გავყევით და თურქეთის საზღვარს მივადექით — მდინარე ქარზამეთის ნაპირებთან, გაღმა მხარე უკვე თურქეთია»

—**შარშან, ნოემბერში 30 სული მსხვილფეხა საქონელი, ფურები, წაიყვანეს. წელს, აპრილში 57 სული საქონელი მოჰპარეს ერთ-ერთ გლეხს, 15 ნოემბერს კი ჩემი 35 სული მსხვილფეხა საქონელი გაიტაცეს. მაშინვე პოლიციას შევატყობინეთ, ცხელ კვალს გავყევით და თურქეთის საზღვარს მივადექით — მდინარე ქარზამეთის ნაპირებთან, გაღმა მხარე უკვე თურქეთია**. საქონლის ნაფეხურები შესამჩნევი იყო. პოლიციამ თავისი თვალით ნახა ყველაფერი, მათ უცბადვე შეატყობინეს თურქეთის სასაზღვრო ჯარის ხელმძღვანელობას, მათაც თითქოს სწრაფად მოახდინეს რეაგირება, ფოტოები გადაიღეს და... ამით ამოიწურა ყველაფერი. **წინათ ლეკიანობა იყო, ახლა კი თურქობა დაიწყო!**

— ვინმეს თუ მიმართეთ, მაგალითად, თქვენი რაიონის დეპუტატს, იცით, ვინ არის?

— **ჩვენი დეპუტატი არის ტარიელ ლონდარიძე, მან ყველაფერი იცის და დაგვპირდა, პარლამენტში ამ საკითხს აუცილებლად განვიხილავო. პატარა ამბავი ხომ არ არის, სოფლიდან უკვე 160 სული საქონელია გატაცებული.**

ყველა დიდი გულისყურით გვისმენს და ლამაზად გველაპარაკება, მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ადგილობრივი პოლიცია იმ ადამიანებს ეძებს, რომლებიც თურქებს ხელს უწყობენ. ხომ იცით, ციხე შიგნიდან ტყდება! ჩვენიანის ხელი რომ ურევია, ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ, აბა, ჩვენ ხელი ვის დავადოთ? პოლიცია კი ჯერ დამნაშავეს ვერ პოულობს.

**— ადგილობრივი ხელისუფლება რას ამბობს, რაიმე ღონისძიებებს თუ მიმართა, მაგალითად, თურქეთის მხარეს თუ შეატყობინა?**

— ცდილობენ, მაგრამ რა გითხრათ, ჩვენ ისეთი განცდა გვაქვს, რომ ღვთის ანაბარად ვართ მიტოვებულნი.

**— საზღვარს ჩვენი ჯარი არ იცავს?**

— როგორ არ იცავს. პრეტენზიაც მაგათთან გვაქვს, ბევრი დამთხვევაა. ჩვენ სასაზღვრო ჯარს დროებითი პოსტები აქვთ, იქ თოვლის მოსვლამდე არიან. ჩვენი საქონელი სასაზღვრო ჯარის პოსტს 300 მეტრით დაშორებული ადგილიდან გაარეს. ამ დროს იქ, ვიდრე თოვლი არ მოსულა, ღამის ხედვის აპარატურა უნდა მოქმედებდეს და პროჟექტორები ანათებდეს. **ერთ-ერთ ოფიცერს წამოსცდა, საიდან იცით, ვინ იყო, როცა აპარატურა დამჯდარიაო. ჯერ ერთი, უახლესი აპარატურა დამჯდარი რატომ არის და თუნდაც ყოფილიყო, ისეთი ტრიალი მინდორია, შეუძლებელია, იქ რამე არ შეამჩნიო და გამოგეპაროს.**

სასწრაფოდ უნდა გაძლიერდეს საზღვრის დაცვა. იმიზეზებენ, ჯარისკაცები ცოტა გვყავს და იღლებიანო. საქართველოს მთავრობამ აუცილებლად უნდა შეატყობინოს თურქეთის მთავრობას, რა ვითარებაა ასპინძაში. ადრე ასეთი რამ რომ მოხდა, ჯარისკაცები გაყარეს სამსახურიდან, მაგრამ ეს საქმეს არ შველის. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, რადგან ამას უფრო ცუდი ამბებიც მოჰყვება.

**— რას გულისხმობთ?**

— რას და, ხომ შეიძლებოდა, ჩემი საქონელი რომ მიჰყავდათ, დამენახა, თავს ხომ აუცილებლად შევაკლავდი!

**— თუ ხელისუფლებამ არაფერი მოიმოქმედა, მოსახლეობა თავის დაცვას როგორ აპირებს?**

— არ ვიცი, თუ არაფერი გააკეთეს, **იმის საშუალება მაინც მოგვცენ, კოდორის ხეობაში „მონადირე“ რომ იყო, ისეთი დაჯგუფება შევქმნათ და თავი დავიცვათ, ამას ნამდვილად შევძლებთ. აფხაზეთის ომის მონაწილე ვარ და ბრძოლის არ მეშინია. მოსახლეობა საზღვარსაც დავიცავთ.**

მოდიან და მეკითხებიან, გვითხარი, ვინ შეიძლება ეხმარებოდეს თურქებსო, ვის დავადო ხელი, ვინ გავაუბედურო?

**— პოლიცია ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ამას ქართველები აკეთებენ...**

— იცით, თურქი ასე იოლად ვერ გადმოვა და ზუსტად იმ ოჯახს ვერ მიადგება, რომელსაც ბევრი საქონელი ჰყავს. **ამ საქმეში, რა თქმა უნდა, ქართველის ხელიც ურევია. ქართველს თურქი ქურდები ბოსლამდე მიჰყავს, მაგრამ იქ უკვე თურქები თვითონ ირჩევენ, რომელი საქონელი წაიყვანონ, საუკეთესოს არჩევენ, რომელიც არ მოსწონთ, ტოვებენ.** ამას დრო სჭირდება, ამიტომ რამდენიმე ადამიანი ერთობლივად მუშაობს.

**— ადრე თუ ყოფილა მსგავსი რამ?**

— კი. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, ასეთი შემთხვევები იყო, ნელ-ნელა დაიწყო და ახლა უკვე ამ მდგომარეობამდე მივედით.

**— მხოლოდ საქონელი მიჰყავთ? ადამიანების გატაცების ფაქტებიც ხომ არ არის?**

— არა, ადამიანები არ გაუტაცნიათ, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, შემთხვევით პატრონი რომ შეხვდეთ, აუცილებლად ესვრიან. **ნინოწმინდისა და ახალქალაქის მხარეს უნახავთ კარგად შეარაღებული დაჯგუფებები. არ ვიცი, ჭორია თუ მართალი, მაგრამ ხალხი ასე ლაპარაკობს.**

საქართველო, განსაკუთრებით — ჩვენი მხარე, დღემდე იმიტომ არსებობს, რომ დაცემაც ვიცით და ფეხზე ვაჟკაცურად წამოდგომაც, მაგრამ **ხომ შეიძლება, ვიღაცამ ყურადღება მოგვაქციოს. მგონია, რომ ამ ფაქტის გახმაურება არ სურთ. არადა, დასამალი რა არის?** პრობლემა თავშივე რომ მოგვარდეს, უკეთესი არ იქნება? აგერ შიდა ქართლში საზღვარი თითქმის ნატახტრამდეა მოსული,

▶

მსოფლიო

## ტეხასის გუბერნატორმა ობამას ქმედებას «უკანონობის განხორციელება» უწოდა

**ტეხასის გუბერნატორმა გრეგ ებოტმა მწვავედ გააკრიტიკა პრეზიდენტ ბარაკ ობამას საიმიგრაციო პოლიტიკა. ებოტმა განაცხადა, რომ ობამას ქმედება ამერიკის კანონმდებლობას არ შეესაბამება.**

ტეხასის გუბერნატორი აპირებს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმიგრაციის შესახებ ობამას მიერ ხელმოწერილი საკანონმდებლო აქტის გამო. გუბერნატორი დარწმუნებულია, რომ ახალი კანონი აშშ-ში არალეგალური მიგრაციის ზრდას შეუწყობს ხელს.

„პრეზიდენტ ობამას ყოველი ქმედება, როცა ის კატეგორიულ უარს ამბობს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებაზე, უკანონობაა. მისი ეს განკარგულება ხელს შეუწყობს არალეგალური მიგრაციის ზრდას, რაც ტეხასს მილიონები დაუჯდება“. — განაცხადა გრეგ ებოტმა ტელეარხ FoxNews-ის ეთერში.

უფრო ადრე ბარაკ ობამამ ტელემიმართვაში განაცხადა, რომ საიმიგრაციო რეფორმას კონგრესის მხარდაჭერის გარეშე განახორციელებს და მილიონობით არარეგისტრირებულ მიგრანტს დახმარება შესთავაზა.



**აქ თურქებმა მას შემდეგ დაიწყეს საზღვარზე გადმოსვლა, რაც 1992 წელს ყარსის ხელშეკრულება ვაღიარეთ და მისი რატიფიკაცია მოვახდინეთ. მასში გარკვევით წერია, რომ თურქებს შეუძლიათ, სამეურნეო საქმიანობის მიზნით ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდნენ.**

SOS
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# «საზღვართან დაძაბული ურთიერთობა, შეიარაღებული ჯგუფების გადმოსვლა, საქონლის გატაცება ახალი არ არის, კარგად დავიწყებული ძველია»

## «ნინოწმინდისა და ახალქალაქის მხარეს უნახავთ კარგად შეიარაღებული დაჯგუფებები. არ ვიცი, ჭორია თუ მართალი, მაგრამ ხალხი ასე ლაპარაკობს»

◀ აქაც იგივე ხომ არ უნდა დაგვემართოს?

მოგვხედონ, აუცილებლად მოგვხედონ!

***

**ასპინძის რაიონის მცხოვრებ ლერი ოქრომელიძის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმების მიზნით „საქართველო და მსოფლიომ" კომენტარი სთხოვა ასპინძის მაჟორიტარ დეპუტატს — ტარიელ ლონდარიძეს, რომელმაც ასპინძაში საზღვრის დარღვევის გახშირებული ფაქტებიცა და საქონლის ქურდობაც დაადასტურა:**

— ასპინძის რაიონში, ნიალის საზღვრის მონაკვეთზე წლის განმავლობაში საქონლის ქურდობის რამდენიმე შემთხვევა მოხდა. **ახლახან ასპინძიდან კვლავ დამიკავშირდნენ ფერმერები, მითხრეს, რომ ქურდობა ისევ მოხდა. საქართველო-თურქეთის საზღვარი მთლიანად მორღვეულია, ფაქტობრივად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სიტუაციას ვეღარ აკონტროლებს. ამის თაობაზე მაშინვე ვაცნობე შინაგან საქმეთა სამინისტროს, ვთხოვე, შესაბამისი ზომები მიეღოთ.**

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, წინა შემთხვევის დროს ადმინისტრაციული ღონისძიებები გატარდა და ზოგიერთი თანამშრომელი სამსახურიდანაც კი გაათავისუფლეს, ამჯერადაც იგივე განმეორდება, მაგრამ ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს. ამ დრომდე არ ჰყავთ საქონლის გატაცებაში ეჭვმიტანილი პირები, არადა, ამის გარკვევა ძნელი არ არის.

აუცილებლად ისევ დავუკავშირდები შინაგან საქმეთა მინისტრს, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელს, ასევე ყველა შესაბამის უწყებას, რათა გაძლიერდეს აღნიშნული მონაკვეთის დაცვის მექანიზმები. მივმართავთ თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც რეაგირებისთვის.

**— მოსახლეობა მოითმენს კი ამდენ ხანს, მას ხომ დიდი ზარალი მიადგა?**

— მოსახეობამ, რომელმაც მე ნდობის მანდატი მომცა, იცის, რომ მათთვის ყველაფერს გავაკეთებ, უკან არ დავიხევ, **ყველა უწყებას ფეხზე დავაყენებ, ეს რეგიონი აუცილებლად მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. არა მგონია, მოსახლეობამ იარაღი აიღოს, მაგრამ ისინი დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ სახელმწიფო მათი პრობლემით დაინტერესებულია.**

26 ნოემბერს პარლამენტში აღნიშნულ ფაქტზე აუცილებლად ვიმსჯელებთ, შესაბამისი კომიტეტებისთვის წერილები უკვე მომზადებულია, საქმის კურსში ჩავაყენებთ პრემიერსაც.

**ბერაბ ბლადაძე, უფლებადამცველი:**

— 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, გაზაფხულზე აჭარაში, სოფელ კირნათში თურქი მესაზღვრეები გადმოდიოდნენ და მოსახლეობას აშინებდნენ, უფრო ზუსტად, ძაღლებს უსევდნენ. მაშინ ხელისუფლება საქმის კურსში ჩავაყენეთ, მაგრამ სულ პროვოკატორები გვეძახეს.

**— როგორც ჩანს, ხელისუფლება მალავს ამ ფაქტებს. ასპინძის მცხოვრებლები ამბობენ, რაიმე დაჯგუფების შექმნის საშუალება მოგვცენ და თავს ჩვენ თვითონ დავიცავთო.**

— **გაოგნებული ვარ, ისეთი რამ მითხარით.** ინფორმაცია, რომელიც მომაწოდეთ, შოკის მომგვრელია. როცა **შენს საზღვარზე თურქი მესაზღვრე გადმოდის, ძაღლებს გიქსევს და საქონელს იპარავს,** თანაც თუ შეიარაღებული დაჯგუფებაა, საშინელებასთან გვაქვს საქმე. შევეცდები, ჩემი ურთიერთობები გამოვიყენო და ყველაფერი გავარკვიო.

**გელა ხუციშვილი, რეზერვის პოლკოვნიკი და სასაზღვრო ჯარების სარდლის ყოფილი მოადგილე:**

— **საფრთხის შემცველი მარტო სამცხე-ჯავახეთი არ არის, არსებობს სხვა კერებიც, რომლებიც დენთის კასრივითაა. რაც შეეხება ასპინძას, აქ თურქებმა მას შემდეგ დაიწყეს საზღვარზე გადმოსვლა, რაც 1992 წელს ყარსის ხელშეკრულება ვაღიარეთ და მისი რატიფიკაცია მოვახდინეთ. მასში გარკვევით წერია, რომ თურქებს შეუძლიათ, სამეურნეო საქმიანობის მიზნით ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდნენ. რაკი საზღვრის დაცვა ძველებურად ვერ ხორციელდებოდა, ზემოხსენებული უსიამოვნო ფაქტების თავიდან აცილებასაც ვერ ვახერხებთ.**

ჩემის აზრით, თავიდანვე შეცდომა იყო ევროპულ მოდელზე გადასვლა და საზღვრებზე პოლიციური სისტემის შემოღება.

დღეს სამცხე-ჯავახეთი სახიფათო რეგიონია, რადგან აქ სეპარატისტული განწყობა იგრძნობა. საქართველოში შექმნილია მუნიციპალიტეტთა საბჭო, რომელშიც შედის ბოლნისი, დმანისი, მარნეული და ნინოწმინდა; სომხეთის მხარეს კი — „რეგიონ ევროარმენია". შესაძლოა, ჩანაფიქრი კეთილშობილურია, იგულისხმება ევროპის გაფართოება აღმოსავლეთისკენ, მაგრამ იმ სივრცეში ასეთი მოძრაობის დაწყება სახიფათოა.

სულ ახალი დაწყებულია ევროკავშირიდან გრანტების შემოსვლა, რომელიც ითვალისწინებს, ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის და სომხეთის ალავერდისთვის ერთობლივი პროექტების შექმნას. ამის დამგეგმავი არ საზღვრავს, რომ ბოლნისში, მარნეულსა და დმანისში ჭარბობს აზერბაიჯანული მოსახლეობა. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, ისიც, რომ სიტუაცია დარეგულირებული არ არის ყარაბაღთან დაკავშირებითაც, რაც საქართველოს მხარეს დაძაბულობას უქმნის. სიტუაცია ძალიან არასაიმედო და არასტაბილურია.

რაც შეეხება იმ საზარელ ფაქტებს, რომელიც თქვენგან შევიტყვე, **საზღვართან დაძაბული ურთიერთობა, შეიარაღებული ჯგუფების გადმოსვლა, საქონლის გატაცება, ახალი არ არის, კარგად დავიწყებული ძველია. საჭიროა, სერიოზული მუშაობა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ დამოუკიდებლად დაიწყოს პრობლემის გადაწყვეტა. ეს უწყებრივ დონეზე უნდა მოგვარდეს.**

**— დიახ, მოსახლეობა უკვე ფიქრობს საკუთარი ძალებით თავის დაცვაზე.**

— არ შეიძლება, საქმეში მოსახლეობა ჩაერთოს. სასაზღვრო პოლიტიკა შესაცვლელია, საქმეს დილეტანტები აკეთებენ. აუცილებელია სასაზღვრო დასახლებების ჩამოყალიბება, სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს კონფიდენციალური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების პროგრამა.

თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ შინაგან საქმეთა მინისტრს, მოიცალოს და დაელაპარაკოს მესაზღვრეებს, მათ, ვისაც საქმე ესმით, თორემ, თუ სიტუაცია ხელიდან გაექცათ, მერე ყველაფერი გვიან იქნება; თუკი მოსახლეობა შეიარაღდება და ანგარიშსწორებას დაიწყებს, საქმე ცუდად წავა. „ისლამური სახელმწიფო" სახეზე გვაქვს, ვინმე ფიქრობს, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებით?

**მოამზადა
ეკა ნასყიდაშვილმა**

## საქართველო-თურქეთის საზღვარი მთლიანად მორღვეულია, ფაქტობრივად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი სიტუაციას ვეღარ აკონტროლებს



# თბილისის მერია მიუსაფართა თავშესაფრის აშენებას გეგმავს

**თბილისის მერია სოფელ დიდ ლილოში მიუსაფართა თავშესაფრის ასაშენებლად 2 148 000 ლარის დახარჯვას გეგმავს. ტენდერი მერიამ უკვე გამოაცხადა.**



პროექტის თანახმად, საცხოვრებელი ბლოკები 240 პირზეა გათვლილი. შეზღუდული შესაძლებლობების პირებისთვის გათვალისწინებულია 2 ოთახი, ასევე ყველა ბლოკში პანდუსები და სველი წერტილები. პროექტის თანახმად, ადმინისტრაციულ ნაწილში უნდა განთავსდეს მთავარი შესასვლელი მიმღებით, ადმინისტრაციის ოფისები, კრიზისული ბლოკი და სამედიცინო პუნქტი ექიმების კაბინეტებით. სამეურნეო ნაწილში — სასადილო 168 ადგილზე დამხმარე სათავსებით, საწყობები, საერთო ტუალეტები და საშხაპეები.

სატენდერო წინადადებების მიღება 26 ნოემბერს დაიწყება და 28 ნოემბერს დასრულდება.

დაფინანსების წყაროდ 2014-2015 წლებში ბიუჯეტის სახსრებია მითითებული, მათ შორის 2014 წელს დაფინანსდება 70%; ხოლო 2015 წელს - 30%.

მიუსაფართა თავშესაფარი ამჟამად მოსკოვის გამზირზე ფუნქციონირებს, სადაც მთავრობის გადაწყვეტილებით, მიუსაფარი პირებისთვის კარვები ერთი წლის წინათ დაიდგა.

მსოფლიო

# მარინ ლე პენი: ნატოს არსებობას საფუძველი არ აქვს!

**თანამედროვე მსოფლიოში უკვე აღარ არსებობს ისეთი გამოწვევები, რომლებმაც განაპირობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნა", — განაცხადა საფრანგეთის ნაციონალური საკრებულოს წარმომადგენელმა, პარტია ნაციონალური ფრონტის ლიდერმა მარინ ლე პენმა ფრანგულ ტელეარხ bfmtv-სთვის მიცემულ ინტერვიუში.**

ფრანგი პოლიტიკოსის აზრით, თანამედროვე პირობებში ნატოს არ აქვს თავისი არსებობის გამართლებელი დამაჯერებელი არგუმენტი, ამიტომ საფრანგეთი უნდა გამოვიდეს ბლოკიდან, რომელმაც ვარშავის ხელშეკრულების მოშლის შემდეგ სამხედრო ოპერაციები ნატოს წევრი ქვეყნების საზღვრებიდან არც ისე შორს წამოიწყო. ეს, იმის მიუხედავად, რომ ნატოს მიერ დეკლარირებული მიზნებიდან ერთ-ერთი არის ამ ბლოკის წევრის ტერიტორიაზე ნებისმიერი ფორმის აგრესიის შეკავება.

1949 წლის 4 აპრილს საფრანგეთმა სხვა 11 ქვეყანასთან ერთად დააარსა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ნატო. 1966 წელს საფრანგეთმა დატოვა ნატოს სამხედრო ორგანიზაცია, თუმცა დარჩა პოლიტიკური სტრუქტურის წევრად, 2009 წელს კი სრულიად აღიდგინა ნატოს წევრობა, რაც, ზოგიერთი ფრანგი პოლიტიკოსის აზრით, საფრანგეთის სტრატეგიული შეცდომა იყო.



პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვარდების რევოლუცია" იყო ერთ-ერთი საშინელი მოვლენა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელმაც სახელმწიფო პრაქტიკულად დაანგრია და გაანადგურა. ამ ე.წ. რევოლუციის პირდაპირი შედეგია ის, რომ ქვეყანა სამ ნაწილად დაიშალა და დიდი პერსპექტივაა, მომავალში უფრო მეტად დაიშალოს.

# 11 წელი სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივი დასასრულიდან

**გასულ კვირას, 23 ნოემბერს, 11 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილმა, თავის „რეფორმატორებთან" ერთად, ე. წ. ვარდების რევოლუცია გაითამაშა და ქვეყანაში ცხრაწლიან ტერორს ჩაუყარა საფუძველი. ეს თარიღი წელს, მართალია, „ნაცებმა" პომპეზურად ვერ აღნიშნეს და, როგორც ადრე ხდებოდა, ქუჩაში პოლიტიკური „მეტანიები" ვერ ჩაატარეს, მაგრამ „ვარდოსნების ბელადმა" მაინც ვერ მოითმინა და „ფეისბუქში" ასეთი სტატუსი გამოაქვეყნა: „ვარდების რევოლუციამ შეცვალა არა მხოლოდ საქართველო, არამედ ასეულობით მილიონი ადამიანით დასახლებული რეგიონი". იმავე სტატუსში „ნაცების" გურუმ ხოტბა შეასხა საკუთარ „მონაპოვარს" და ამაყად დასძინა: „ვარდების რევოლუციამ არა მხოლოდ დაგვაბრუნა მსოფლიო რუკაზე, თავის ისტორიაში საქართველო გავიდა მსოფლიოში მოწინავე პოზიციებზე, — გახდა მსოფლიოს პირველი რეფორმატორი, ყველაზე უსაფრთხო და ერთ-ერთი ყველაზე არაკორუმპირებული ქვეყანა, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით. ჩვენ გავხდით ქვეყანა, რომელსაც მისაბაძ მაგალითად მიიჩნევენ უკრაინელები, ალბანელები, ტუნისელები, შუა აზიის ხალხები, ბევრი რუსი და მრავალი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი..." მოკლედ, ქება-დიდება არ დაიშურა „რევოლუციის მამამ" თავის მიღწევებზე. ეპითეტების სეტყვა, ცუნამი დააყენა სოციალურ ქსელში... რეალურად რა მოხდა 2003 წლის 23 ნოემბერს, რა იყო ე.წ. ვარდების რევოლუცია და რა შედეგები მოუტანა მან სახელმწიფოს — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიომ" კომენტარი ექსპერტებს სთხოვა.**





**ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი:**

— **„ვარდების რევოლუცია" იყო იმ ე. წ. ამერიკანიზაციის პროცესის შედეგი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში და მერე განაგრძო სააკაშვილმა.** პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით საქართველომ გადადგა, უფრო სწორად, გადააადგმევინეს, 1990-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იმჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე ჩავიდა ბრიუსელში და ხელი მოაწერა ნატოს პროგრამას აღმოსავლეთის პარტნიორობა მშვიდობისათვის. სხვათა შორის, ამ პროგრამის ინიციატორი იყო ამერიკის პრეზიდენტი **ბილ კლინტონი**, რომელიც ცდილობდა, ყველაფერი გაეკეთებინა მამა ბუშის ნაბიჯების საწინააღმდეგოდ. მოგეხსენებათ, მამა ბუშმა დადო ზეპირი ფიცი საბჭოთა კავშირთან, რომ ნატო არ გაფართოვდებოდა აღმოსავლეთით. ეს ყველაფერი დაარღვია კლინტონმა და პირველი, ვინც თავი შეყო ამ „გენიალურ" პროგრამაში, ვიყავით ჩვენ. აი, იმ მომენტიდან დაიწყო პროცესი. იქიდან მოყოლებული მიმდინარეობდა ამერიკელთა ექსპანსია საქართველოში და სამწუხაროა, რომ ჩვენ ეს ვერ გავაცნობიერეთ.

— **რატომ ვერ გავაცნობიერეთ, რა იყო მიზეზი?**

— ჩვენ, უბრალოდ, გვეგონა, რომ ამერიკა გვაჭმევდა, გვასმევდა და მოგვიგვარებდა ყველა პრობლემას, დაწყებული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით, დამთავრებული ეკონომიკური საკითხებით, მაგრამ, ცხადია, ასე არ მოხდა. პირიქით, მივიღეთ რეალობა, რომელშიც ყველა მოგებულია, ყველა მხარე კმაყოფილია, საქართველოსა და ქართველების გარდა.

**«ჩვენ, უბრალოდ, გვეგონა, რომ ამერიკა გვაჭმევდა, გვასმევდა და მოგვიგვარებდა ყველა პრობლემას, დაწყებული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენიდან, დამთავრებული ეკონომიკური საკითხებით, მაგრამ, ცხადია, ასე არ მოხდა. პირიქით, მივიღეთ რეალობა, რომელშიც ყველა მოგებულია, ყველა მხარე კმაყოფილია საქართველოსა და ქართველების გარდა»**

რაც შეეხება ისევ ე. წ. ვარდების რევოლუციას, ეს რევოლუცია პირველად საქართველოში არ მომხდარა, ის დაიწყო აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში, შემდეგ გადაედო პოსტსაბჭოთა სივრცეს და ამ პროცესმა მოიცვა საქართველოც. მისი უპირველესი მიზანი იყო რუსეთის შემორკალვა, ანუ კრემლის გავლენა ისე უნდა შეესუსტებინათ საერთაშორისო ასპარეზზე, რომ საბოლოოდ რეგიონულ პოლიტიკურ მოთამაშედ ქცეულიყო. აი, ამ პროცესის რგოლში მოვხვდით ჩვენ და მეტიც, ამაში, ფაქტობრივად, აღმოვჩნდით ყველაზე „მაგრები". შედეგად **მივიღეთ ტიპური მარიონეტული სახელმწიფო და ქვეყნის ინტერესები, მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები გახდა მეორეხარისხოვანი.** წინა პლანზე წამოიწია გარე ძალის, ამ შემთხვევაში ამერიკის და მთლიანად დასავლეთის სტრატეგიულმა ამოცანამ, რომლის შესრულებისთვისაც დღეს საქართველომ არაფერი უნდა დაიშუროს და საკუთარ უსაფრთხოებაზეც უნდა თქვას უარი, თუ ეს „საჭიროებამ" და „აუცილებლობამ" მოითხოვა...

— **ამას წინათ სააკაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა, — „ვარდების რევოლუციამ" შეცვალა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მილიონობით ადამიანით დასახლებული რეგიონიო...**

— **სააკაშვილმა კარგად იცის, რომ მხოლოდ შემსრულებელი იყო და, თუ არ იქნებოდა ის, იქნებოდა მარგველაშვილი ან ღარიბაშვილი და ა. შ. მათი ფილოსოფია დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. ასე რომ, რაც მივიღეთ, გარდაუვალი იყო.**

ახლა რაც შეეხება მონაპოვარს, რომელზეც სააკაშვილი წერდა, რა შედეგიც მოგვიტანა ჩვენ და უკრაინას ამ ე.წ. რევოლუციამ, კარგად ვხედავთ: **საქართველო, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს საზღვარგარეთ აგზავნიდა მძიმე მრეწველობის 75 დასახელების პროდუქციას, სწრაფად ჩავარდა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში და ქვეყანა, ფაქტობრივად, მოიშალა, ანუ ჩვენ გავხდით სახელმწიფო, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია გარე ძალის მოწყალებაზე, ამიტომ, რასაც ის ძალა გიბრძანებს, გინდა, არ გინდა, უნდა შეასრულო.** აი, რა მოიტანა ამათმა საამაყო მონაპოვარმა და, სააკაშვილი როდესაც ამბობს, ამ რევოლუციამ შეცვალა მთლიანად რეგიონიო, დიახ, შეცვალა, მაგრამ არა უკეთესობისკენ, არამედ უარესობისკენ. მათ დააქციეს და გააჩანაგეს სახელმწიფო. „ვარდების რევოლუცია" იყო დამანგრეველი, გამანადგურებელი პროცესი, რომელმაც, საუბედუროდ, მიაღწია კიდეც თავის მიზანს.



**ვალერი კვარაცხელია, ანალიტიკოსი:**

— „ვარდების რევოლუცია" იყო ერთ-ერთი საშინელი მოვლენა საქართველოს უახლეს ისტორიაში, რომელმაც სახელმწიფო პრაქტიკულად დაანგრია და გაანადგურა. ამ ე.წ. რევოლუციის პირდაპირი შედეგია ის, რომ ქვეყანა სამ ნაწილად დაიშალა და დიდი პერსპექტივაა, მომავალში უფრო მეტად დაიშალოს.

ცალკე საკითხია, რა მიზანს ემსახურებოდა რეალურად ეს პროცესი. მიმაჩნია, რომ **იმთავითვე იყო განსაზღვრული, საქართველო გამხდარიყო საექსპერიმენტო ლაბორატორია, რომელშიც ჩატარდებოდა გარკვეული ცდები და მერე ამ ყველაფერს გამოიყენებდნენ საერთაშორისო პოლიტიკური კონიუქტურის შესაბამისად.**

აი, ამ ცდებმა და ექსპერიმენტებმა მიგვიყვანა იმ მდგომარეობამდე, რომ დღეს, ფაქტობრივად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ჩვენი უსაფრთხოება. არ ვიცი, რამდენი ხანი დასჭირდება ამ მდგომარეობიდან საქართველოს გამოსვლას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეს არის დამღუპველი მიმართულება და, რაც უფრო დიდხანს შეინარჩუნებს ქვეყანა ამ კურსს, საფრთხე, რომ საერთოდ დავკარგოთ სახელმწიფო, უფრო გაიზრდება!

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**P.S. „ვარდების რევოლუცია" რომ რეალურად ვაშინგტონის პოლიტიკური ექსპანსია იყო, რომელმაც ქვეყანა მართლაც ლაბორატორიად და „პიტომნიკად" აქცია, ამას უკვე ყველა ხვდება. დღეს, ალბათ, ბავშვმაც კი იცის, რომ სააკაშვილი თავის დროზე სწორედ ამ გეგმის განსახორციელებლად მოავლინეს ამერიკიდან, მაგრამ ახლა ამით არაფერი იცვლება. სამწუხაროდ, რეალობა არის ის, რომ დღესაც იმავე კონიუქტურით იმართება ქვეყანა, რომელიც 2003 წლის იმ ავბედითი მოვლენების შემდეგ შეიქმნა. მეტიც, ეს კონიუქტურა ხელუხლებელია და დღეს ხელისუფლების სათავეში გვყავს „ნაცმოძრაობა 2". ვგულისხმობ რესპუბლიკურ პარტიასა და მის თავკაცებს, რომლებიც უკვე პირდაპირ აცხადებენ, ჩვენ და „ნაცები" ერთი ძალა ვართო (დავით უსუფაშვილმა ჰოლანდიაში ვიზიტისას განაცხადა, — შეიცვალა მხოლოდ სახეები, პოლიტიკა კი უცვლელი დარჩაო)...**

**მოკლედ, „რევოლუციამ" დასახულ მიზანს მიაღწია; საქართველო გახდა მარიონეტი სახელმწიფო. რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, აქ პოლიტიკური სივრცე მონოპოლიზებული აქვთ „მედასავლეთე ლიბერალებს". ეს იმას ნიშნავს, რომ ასპარეზზე სხვა ძალების გამოჩენის შანსი, პრაქტიკულად, ნულია...**

მოკლედ

## თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეს გრიფი «საიდუმლო» მოეხსნა



**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნების საქმეს გრიფი „საიდუმლო" ნაწილობრივ მოეხსნა.** მთავარმა პროკურატურამ თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნები ამა წლის 28 ოქტომბერს დააკავა. მათ ბრალი სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4 102 872 ლარის გაფლანგვაში ედებათ. სამინისტრომ კომპანია „სილქნეტისგან" ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზი ხელოვნურად გაზრდილი თანხით შეისყიდა. პროკურატურის ინფორმაციით, „სილქნეტმა" სამინისტროს ტენდერში, ასევე ხელოვნურად გაიმარჯვა.

დაკავებულნი არიან: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილი უფროსი გიზო ღლონტი; შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი ნუგზარ კაიშაური; სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი გიორგი ლობჟანიძე; სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი არჩილ ალავიძე და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტის სამმართველოს უფროსი დავით წიფურია.

**„თუ მეთაურმა მიიღო ინფორმაცია მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილზე, საიდანაც ცეცხლს გაგიხსნიან, დაუშვებელია, რომ იმ წერტილს მთელი შენი პირადი შემადგენლობით მიადგე. არსებობს დაზვერვა, რომელიც იქ უნდა გაგზავნო.“**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ლადო ჩერქეზიშვილი:

# ოთხი პოლიციელის დაჭრა მერაბიშვილ-ოქრუაშვილ-ფირცხალავას პროვოკაციაა!

**ე. წ. კუბლაშვილის სასამართლოს მიერ ემზარ კვიციანისადმი გამოტანილმა განაჩენმა საზოგადოების უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია.**
**ორიოდე დღის წინათ დამიკავშირდა პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი, კერძოდ, ნარკომანიის და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი ლადო ჩერქეზიშვილი, რომელიც სხვადასხვა დროს მუშაობდა დედაქალაქის ვაკე-საბურთალოს პოლიციის უფროსად, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სამმართველოს უფროსის მოადგილედ კრიმინალური პოლიციის ხაზით და ა. შ. ბატონ ლადოს თანამდებობები არ აკლდა. მაგრამ არ ჰქონდა სააკაშვილისადმი მონური ერთგულება, ამიტომაც აღმოჩნდა საკანში და იგემა „ნაციონალთა“ საპყრობილის „სიამტკბილობის“ სრული „პაკეტი“...**
**„აღმაშფოთა ტელევიზიით ირაკლი ფირცხალავას გამოჩენამ,” — მიყვება ბატონი ლადო,— ეს იყო მცდელობა ფირცხალავასთვის შეექმნათ სახე, თითქოს ის არის პოლიციელების ერთგული დამცველი, ვითომდა, ფირცხალავას გული შესტკივა პოლიციელებზე! არადა, პირიქითაა ყველაფერი!**



**«მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ «ნაციონალებმა» თვითონ შექმნეს თავდასხმის იმიტაცია, რათა პირად შემადგენლობას, რიგით თანამშრომლებს შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ცეცხლი გახსნა კვიციანის ხალხმა — ისროდნენ ჰაერში»**

**— ბატონო ლადო, ვინ არის ირაკლი ფირცხალავა?**

— ირაკლი ფირცხალავა მუშაობდა უშიშროებაში, ხოლო, როდესაც უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები გააერთიანეს, დანიშნეს დიდუბე-ჩუღურეთის პოლიციის სამმართველოს უფროსად. 2006 წელს გადაიყვანეს სამინისტროში კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. **ირაკლი ფირცხალავა ფიგურირებს ყველა გახმაურებულ საქმეში, უფრო ზუსტად, მკვლელობაში, მაგალითად, ბუტა რობაქიძის, ზურა ვაზაგაშვილის... ფირცხალავა პოლიციელებს ვერ იტანდა და მათ "ძაღლებს" უწოდებდა!..**

**— თავად რომ „ძაღლი“ გახდა, არ შეწყვიტა პოლიციელების შეურაცხყოფა?**

— არა, არ შეუწყვეტია.

**— გასაგებია. მოდით, კონკრეტულად ინგა გრიგოლიას გადაცემაზე ვისაუბროთ. რა არ მოგეწონათ ირაკლი ფირცხალავას ნალაპარაკევში?**

— ფირცხალავა ყვება, როდესაც მივდიოდითო ლონისძიებაზე, ანუ კოდორის ხეობის ასაღებად, ვითომდა, ვიღაც, უცნობი ჟურნალისტი ჩაგვიჯდა მანქანაში და მაფრთხილებს,— იქ არ წახვიდე, იქ ემზარ კვიციანის ხალხი დგას და, შეიძლება, ცეცხლი გაგიხსნანო. ამის მოსმენის შემდეგ ფირცხალავა ურეკავს ხელმძღვანელობას და უპატაკებს, იქ გასვლა არ შეიძლებაო. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა უბრძანებს მას ხეობაში შესვლას. მერე, ფირცხალავა ბრალს სდებს კვიციანს ოთხი პოლიციელის დაჭრაში. აი, ეს არის ტყუილი!

**— საიდან იცით, რომ ფირცხალავა ცრუობს?**

— **მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ „ნაციონალებმა“ თვითონ შექმნეს თავდასხმის იმიტაცია, რათა პირად შემადგენლობას, რიგით თანამშრომლებს შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ცეცხლი გახსნა კვიციანის ხალხმა— ისროდნენ ჰაერში.**

**— აბა, ოთხი დაჭრილი პოლიციელი საიდან გაჩნდა?**

— დადგება დრო და გამოძიება დაადგენს, როგორ „დაიჭრა“ ოთხი პოლიციელი, დაადგენს, აგრეთვე, რომ ეს იყო მერაბიშვილ-ოქრუაშვილ-ფირცხალავას პროვოკაცია. ასეთი მეთოდებით მუშაობდნენ იმ პერიოდში. მათი ტვინი მარტო პროვოკაციებზე იყო დაპროგრამებული!

**— ბატონო ლადო, ფირცხალავა ძალიან წუხდა,— ოთხი პოლიციელი რომ დამიჭრეს, ვინ გამცემს პასუხსო?**

— მაგ კითხვაზე მე გავცემ პასუხს: **ფირცხალავა, საკუთარ თავს არაპროფესიონალიზმში ამხელ და თუ, დავუშვათ, პოლიციელები მართლა მანდ დაიჭრნენ, ამაზე შენ უნდა აგო პასუხი!**

**— რატომ უნდა აგოს პასუხი ფირცხალავამ?**

— თუ მეთაურმა მიიღო ინფორმაცია მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილზე, საიდანაც ცეცხლს გაგიხსნიან, დაუშვებელია, რომ იმ წერტილს მთელი პირადი შემადგენლობით მიადგე. არსებობს დაზვერვა, რომელიც იქ უნდა გაგზავნო — მზვერავები, რომლებიც, შეძლებისდაგვარად, შორიდან დაათვალიერებენ ადგილს, შეისწავლიან იმ წუთში არსებულ ვითარებას, დარწმუნდებიან უსაფრთხოებაში და ამაზე მოგახსენებენ. აი, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება პირადი შემადგენლობის გადაყვანა ამა თუ იმ ადგილზე. **ფირცხალავა ცრუობს ცეცხლის გახსნაზე — კოდორის ხეობის მხრიდან ვერავინ ისროდა, რადგან ემზარ კვიციანის ხალხი იქ არ იმყოფებოდა, უკვე გარიდებულები იყვნენ იქაურობას და ამას ადასტურებს ის, რომ სამთავრობო ძალებმა ხეობაში ვერავინ დააკავეს! კვიციანსა და მის რაზმ „მონადირეს“ ომი არ უნდოდათ! რომ სდომოდათ, მერწმუნეთ, ფირცხალავა თავისი ხელქვეითებით ხეობაში ფიზიკურად ვერ შეაღწევდა.** „მონადირეები“ განლაგდებოდნენ ფერდობებზე და იქიდან ასეულობით გვამის გამოტანა მოუწევდათ ოქრუაშვილსაც და მერაბიშვილსაც.

**— ფირცხალავამ სატელევიზიო ეთერში გამოსვლისას განაცხადა, რომ კოდორის ხეობაში ოპერაციის განხორციელებისას სამხედროები არ იყვნენ.**

— როგორ არ იყვნენ?! **მაშ, რას აკეთებდა იქ თავდაცვის მინისტრი ოქრუაშვილი?** ნახეთ, კადრებში როგორ იწონებს თავს! სიმართლე ასეთია — ვიდრე ემზარ კვიციანი იყო კოდორის ხეობაში, ეს ტერიტორია იყო საქართველოსი! რამდენჯერ შეეცადნენ, მაგრამ მოწინააღმდეგის სპეცრაზმმაც ვერ მოახერხა იქ შეღწევა! და, **თუ მოწინააღმდეგის „სპეცნაზმა“ ვერ მოახერხა კოდორის დაკავება, ვინ შეაყოფინებდა იქ ცხვირს მერაბიშვილ-ოქრუაშვილს, მით უმეტეს, ფირცხალავას?!** გაეცალა მათ კვიციანი, რადგან ქართველი კაცია, უყვარს სამშობლო, უყვარს თავისი კუთხე და ამის გამო არ დაღვარა თანამემამულეთა სისხლი!

ემზარ კვიციანმა ხეობა რომ დატოვა, იქ მიბრძანდა სააკაშვილი, კოდორს ზემო აფხაზეთი დაარქვა, თათბირებს ატარებდა და გზები გაიყვანა.

**— კოდორის ხეობაში გზები არ იყო?**

— არა! **სააკაშვილმა გზები, ფაქტობრივად, მოწინააღმდეგეს გაუყვანა, გაუჭრა ისე, რომ მოწინააღმდეგეს ფეხი არ დაესვარა! 2008 წლის აგვისტოში ერთი გასროლის გარეშე ჩაბარდა ხეობა! მოწინააღმდეგეს მთლიანად დარჩა სამხედრო ტექნიკა, დიდძალი იარაღი და ტყვია-წამალი, სულ ახალი, „ტოიოტას“ ათეულობით პიკაპი!.. მიუხედავად ამისა, უტიფარი ფირცხალავა საქმეს ურჩევს ემზარ კვიციანს და უსირცხვილოდ აცხადებს, მოსამართლემ სწორი გადაწყვეტილება მიიღოო!** „ნაციონალების“ გამოძიებულ საქმეზე უნდა მიეცათ კვიციანისთვის 12 წელი?! რა, ახლიდან ჩატარდა გამოძიება? — არაფერიც არ ჩატარებულა!

ჩამოვიდა კაცი, ჩაბარდა, იფიქრა ქვეყანაში ნორმალური ვითარებაა და, რა?! წარმოიდგინეთ, **პატრიოტი ემზარ კვიციანი ციხეში უნდა იყოს, ხოლო, ვისაც, მართლაც, ათასი სიბინძურე აქვს ჩადენილი, პარლამენტიდან ხალხს თითს უქნევს ან ჭკუას ასწავლის!**

იცით, ვინ პროკურორობდა კვიციანის სასამართლოზე?

**— ვინ, ბატონო ლადო?**

— ადეიშვილის სკოლაგავლილი პროკურორი თენგიზ ხარებავა! **ეს ხარებავა ბესო თხელიძესთან, შაქრო ზაალიშვილსა და დავით მესტვირიშვილთან ერთად, მონაწილეობდა ყველა გახმაურებულ საქმეში!** ყველა უკანონოდ გამოძიებული საქმე, ყველა უკანონოდ მიღებული გადაწყვეტილება ამ ადამიანების სინდისზეა! ეს ოთხეული იყო უშუალოდ პოლიციის კურატორი და მას ყველა საქმეში, ყველა პროვოცირებულ დანაშაულში მიუძღვის წილი! ირაკლი ფირცხალავა, თენგიზ ხარებავა, ბესო თხელიძე, დავით მესტვირიშვილი და შაქრო ზაალიშვილი ბოლო წუთამდე ერთგულად ემსახურებოდნენ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მტკიცედ იდგნენ უსამართლობის სადარაჯოზე. მათი კანონიერი ადგილი საპყრობილეა, ემზარ კვიციანი კი უპირობოდ უნდა გაათავისუფლონ!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

მოკლედ

## სერგეი ნარიშკინი: დალია გრიბაუსკაიტეს მიხეილ სააკაშვილის ბედი ელოდება

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე სერგეი ნარიშკინის აზრით, ლიტვის პრეზიდენტის ანტირუსული განცხადებები გამოწვეული იმით, რომ მას სურს, თავი მოაწონოს თავის დასავლელ მფარველებს და ადგილობრივ ნაციონალ-რადიკალებს.**

„დალია გრიბაუსკაიტეს მოქმედების მიზანია, თავი მოაწონოს თავის დასავლელ პატრონებს, ნაციონალ-რადიკალებს, ნეონაცისტებს და სხვა პოლიტიკურ მარგინალებს... აქ მახსენდება ერთ-ერთი პოლიტიკური პერსონაჟი, რომელიც ასევე გამოირჩეოდა მძაფრი ანტირუსული განცხადებებით — საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. სად არის იგი დღეს? იგი ამჟამად პოლიტიკურად გარიყული პიროვნებაა, საქართველოში მას ხელსაც კი არავინ ჩამოართმევს... დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ტიპის განცხადებები ხელს არ შეუწყობს კეთილმეზობლური ურთიერთობებს ევროპის კონტინენტზე”, — აღნიშნა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა.

20 ნოემბერს ლიტვური რადიოსადგურისათვის მიცემულ ინტერვიუში დალია გრიბაუსკაიტემ მკვეთრი ანტირუსული განცხადებები გააკეთა.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## საააკაშვილის რეჟიმმა წინმსწრებად გააკეთა ყველაფერი, რათა გადამწყვეტ მომენტში ქართული „უკანასკნელი ტერცია“ ბრძოლის ველზე არ გამოჩენილიყო.



## 11 წლის გოგონა 500გრ ნარკოტიკის გადატანას ცდილობდა

**ქალაქ კალის (კოლუმბია) პოლიციამ დააკავა 11 წლის გოგონა, ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ნარკოკურიერი, რომელიც ევროპაში 104 კაფსულა (საერთო წონით 500 გრ) ნარკოტიკის გადატანას ცდილობდა.**

გასული შაბათ-კვირა გოგონამ მამასთან გაატარა, რადგან მშობლები განქორწინებულნი არიან; შინ დაბრუნებულმა კი თავი შეუძლოდ იგრძნო, მოზარდი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გამოკვლევის შემდეგ ოპერაცია გაუკეთეს.

ექიმებმა გაკვეთის შემდეგ გოგონას კუჭიდან ნარკოტიკული ნივთიერების 104 კაფსულა ამოიღეს. სამართალდამცველებმა კი გოგონას მამაზე ძებნა გამოაცხადეს.



## კლივლენდში ოთხი ადამიანი მოკლეს

**ოჰაიოს შტატის(აშშ) ქალაქ კლივლენდში სროლის შედეგად ოთხი ადამიანი, მათ შორის, ორსული ქალი დაიღუპა.**

ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, თავდამსხმელი ერთ-ერთ სახლში შეიჭრა და იქ მყოფთ ცეცხლი გაუხსნა. სროლის შედეგად დაიღუპა 4 ადამიანი და დაიჭრა 10 წლის გოგონა, რომელმაც გაქცევა მოახერხა.

ჯერჯერობით უცნობია თავდამსხმელის ვინაობა და თავდასხმის მოტივი.



## «ვარდისფერ საქართველოში» არ შეიძლებოდა, არსებულიყო სხვა გმირი, გარდა ბიუჯეტის ხარჯზე ეპილირებული ჯამბაზისა

# კვიციანის საქმე და უკანასკნელი ტერცია აფხაზეთში

**„ის არ გახლდათ ყველაზე კანონმორჩილი ადამიანი, მაგრამ მამაცი იყო. მას დიეგო ალატრისტე ერქვა და ფლანდრიაში უცხოური ლეგიონების შემადგენლობაში იბრძოდა. როდესაც გავიცანი, მადრიდში სილატაკეში ცხოვრობდა, საეჭვო საქმეებში ებმებოდა და ჩალის ფასად აქირავებდა თავის სიმამაცეს და საბრძოლო ოსტატობას მათზე, ვინც ამ თვისებებს მოკლებული იყო“. შესაძლოა, ეს ციტატა 2006 წლის შესანიშნავი ესპანური ფილმიდან „კაპიტანი ალატრისტე“ კარგი სასტარტო წერტილია საუბრის დასაწყებად ემზარ კვიციანის საქმეზე, რადგან სასამართლოს გადაწყვეტილების უკან, სავარაუდოდ, სწორედ იმ ადამიანების ლოგიკა და ღირებულებები დგას, რომელნიც „ამ თვისებებს მოკლებულნი“ არიან.**

## ლაჩარი ყოველთვის აკეთებს ყველაფერს, რათა მამაცი ადამიანის ღვაწლი დააკნინოს და მისი სახელი ლაფში ამოსვაროს, რადგან მის არსებობასაც კი სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამს

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 12-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა კაცს, რომელიც კოდორის ხეობის სადარაჯოზე 12 წლის განმავლობაში იდგა. ის მაღალჩინოსნები კი, რომლებმაც 2008-ში იგივე ხეობა უბრძოლველად დათმეს, თავისუფლები არიან (ვანო მერაბიშვილის გარდა) და თავს შესანიშნავად გრძობენ. პროკურატურა მათ სხვა ეპიზოდებთან დაკავშირებით ედავება, ხოლო სამშობლოს ღალატთან და კოდორის ხეობის ჩაბარებასთან დაკავშირებით არაფერს ერჩის; მაგრამ ვიდრე გავარკვევთ, თუ რატომ ეწოდება ამ ქვეყანაში სამართლიანობის დასამარებას „სამართლიანობის აღდგენა“, კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ კაპიტან დიეგო ალატრისტეს, რადგან (ერთობ პარადოქსულად) ჩვენთვის აქტუალური რებუსის გასაღები შეიძლება 1643 წელს ციხესიმაგრე როკრუას მიდამოებში გამართული ბრძოლის ველზე ვიპოვოთ.

მაშ, ასე: ბრძოლა სრულდება, ფრანგების გამარჯვება ეჭვს აღარ იწვევს, მაგრამ სისხლისგან დაცლილი უკანასკნელი ესპანური ტერცია ბრძოლის ველიდან ფეხს არ იცვლის (ტერცია — საორგანიზაციო ერთეული XVI-XVII საუკუნის ესპანურ ჯარში; დღეს ფართოდ გავრცელებულია მცდარი მოსაზრება, რომლის ფარგლებში მას ტაქტიკურ ერთეულად განიხილავენ, თუმცა ამ შემთხვევაში ასეთ ნიუანსებს მნიშვნელობა არ აქვს, შეგვიძლია, პირობითად თანამედროვე ბრიგადას ან ბატალიონს შევადაროთ). მოკლედ, დგას ეს ალყაშემორტმული ტერცია და წინააღმდეგობის შეწყვეტას არ აპირებს.

ფრანგები მოლაპარაკებას სთავაზობენ და იმართება მოკლე დიალოგი:

— ენგიენის ჰერცოგი (ფრანგების სარდალი პრინცი კონდე 1646 წლამდე ამ ტიტულს ატარებდა) პატივს მიაგებს თქვენს უმაგალითო სიმამაცეს და საპატიო კაპიტულაციას გთავაზობთ. შეგიძლიათ, შეინარჩუნოთ თქვენი დროშები და ბრძოლის ველი მწყობრში დატოვოთ. რას იტყვით?

— ენგიენის ჰერცოგს ჩვენი გულითადი მადლობა გადაეცით... მაგრამ ჩვენ ესპანელი ქვეითები ვართ.

იმ ამაყი ესპანელი ქვეითებიდან სამ მეოთხედზე მეტი დაიღუპა, მაგრამ სიტყვები „უკანასკნელი ტერცია როკრუასთან“ ოქროს ასოებით ჩაიწერა ისტორიაში და ღირსებისა და თავდაუზოგავი სიმამაცის სინონიმად იქცა.

**თუ 2008 წლის აგვისტოში კოდორის ხეობაში ემზარ კვიციანი და ადგილობრივებით დაკომპლექტებული ბატალიონი „მონადირე“ იქნებოდნენ, ისინი არ დაემორჩილებოდნენ ბრძანებას ხეობის დატოვების შესახებ და არც კაპიტულაციას დათანხმდებოდნენ, რაოდენ საპატიოც უნდა ყოფილიყო ის, რადგან არ არსებობს ამქვეყნად ძალა, რომელიც სვან მეომარს აიძულებს, მშობლიური კერის დაცვაზე უარი თქვას და იარაღი დაყაროს.** საქართველოს ისტორიაში, უბრალოდ, არ მოიძებნება მაგალითი, რომელიც საპირისპიროზე მიუთითებს. **ბატალიონ „მონადირეს“ მთელი შეთქმულების, ხეობის ჩაბარების გეგმის ჩაშლა შეეძლო, ამიტომ სააკაშვილის რეჟიმმა წინმსწრებად გააკეთა ყველაფერი, რათა გადამწყვეტ მომენტში ქართული „უკანასკნელი ტერცია“ ბრძოლის ველზე არ გამოჩენილიყო.** ადგილობრივებით დაკომპლექტებული ბატალიონის დაშლა და 2006 წლის თანმდევი მოვლენები ხეობის ჩაბარების ერთგვარ პრელუდიას წარმოადგენდა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმოჩენა, ალბათ, არც ისე რთულია.

საქართველოში ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება: „რუსები ხეობას მაინც აიღებდნენ“, მაგრამ აქ პოლიტიკური ასპექტიც უნდა გავითვალისწინოთ — რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას არ ჰქონდა დრო და საკმარისად ლეგიტიმური საბაბი იმისთვის, რომ კოდორის ხეობის, ამ ბუნებრივი ციხესიმაგრის, რამდენადმე ხანგრძლივი შტურმი დაეწყო. დროის ფაქტორს ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. 12 აგვისტოსთვის ბრძოლები ცხინვალთან დასრულებული იყო, რუსული ქვედანაყოფები გორს მოადგნენ, დღის პირველ ნახევარში დიმიტრი მედვედევმა გააკეთა საჯარო განცხადება იმის თაობაზე, რომ ოპერაციის დასრულების გადაწყვეტილება მიიღო და გამართა მოლაპარაკება ნიკოლა სარკოზისთან სამშვიდობო დარეგულირების ძირითად პრინციპებზე. ამ მომენტისთვის კრემლმა სამხედრო ოპერაციის ყველა დეკლარირებულ მიზანს მიაღწია, ქართული ძალების ორგანიზებული წინააღმდეგობა შეწყდა, მათ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორია დატოვეს. როგორ უნდა დაეწყოთ ამ ფონზე მრავალდღიანი მძიმე ბრძოლები კოდორში, რომელსაც ცხინვალის რეგიონთან საერთო არაფერი აქვს? თუ ქართული ქვედანაყოფები ხეობაში დარჩებოდნენ, რუსებს დასჭირდებოდათ ავიაციის აქტიური გამოყენება, დამატებითი ძალების გადასროლა და ხანგრძლივ სისხლისმღვრელ ბრძოლაში ჩაბმა. თუ თვალს გადავავლებთ რუსი მაღალჩინოსანი სამხედროებისა და ექსპერტების ინტერვიუებს, იოლად აღმოვაჩენთ ცუდად შენიღბულ ქვეტექსტს: „რა კარგია, რომ კოდორის ხეობა უბრძოლველად დათმეს“. კი, აბსოლუტურთან მიახლოებული უპირატესობა ჰქონდათ და, სავარაუდოდ, ადრე თუ გვიან დაიკავებდნენ ხეობას, მაგრამ საქმე ის არის, რომ, პოლიტიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, ამისთვის „დამატებითი დრო“ არ ჰქონდათ, არც 1-2 კვირა, თუნდაც რამდენიმე დღე. ბრძოლები ცხინვალთან დასრულდა, სარკოზი მოსკოვში ჩაფრინდა, როგორ უნდა გაემართლე- ►

## სოხუმსა და თბილისს შორის, შესაძლოა, სარკინიგზო მიმოსვლა აღდგეს

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ლიდერ რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრისას მხარი დაუჭირა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას რუსეთსა და საქართველოს შორის აფხაზეთის გავლით. იუწყება რუსული სააგენტო РИА Новости.**

„მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია, სხვა პარტნიორებთან ერთად მოვიფიქროთ და, საერთო თანხმობის შემთხვევაში, განვახორციელოთ ისეთი პროექტი, როგორიცაა სატრანზიტო სარკინიგზო მიმოსვლა სოხუმსა და თბილისს შორის“, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა.

მის თქმით, ასეთი პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ურთიერთობების განვითარებას ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის.



# შესაძლოა, კვიციანის გულშემატკივრებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროტესტის გამოხატვა, არამედ 2006 და 2008 წლებში კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების მიუკერძოებელი გამოძიების მოთხოვნა.

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ბინათ ამ ფონზე კოდორის ხეობის რამდენადმე ხანგრძლივი შტურმი?

**კოდორის ხეობის დატოვების ბრძანება ვანო მერაბიშვილმა გასცა** (თუ დავეყრდნობით მისივე განცხადებას საპარლამენტო კომისიის სხდომაზე). **დაემორჩილებოდა თუ არა ბატალიონი „მონადირე“ მის ბრძანებას** (თუ მას წინმსწრებად არ დაშლიდნენ)**? გავიდოდნენ თუ არა ხეობიდან სხვა მებრძოლები, როდესაც შეიტყობდნენ, რომ ადგილობრივები პოზიციებზე რჩებიან? დაიწყებდნენ თუ არა რუსი სამხედროები შტურმს, როდესაც დაინახავდნენ, რომ ხეობის დამცველები თავგანწირული წინააღმდეგობის გაწევას აპირებენ, ხოლო დრო, რომელიც კრემლმა ამოცანის შესასრულებლად გამოუყო, ფაქტობრივად, ამოიწურა?** ასეთ სიტუაციაში, გამორიცხული არაა, ბრძოლა საერთოდ არ გამართულიყო და ხეობა ქართული მხარის კონტროლის ქვეშ დარჩენილიყო.

ცხადია, ყველაზე ნეგატიური სცენარიც უნდა განვიხილოთ და დავუშვათ, რომ, ყოველგვარი პოლიტიკური ლოგიკის საწინააღმდეგოდ, მედვედევი ახალი ოპერაციის დაწყების შესახებ განაცხადებდა, სარკოზის მოსკოვიდან გამოაგდებდნენ და დაიწყებოდა ხანგრძლივი ბრძოლა მძიმე დანაკარგებით ორივე მხარისთვის – ამ შემთხვევაში, ხეობის დამცველები საქართველოს ისტორიაში ადგილს 300 არაგველის გვერდით დაიმკვიდრებდნენ. შესაძლოა, სააკაშვილს ყველაზე მეტად სწორედ ამის ეშინოდა, რადგან „ვარდისფერ საქართველოში“ არ შეიძლებოდა, არსებულიყო სხვა გმირი, გარდა ბიუჯეტის ხარჯზე ეპილირებული ჯამბაზისა (მისი მსახურებისა და სხვა მსგავსი მეძავებისა). ლაჩარი ყოველთვის აკეთებს ყველაფერს, რათა მამაცი ადამიანის ღვაწლი დააკნინოს და მისი სახელი ლაფში ამოსვაროს, რადგან მის არსებობასაც კი სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამს. როგორ შეხედავდა საზოგადოება გორში მხოხავ სააკაშვილს, თუ ეცოდინებოდა, რომ იმავე დღეს „უკანასკნელმა ტერციამ“ აფხაზეთში იარაღის დაყრაზე უარი თქვა? რეჟიმისთვის, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ „მონადირეს“ დაშლა ხეობის ჩაბარების წინ, არამედ ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ჰეროიკული ეპოსის გაჩენას გამორიცხავდა. შესაძლოა, ამ ისტორიის ფსიქოლოგიური და სიმბოლური შემადგენელი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო-პოლიტიკური.

**იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ ჩააბარა ასე სამარცხვინოდ სააკაშვილმა კოდორის ხეობა (და ქართული ანკლავები ცხინვალთან), არაერთი ვერსია არსებობს. ერთ-ერთის თანახმად, მან ეს**



## თუ კვიციანს გაამართლებდნენ, საზოგადოებაში ბუნებრივად გაჩნდებოდა კითხვა: «რა მოხდა კოდორის ხეობაში 2006-ში?», რომელსაც ასევე ბუნებრივად მოჰყვებოდა კითხვა: «რა მოხდა იქ 2008-ში?»

## სწორედ ამიტომ სჭირდებათ, კვიციანი რომ დამნაშავედ ცნონ და მან რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკოს... «კუბლაშვილის სასამართლოს» დახმარებით ჯერჯერობით წარმატებას აღწევენ




**იმისთვის გააკეთა, რომ მის მმართველობას „დანარჩენ საქართველოში“ მოსკოვიდან პრობლემა არ შექმნოდა.** შედარებით ჩახლართული თეორიის ფარგლებში, ის განიხილავდა კონფლიქტურ რეგიონებს, როგორც ერთგვარ დამაკავშირებელ ხიდებს რუსეთსა და საქართველოს შორის, რომელთა არსებობა აიძულებდა, მოსკოვის ინტერესები გაეთვალისწინებინა და კომპრომისებზე წასულიყო და მან **2008-ში „დაწვა ხიდები“, რათა „დანარჩენი საქართველოს“ ევროატლანტიკური ინტეგრაცია დაეჩქარებინა.** არის სხვა ვერსიებიც, მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში, ალბათ, არის ის, რომ კვიციანსა და „მონადირეს“ კოდორის ხეობაში მსგავსი გეგმების ჩაშლა შეეძლო და ხელისუფლებამ რიგი პროვოკაციებით 2006-ში ისინი მკვეთრ, იმპულსურ რეაქციამდე მიიყვანა.

პროკურატურა კვიციანს ამბოხსა და ტერორისტული(?) აქტების მოწყობას აბრალებს, მაგრამ, საქმე რეალურ ამბოხამდე რომ მისულიყო, ხეობის შუაგულისკენ მიმავალი სამთავრობო ძალების ერთ-ერთი კოლონა (ამ ეპიზოდს არაერთი თვითმხილველი ჰყავს), რომელიც ბანალურად გაიჭედა გზის რთულ მონაკვეთზე, იქიდან უვნებლად ვერ გააღწევდა. **კვიციანის რაზმმა მაშინ ცეცხლი არ გახსნა და ძმათამკვლელი ომი არ დაიწყო, იგივე მოხდა ზოგიერთ სხვა ეპიზოდში, ზოგადად კი, მისი გამოსვლა გაცილებით უფრო ჰგავდა საპროტესტო დემონსტრაციას (ადგილობრივი სპეციფიკით), ვიდრე ნამდვილ ამბოხს.**

მაგრამ სააკაშვილისთვის და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ის პოლიტიკური მითოლოგია, რომელიც 2006 წლის მოვლენებისთვის შეთხზა, ეჭვქვეშ არ დადგეს. თუ კვიციანს გაამართლებდნენ, საზოგადოებაში ბუნებრივად გაჩნდებოდა კითხვა: „რა მოხდა კოდორის ხეობაში 2006-ში?“, რომელსაც ასევე ბუნებრივად მოჰყვებოდა კითხვა: „რა მოხდა იქ 2008-ში?“, ხოლო ობიექტური გამოძიების შედეგებზე დაფუძნებული, სწორი პასუხი ამ კითხვაზე სააკაშვილის რეჟიმს, დიდი ალბათობით, სამარცხვინო ბოძზე გააკრავს. სავარაუდოდ, **სწორედ ამიტომ მათ სჭირდებათ კვიციანი დამნაშავედ ცნონ და მან რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკოს.** და „კუბლაშვილის სასამართლოს“ დახმარებით ჯერჯერობით წარმატებას აღწევენ.

დასასრულ, კიდევ ერთი ციტატა ფილმიდან „კაპიტანი ალატრისტე“: უკანასკნელი შეტაკების წინ ერთ-ერთი მომაკვდავი ესპანელი ვეტერანი ახალბედა თანამებრძოლს ეუბნება: „მოუყევი ყველას, რა მოხდა აქ“. ამ მოკლე ანდერძიდან შემდგომ დაიბადება კაპიტან ალატრისტეს და უკანასკნელი ტერციის მთელი ისტორია, რომელიც მომავალ თაობებს მოუთხრობს ღირსებასა და ღალატზე, სიმამაცესა და ლაჩრობაზე, კაცობასა და არაკაცობაზე. შესაძლოა, კვიციანის გულშემატკივრებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პროტესტის გამოხატვა, არამედ 2006 და 2008 წლებში კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების მიუკერძოებელი გამოძიების მოთხოვნა. ამასთანავე, თვითმხილველებმა უნდა მოგვითხრონ, რაც შეიძლება მეტი იმ მოვლენებზე, რომლებზეც საზოგადოებამ, კერძოდ კი ახალგაზრდობამ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ძალიან ცოტა იცის. ასე რომ, „მოუყევით ყველას, რა მოხდა იქ“, ამის გაკეთება შექმნილ სიტუაციაში, ალბათ, აუცილებელია.



## ევროპა მმართველი პოლიტიკოსებისა და პარტიებისადმი ნდობას კარგავს

**ევროპის პოლიტიკური ისტებლიშმენტი მოქალაქეების ნდობას კარგავს, ხოლო მხარდაჭერა იმ პარტიებისადმი, რომლებიც მმართველ ელიტას უპირისპირდებიან, იზრდება. ასეთი ვითარებაა ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, შვედეთსა და გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში კი კონსერვატიული პარტიის რამდენიმე წევრი-პარლამენტარი დამოუკიდებლობის პარტიაში გადავიდა.**

საბერძნეთში, ფინანსური კრიზისის შემდეგ, რომელმაც ამ ქვეყნის ეკონომიკა, ფაქტობრივად, დაანგრია, მკვეთრად გაიზარდა პოპულარობა მემარცხენე მიმართულების გაერთიანებისა სახელწოდებით „მემარცხენე რადიკალური ძალების კოალიცია“. მას მხარს უჭერს მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი.

ანალოგიური ვითარებაა ესპანეთშიც. შვედეთში კი სულ უფრო იზრდება „შვედი დემოკრატების“ მხარდამჭერთა რიცხვი. ეს პარტია მიგრაციული პოლიტიკის გამკაცრების მომხრეა.

იტალიაში პრემიერმინისტრის პოსტზე, შესაძლოა, ყოფილი კომიკოსი ბეპე გრილო ვიხილოთ. 2013 წლის საპარლამენტო არჩევნებში მას მხარი 8 მილიონმა ამომრჩეველმა დაუჭირა.

გერმანიაში ნელ-ნელა ეცემა ანგელა მერკელის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პოპულარობა, პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მხარდამჭერთა რაოდენობა კი იმატებს.



## გრივნის დევალვაცია

**უკრაინის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა ვალერია გონტარევამ განაცხადა, რომ გრივნის დევალვაციამ 100%-ს მიაღწია.** „50%-იანი დევალვაციის პირობებში ჩვენ შევძელით ვითარების სტაბილიზაცია, მაგრამ ახლა ბიზნესში პანიკა დაიწყო, რადგან დევალვაციამ უკვე 100%-ს მიაღწია. მიმდინარე წლის 11 ნოემბერს 1 დოლარი 15,77 გრივნის ტოლი იყო, 2013 წლის ნოემბერში კი 1 დოლარი 7,99 გრივნა ღირდა.

მოკლედ



## ჩეხეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კონვერტით საწამლავი გაუგზავნეს

**ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამ უწყების ხელმძღვანელის — მილან ხოვანეცის სახელზე მიიღო კონვერტი, რომელშიც საწამლავი, სავარაუდოდ, ციანიდი იდო.**

გაზეთ Novinky-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კონვერტი გამოგზავნილია ჩრდილოეთ ევროპიდან. სამინისტროს არც ერთი თანამშრომელი არ დაზარალებულა.

„ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბოლო ხანს გააუვნებლა რამდენიმე დაჯგუფება, რომლებიც ნარკოტიკების რეალიზაციით იყვნენ დაკავებულნი, გარდა ამისა, ჩვენ პრაქტიკულად დავეხმარეთ ქურთ კოლეგებს „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკებთან“ ბრძოლაში,“ — განაცხადა მილან ხოვანეცმა ინციდენტის შესაძლო მიზეზებზე საუბრისას.

გავრცელებული ინფორმაციით, ოფიციალურმა პრაღამ ერაყის არმიას რამდენიმე გამანადგურებელი და 500 ტონა საბრძოლო მასალა გადასცა.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვსვამ შეკითხვას: პროკურორი ადამიანისა, რომელიც აღიარებულია პოლიტპატიმრად, პროკურორი, რომელმაც ის დასაჯა უსამართლოდ, დღეს როგორღა აგრძელებს საქმიანობას? რა ხდება ქვეყანაში?!“**



# ნორა კვიციანი: ამის შემდეგ რომელი ჯარისკაცი დადებს ფიცს და წავა სამშობლოს დასაცავად?!

**17 ნოემბერს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, რომელიც რეალურად სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი ნარჩენებითაა დაკომპლექტებული და კვლავ მრუდე სამართლებრივ კურსს განაგრძობს, კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულ ემზარ კვიციანს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენს პატიმრის ახლობლებისა და ოჯახის წევრების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა, თუმცა სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში რჩება და რა შედეგს მოიტანს მისი გასაჩივრება, კაცმა არ იცის. ყოველ შემთხვევაში, იმის ალბათობა, რომ კოტე კუბლაშვილის მიერ მართული სასამართლო საქმეს ობიექტურად წარმართავს, მცირეა...**

**„საქართველო და მსოფლიო“ ემზარ კვიციანის დას — ნორა კვიციანს შეხვდა და გამოძიების დეტალებზე რამდენიმე შეკითხვა დაუსვა.**

**— ქალბატონო ნორა, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელისუფლება დღეს, ფაქტობრივად, იმ კადრებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს მუშაობდნენ და სააკაშვილის პოლიტიკურ დაკვეთებს უსიტყვოდ ასრულებდნენ, თქვენი ძმისთვის გამოტანილი განაჩენი ბევრისთვის მაინც მოულოდნელი აღმოჩნდა. როგორ ფიქრობთ, ვინ არის დაინტერესებული ემზარ კვიციანისთვის თავისუფლების აღკვეთით და ვის დაკვეთას ასრულებს სასამართლო?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. თავდაპირველად, პოლიტპატიმართა იმ სიაში, რომელიც პარლამენტში შევიდა განსახილველად, ემზარიც იყო და დარწმუნებული ვიყავით, რომ პოლიტდევნილად აღიარებდნენ, მაგრამ მერე სიიდან ამოიღეს. რომ ვიკითხე, რაშია საქმე-მეთქი, მითხრეს, საბუთები არ არის მოწესრიგებულიო. შევადგინეთ ეს საბუთებიც და მივიტანეთ პარლამენტში, მაგრამ მაინც არ შეიყვანეს პოლიტპატიმართა სიაში. ამის შემდეგ ემზარმა გადაწყვიტა, ჩამოსულიყო საქართველოში. ამბობდა, ჩემს უდანაშაულობას დავამტკიცებო. იცოდა და ჩვენც ვიცოდით, რომ საქართველოში შემოსვლისთანავე აიყვანდნენ, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ სიმართლეს დაამტკიცებდა და ჩამოვიდა. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყანაში სამართალი კვლავ არ არის. **სასამართლომ გამოიტანა ისეთი განაჩენი, რომელიც ყველასთვის მოულოდნელი იყო. ყველა დავრწმუნდით, რომ მართლმსაჯულებას ისევ ახორციელებს ის კლანი, რომელსაც წინა ხელისუფლების პერიოდში უსამართლო განაჩენების გამოტანა ჩვევად ჰქონდა გადაქცეული...**

**— ამ საქმეში სააკაშვილის რეჟიმისდროინდელი რომელი პროკურორი ან მოსამართლეა ჩართული?**

— მაგალითად, **პროკურორი თენგიზ ხარებავა. ის არის პარლამენტის მიერ პოლიტიკურ პატიმრად აღიარებული თორნიკე მოლაშვილის პროკურორი.** ახლა **ვსვამ შეკითხვას: პროკურორი ადამიანისა, რომელიც აღიარებულია პოლიტპატიმრად, პროკურორი, რომელმაც ის დასაჯა უსამართლოდ, დღეს როგორღა აგრძელებს საქმიანობას? რა ხდება ქვეყანაში?!**

როგორც კი შევიტყვეთ, ხარებავა იქნებოდა ემზარის პროკურორი, მაშინვე მივეცით აცილება და განვაცხადეთ, რომ „ნაციონალების“ კადრი არ გვჭირდებოდა. მერე დაიწყო გამოძიება, ასობით ადამიანი დაიკითხა და ვერ იპოვეს თუნდაც ერთი მოწმე, რომელიც ემზარზე ცუდს იტყოდა, მის დანაშაულზე მიუთითებდა. ის კი არა, ერთ-ერთი გამომძიებელი ისე გაბრაზებულა, ჩვენება დაუხევია, ესენი რას ლაპარაკობენ, კაცი გმირად გამოჰყავთო. აი, ასე მიმდინარეობდა გამოძიება და ბოლოს რა განაჩენიც გამოიტანეს, ხედავთ. **მათ არ გაითვალისწინეს არც ერთი ჩვენება, არც ერთი გარემოება, რომელიც ჩემი ძმის უდანაშაულობას დაამტკიცებდა და სასამართლომ მიიღო არაობიექტური, მიკერძოებული გადაწყვეტილება.**

**— სასამართლო პროცესზე რამდენჯერმე იყო დაბარებული ირაკლი ოქრუაშვილი, მაგრამ ერთხელაც არ გამოცხადდა. როგორ ფიქრობთ, რატომ აარიდა მან თავი გამოძიებას?**

— ოქრუაშვილი სამჯერ არ გამოცხადდა პროცესზე, ვერ დადგა ემზარის პირისპირ და ვერ გაბედა, პასუხი გაეცა მისი შეკითხვებისთვის.

ოქრუაშვილი პირველად ოქტომბრის დასაწყისში დაიბარეს, მაგრამ არ გამოცხადდა, შემდეგ მეორედ დაიბარეს და



**«აღიარე დანაშაული, ანუ თქვი, რომ დამნაშავე ხარ და გაგათავისუფლებთო, — აი, რას სთავაზობდნენ ემზარს. მან იმხანად უპასუხა და იმავეს გაიმეორებს მომავალშიც: მირჩევნია, ციხეში ვიჯდე, თუნდაც სამუდამოდ, ვიდრე სააკაშვილის მოღალატეობა «გავაპრავოო»**

მაშინაც არ მოვიდა. გვეუბნებოდნენ, ახალი ჩამოსულია უცხოეთიდან და მოსვლას ვერ ახერხებსო. დაგვპირდნენ, 22 ოქტომბერს აუცილებლად მოვიყვანთო, მაგრამ 19-ში გააცილეს საზღვარგარეთ, უწყება კი 21-ში მიაწოდეს, ანუ ისე გააკეთეს, ვითომ დაგვიანებით მიუვიდა შეტყობინება. ოქრუაშვილს, უბრალოდ, შეეშინდა სიმართლის გარკვევის, ის ვერ ჩახედავდა ჩემს ძმას თვალებში და ვერ იტყოდა იმას, რაც რეალურად მოხდა, რა დანაშაულიც ჩაიდინა ხელისუფლებამ.

**— თქვით, რომ გამოძიების პროცესში ასზე მეტი მოწმე დაიკითხა და არც ერთს არ მიუცია თქვენი ძმის საწინააღმდეგო ჩვენება. აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულებას გამამართლებელი განაჩენი უნდა გამოეტანა, მაგრამ მოხდა პირიქით. რა დაუდო საფუძვლად გამამტყუნებელ განაჩენს სასამართლომ?**

— ხაზს ვუსვამ: მიზანმიმართული შეცდომა იყო ის, რომ „ნაციონალების“ მიერ 2006 წელს გამოძიებით გამოიტანეს გაყალბებული განაჩენი. ჩემმა ძმამ თავისი უდანაშაულობა პირისპირ დაუმტკიცა ბრალდების მხარის ყველა წარმომადგენელს, მაგრამ სასამართლომ არ გაითვალისწინა არც ერთი გარემოება, ყურადღება არ მიაქცია არც ერთ მნიშვნელოვან ფაქტს, დეტალს, ჩვენებას და გამოიტანა აბსურდული განაჩენი. ეს საქმე რომ შეთითხნილია, ყველაფრიდან ჩანს. „რუსთავი 2“-ის იმჟამინდელ კადრებში გარკვევით დაინახავთ, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ისვრიან და ჩვენი მხრიდან წინააღმდეგობას არავინ უწევს. ვიმეორებ: **ეს იყო „ნაციონალების“ მიერ დადგმული სპექტაკლი, რომელიც ემსახურებოდა კონკრეტულ მიზანს — ჩემი ძმის მოშორებას და განადგურებას.**

**— როგორც ვიცი, ბატონ ემზარს გარკვეული პირობით სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებას ჰპირდებოდნენ, თუმცა მან უარი განაცხადა. კონკრეტულად რა პირობაზე იყო საუბარი?**

— **აღიარე დანაშაული, ანუ თქვი, რომ დამნაშავე ხარ და გაგათავისუფლებთო, — აი, რას სთავაზობდნენ ემზარს. მან იმხანად უპასუხა და იმავეს გაიმეორებს მომავალშიც: მირჩევნია, ციხეში ვიჯდე, თუნდაც სამუდამოდ, ვიდრე სააკაშვილის მოღალატეობა „გავაპრავოო“.**

**— განაჩენის გამოცხადების დღეს თქვით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებთ, მაგრამ სააპელაციო სასამართლოც, ფაქტობრივად, წინა ხელისუფლებისდროინდელი მოსამართლეებითაა დაკომპლექტებული. როგორ ფიქრობთ, მოხერხდება განაჩენის ობიექტურად გადასინჯვა?**

— არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ უნდა გამოინახოს გამოსავალი და ჩემი ძმა გამოვიდეს ციხიდან. მოვითხოვე საგამოძიებო კომისიის შექმნა პარლამენტში, მაგრამ ერთ-ერთი პარლამენტარი გამოდის და ამბობს, რა აზრი აქვს პარლამენტში კომისიის შექმნას, როცა იქ „ნაციონალები“ არიან ოპოზიციაშიო. აი, ასეთი მდგომარეობაა, მაგრამ კიდევ ვიმეორებ: ჩემი ძმა უდანაშაულოა და აუცილებლად უნდა გამონახონ გამოსავალი! ის არ უნდა იჯდეს ციხეში.

**— რას აპირებთ, თუ სააპელაციო სასამართლომაც არაობიექტური გადაწყვეტილება გამოიტანა?**

— ასეთ შემთხვევაში ძალიან ცუდად დასრულდება ყველაფერი. ვიდრე სამართალს არ ვიპოვით, არ გავჩერდებით. ეს არის პირველი სამარცხვინო განაჩენი, რომელიც ამ ხელისუფლების პირობებში გამოიტანეს და, თუ უნდათ, რომ ეს სამარცხვინო ლაქა სამუდამოდ არ დარჩეთ, უდანაშაულო ადამიანი უნდა გაათავისუფლონ. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ: **ქვეყანაში, სადაც უამრავი დამნაშავეა დაუსჯელი, პირველ რიგში, „ნაციონალების“ სახით, ემზარ კვიციანი ციხეში არ უნდა იჯდეს!** ყველამ იცის, რომ ჩემი ძმა მთელი ცხოვრება ერთგულად და პატიოსნად ემსახურებოდა სამშობლოს; ასე რომ, **ვინ არის მოღალატე და ვინ — პატრიოტი, ვინ დააქცია საქართველო და ვინ იცავდა სახელმწიფო ინტერესებს, კარგად გაარკვიონ.** დასასჭერი და ციხეში ჩასასმელი მართლა ბევრია დღეს ამ ქვეყანაში...

**— რამდენიმე დღის წინათ კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, სასამართლოზე ზემოქმედებენო. ეს უკვე გარკვეულწილად მიანიშნებს იმაზე, რომ მართლმსაჯულება არ წავა კომპრომისზე. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— სასამართლო პროცესის ჩანაწერები არსებობს, ვინც მაგას ნახავს, იფიქრებს, რომ ბოლოს ასეთი განაჩენი იქნებოდა?! ჩემმა ძმამ თავისი უდანაშაულობა პირისპირ დაუმტკიცა ბრალდების მხარის წარმომადგენლებს. ამას რომ უყურებდა, მოსამართლეს ენა ჩაუვარდა. **კუბლაშვილს რაც შეეხება, რატომ გამოიტანა განაჩენი მისმა სასამართლომ 2006 წლის გამოძიებით? ვისი გამოძიებით ასამართლებენ კაცს — ვანო მერაბიშვილის, რომელიც მკვლელობის ბრძანებას იძლეოდა და გაიძახოდა, ორი გვამი მჭირდებაო?!** ამ კრიმინალების გამოძიებით ასამართლებენ ადამიანს?! პირდაპირ ვაცხადებ, — დღეს წერტილი დაესვა საქართველოს დაცვას. **ამის შემდეგ რომელი ჯარისკაცი დადებს ფიცს და წავა სამშობლოს დასაცავად?!**

**— განაჩენის გამოცხადების შემდეგ ზოგიერთი ამბობდა, რომ ემზარ კვიციანი არის ამჟამინდელი ხელისუფლების პირველი პოლიტპატიმარი. ამ ფრაზაში, ალბათ, კორექტივის შეტანაა საჭირო: ხელისუფლების კი არა, ის „ნაცმოძრაობის“ სასამართლოს პატიმარია. არ მეთანხმებით?**

— ცხადია, სასამართლოს „ნაციონალები“ აკონტროლებენ და მათ ინტერესშია ჩემი ძმის ციხეში გამომწყვდევა დიდი ხნით, მაგრამ ხელისუფლება რას აკეთებს?! თუ ვერ უზრუნველყოფს უდანაშაულო ადამიანის დაცვას, მაშინ, ნებსით თუ უნებლიეთ, ისიც დამნაშავეა, ისიც მონაწილეობს ამ პროცესში და ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როცა ამ ხელისუფლების პირობებში ადამიანი პოლიტიკური ნიშნით გახდა პატიმარი.

**— პრემიერმინისტრის ინიციატივით თქვენი ძმის ოჯახს ბინა დაუბრუნდა და, როგორც შემდეგ მოვისმინეთ, ამით თურმე სახელმწიფომ ხაზი გაუსვა მის დამსახურებას. განაჩენს რაც შეეხება, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა, ემზარ კვიციანის მიმართ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებულიო...**

— პოლიტიკური გადაწყვეტილება რომ არის, ეს უკვე ვთქვი და ამას ადასტურებს უამრავი ფაქტი, ასე რომ, ამაზე აღარ ვისაუბრებ. რაც შეეხება პრემიერის გადაწყვეტილებას, მან გამოიჩინა დიდი გულისხმიერება და მოიქცა ღირსეულად, ამიტომ ნამდვილად ეკუთვნის ჩვენგან მადლობა! მაგრამ როგორ წარიმართება პროცესი, მომავალში გამოჩნდება. კიდევ ვიმეორებ: ჩვენ არ შევეგუებით უსამართლობას. **არ შევეგუებით იმას, რომ ჩემი ძმა უდანაშაულოდ იჯდეს ციხეში და სასჯელს იხდიდეს მხოლოდ იმის გამო, რომ სააკაშვილის რეჟიმმა შეუთითხნა აბსურდული ბრალდება!**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

„მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს კოდორის ხეობა მტერს ისე ჩააბარა, რომ სახელმწიფოს სიმბოლოებიც არ ჩამოუხსნიათ — ქართული დროშები ისევ ფრიალებდა. სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ასფალტი დააგეს იმ ხეობაში, რომელიც თავის დროზე გერმანელებმაც კი ვერ აიღეს, იქ, იმ ადგილზე ასფალტის დაგება და გზის გაყვანა რასაც ნიშნავდა, ყველამ კარგად იცოდა...“



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლალი მოროშკინა: პროკურატურამ უნდა გადაწყვიტოს, ვის თამაშს თამაშობს — საქართველოს თუ ძეგნილი პრეზიდენტის

**კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დაბრუნდა და თავისი ნებით ჩაბარდა პოლიციას. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა, საზოგადოება განაჩენს ელოდა, ყველა ფიქრობდა, რომ კვიციანი გამართლდებოდა, ხოლო ნამდვილი დამნაშავეები დაისჯებოდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ საქმის მთავრი მოწმეები დაკითხულებიც არ არიან, ემზარ კვიციანს კი 12 წელი მიუსაჯეს. სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოება შეაშფოთა, კვიციანის გათავისუფლებას მხარს უჭერს 30 პარლამენტარიც, რომლებიც რატომღაც ყოფილი რწმუნებულის მხარდამჭერ მიტინგზე არ მივიდნენ. ემზარ კვიციანი ზუგდიდში გაასამართლეს, მოსამართლე კი, ვინმე შოთა ბიჭია, ირაკლი ალასანიას თანაპარტიელისა და მეგობრის, ამჟამად ზუგდიდის საკრებულოს წევრის — ნუგზარ სარიას დისშვილია. ამ ფაქტს ბევრი საეჭვოდ მიიჩნევს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თვითონ ემზარ კვიციანმა ალასანია იმ ადამიანთა გვერდით მოიხსენია, რომლებსაც, მისი აზრით, კოდორის ხეობის დაკარგვაში ბრალი მიუძღვის. „საქართველო და მსოფლიო“ პროფესორ ლალი მოროშკინას ესაუბრა.**



**«მწამებლები, მკვლელები, პედოფილები, რომლებიც სააკაშვილმა ციხიდან გამოუშვა, არ დასჯილან. აი, ეს არის კოაბიტაციის შედეგი»**

— 2006 წლიდან მხარს ვუჭერ კვიციანების ოჯახს. ვაპროტესტებდი ნორა კვიციანის დაპატიმრებას, რომელიც ძმის — ემზარის გამო დააპატიმრეს, უფრო ზუსტად, მძევლად აიყვანეს. ნორა კვიციანი 7 წელი იჯდა ციხეში. მან უდიდესი სულიერი ტრამვა მიიღო. ემზარმა რადენიმეჯერ შემოუთვალა, ჩამოვალ და ჩავბარდებიო, მაგრამ ნორამ ნება არ დართო, — თუ შენ ჩამოხვალ, ციხიდან ცოცხალი არ გამოვალო, და სასჯელი ვაჟკაცურად მოიხადა. **ვიდრე ასეთი დაძმობა და დედაშვილობა იქნება, საქართველო არ გადაგვარდება, მუდამ ვიარსებებთ.**

**რაც დღეს კვიციანების თავს ხდება, უდიდესი პროვოკაციაა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ემზარ კვიციანი მოტყუებით ჩამოიყვანეს. მის საქმეზე აქამდე არ დაუკითხავთ ვანო მერაბიშვილი და ირაკლი ოქრუაშვილი, რაც აღმავებს ეჭვს, რომ ვიღაცას კვიციანის დაჭერა ხელს აძლევს.**

**ემზარ კვიციანი კოდორში რომ ყოფილიყო, ეს ხეობა დღესაც საქართველოს იურისდიქციაში იქნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ „მონადირის“ მეთაური „ნაცმოძრაობის“ დაუძინებელი მტერია.**

**მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს კოდორის ხეობა მტერს ისე ჩააბარა, რომ სახელმწიფო სიმბოლოებიც არ ჩამოუხსნიათ — ქართული დროშები ისევ ფრიალებდა. სააკაშვილმა და მისმა მთავრობამ ასფალტი დააგეს იმ ხეობაში, რომელიც თავის დროზე გერმანელმა ფაშისტებმაც კი ვერ აიღეს. იქ, იმ ადგილზე ასფალტის დაგება და გზის გაყვანა რასაც ნიშნავდა, ყველამ კარგად იცოდა...**

იმედი მაქვს, რომ ის, ვინც კოდორი დაკარგა, კვიციანების სახლ-კარი მიწასთან გაასწორა, აუცილებლად დაისჯება. კვიციანებთან ერთად აუცილებლად უნდა ვახსენო აფრასიძეები, ძმები, რომლებიც საკანშიც კი მონაცვლეობით თვლემდნენ, ვინმეს რომ არ მოეკლათ და ეს მას შემდეგ, რაც მათი ოჯახი ამოწყვიტეს და მათ ცეცხლწაკიდებულ გვამებზე გიორგი ბარამიძე ხელებს ითბობდა.

„ნაცებმა“ „ციხის ბუნტიც“ და „სვანების საქმეც“ შეგნებულად მოაწყვეს, მიზანი კი ძლიერი ხალხის განეიტრალება იყო.

**მწამებლები, მკვლელები, პედოფილები, რომლებიც სააკაშვილმა ციხიდან გამოუშვა, არ დასჯილან. აი, ეს არის კოაბიტაციის შედეგი.**

ის, რაც ხდება, ენით აუწერელი უსამართლობაა. ემზარ კვიციანის მხარდამჭერ დაუგეგმავ მიტინგზე უამრავი ადამიანი მოვიდა და მჯერა, ეს საქმე ხელახლა გადაიხედება. **ემზარ კვიციანს არავინ მოუკლავს, არავინ უწამებია, სამოც წელს მიღწეული კაცისთვის თავისუფლების 12 წლით აღკვეთა სამუდამო პატიმრობის ტოლფასია. აღარც კი მახსოვს, საქართველოში სამუდამო პატიმრობა როდის და ვის მიუსაჯეს.**

ემზარ კვიციანის საქმის მიმართ ბევრი შეკითხვა ჩნდება — მაგალითად, რატომ არ არის დაკითხული ირაკლი ოქრუაშვილი? ეს არის შერჩევითი სამართალი, რომელიც „ნაციონალებმა“ დაამკვიდრეს და რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება.

**— თქვენ ოქრუაშვილი და მერაბიშვილი ახსენეთ. მერაბიშვილის საქმეში კვიციანის გვარი ფიგურირებდა?**

**«ემზარ კვიციანს არავინ მოუკლავს, არავინ უწამებია, სამოც წელს მიღწეული კაცისთვის თავისუფლების 12 წლით აღკვეთა სამუდამო პატიმრობის ტოლფასია»**

— როგორც ვიცი, კვიციანის საქმეზე მერაბიშვილი უნდა დაეკითხათ, მაგრამ არ დაუკითხავთ. ჩემთვის წარმოუდგენელია, **რა საპროცესო შეთანხმებას სთავაზობდა მოსამართლე კვიციანს, როდესაც მის საქმეზე დღემდე დაკითხული არავინ არის. არ ვიცი, რის აღიარებას სთხოვდნენ ამ ადამიანს...**

30-ზე მეტმა დეპუტატმა კვიციანს მხარდაჭერა გამოუცხადა, თუმცა აქციაზე არ გამოჩნდნენ. თუ მხოლოდ სოსო ჯაჭვლიანს ეყოფა ხალხის გვერდით დგომის ვაჟკაცობა, მაშინ ეს პარლამენტი უნდა დაიშალოს, რადგან დეპუტატი, რომელიც ჯერ თავდებში ჩაგვიდგება, შემდეგ კი თავის სიტყვას უკან წაიღებს, ხალხის აზრის გამომხატველი ვერ იქნება. ასეთ შემთხვევაში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები გარდაუვალია.

**— იქნებ დააშინეს ეს დეპუტატები?**

— თუ დააშინეს, მითუმეტეს, კარგად ბრძანდებოდნენ, დაშინებული პარლამენტარი არაფერში გვჭირდება! ხვალ ომი რომ დაიწყოს, ვის იმედზე უნდა ვიყოთ, ასეთი დეპუტატები ერთხელ უკვე ხომ გვყავდა?!

**— ბევრი ამბობს, რომ პროკურატურა საბოტაჟს უწყობს პრემიერს...**

— დიახ, ეს საბოტაჟია და აქ ახალი არაფერია.

**— ციხეში ბოლო ხანს გამოვლენილი წამების საქმე სასჯელაღსრულების დეპარტმანეტმა პროკურატურას გადასცა. ფიქრობთ, რომ ამ საქმეს სრულყოფილად გამოიძიებენ და დამნაშავე დაისჯება?**

— ეს იყო უპრეცენდენტო შემთხვევაა, როდესაც დანაშაულს იძიებს პროკურატურა და არა გენინსპექცია, ამიტომ მგონია, რომ ყველა დამნაშავე დაისჯება.

**— ამბობთ, რომ კვიციანის საქმეზე საბოტაჟი მოაწყო პოკურატურამ, რომელმაც ციხეში წამების ფაქტი უნდა გამოიძიოს. ეს პროკურატურა სანდოდ მიგაჩნიათ?**

— დიახ, პროკურატურაში არიან ადამიანები, რომლებიც ქვეყნის წინააღმდეგ მუშაობენ, კვიციანის საქმეში, როგორც ჩანს, ასეთი პროკურორები და მოსამართლეები ჩაერთვნენ. თუ სააპელაციო სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, მაშინ კვიციანის საქმე სტრასბურგში გაიგზავნება და ამ საქმეს დაერქმევა „კვიციანები საქართველოს წინააღმდეგ“.

**— ქალბატონო ლალი, ბოლო სატელევიზიო ინტერვიუში ნათლად გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილი პროკურატურის საიდუმლო მასალებსაც კი იცნობს, როგორ ფიქრობთ, ის რომ დაინტერესებულიყო კვიციანის საქმით, ვერ გაიგებდა, რა ხდებოდა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ პრემიერის წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟზე საუბრობთ.**

— ივანიშვილი ვალდებულია, საქართველოს მაჯისცემაზე ხელი ედოს და აკონტროლებდეს ყველაფერს იმ ქვეყანაში, რომელიც იხსნა. ვფიქრობ, **ბიძინა ივანიშვილმა მის გარშემო მყოფ ხალხს თავის გამოვლენის საშუალება მისცა. ადამიანები, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს ნამდვილად დიდ ვაჟკაცობას იჩენდნენ ოპოზიციაში ყოფნისას, საინტერესო იყო, როგორი იქნებოდნენ ხელისუფლებაში — გაღორდებოდნენ თუ არა, ჩასხდებოდნენ თუ არა შავ ჯიპებში? და ჩვენ მივიღეთ გაზულუქებული, გაღორებული უმრავლესობა.**

**— ვინ იყო დაინტერესებული ამ ხელისუფლებიდან კვიციანის საქმით?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ ამის გარკვევა ძნელი არ იქნება. ვიდრე მერაბიშვილი და ოქრუაშვილი არ დაიკითხებიან, მანამდე კვიციანის წინააღმდეგ საქმე არ იარსებებს, ე. ი. კვიციანი არარსებულ საქმეზე გაასამართლეს.

**— ორ წელიწადში შეუძლებელია ეკონომიკის აღდგენა, მაგრამ პროკურატურის გაწმენდას რა უნდოდა?**

— პროკურატურა მონსტრია, ის ასე ადვილად ასაღები არ არის. იქ ერთი ადამიანიც არ არის, რომელიც ჩემსავით იტყვის, რომ სამინისტროში მოღალატეები არიან, არავის ეყოფა ვაჟკაცობა, გვარები დაასახელოს.

**— ბევრი ამბობს, რომ პრემიერისთვის ეს ღირსების საქმეა და, თუ კვიციანის ამბავი სათანადოდ არ გადაწყდა, შეიძლება, შეეწიროს ან გმირად წარმოჩნდეს.**

— დიახ, ეს ღარიბაშვილისთვის ღირსების საქმეა, ამ ამბავმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ არ უნდა გააღწიოს.

**— „ციხის ბუნტის“ საქმეზე საუბრისას განაცხადეთ, რომ თქვენს მეუღლეს ბაჩო ახალიამ ესროლა, მაგრამ ტყვიას ერთ-ერთი პატიმარი აეფარა და დაიღუპა. თქვენი მეუღლე კი არავის დაუკითხავს. დაკითხული არ არის ბევრი ადამიანი, რომლებიც ამბობენ, რომ, რაც ციხეში მოხდა, ძალიან კარგად იცის იმჟამინდელმა სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა. როგორ გგონიათ, სუბარმა იცის, „ბუნტის“ დროს სროლის ბრძანება ვინ გასცა და ხელს აფარებს?**

— **სახალხო დამცველმა, როგორც წესი, ყველაფერი იცის. თუ გახსოვთ, ეს იყო 2006 წელი — ნულოვანი ტოლერანტობის პერიოდი, შესაძლებელია, სახალხო დამცველის განცხადება დიპლომატიური ყოფილიყო... სწორედ ამას ვამბობ, პროკურატურამ უნდა გადაწყვიტოს, ვის თამაშს თამაშობს — საქართველოს თუ ძეგნილი პრეზიდენტის.**

**— ხელისუფლების ცვლილებიდან ცოტა ხანი იყო გასული, როცა თქვით, თუ იმედი გამიცრუა ხელისუფლებამ, კვლავ ოპოზიციაში ჩავდგებიო. გაგიცრუვდათ თუ არა იმედი?**

— ხელისუფლებისა და მისი კურსის იმედი არ გამცრუებია. მომწონს ბევრი სამინისტროს მუშაობა, პრემიერის ბევრი განცხადება, მაგრამ კატეგორიულად ვგმობ საპარლამენტო უმრავლესობის ვიგინდარობას, მათ იმედი ნამდვილად გაგვიცრუეს მეც და ხალხსაც. სწორედ უმრავლესობის ბრალია „ნაცების“ ყელყელაობა. ბევრი მათგანი საერთოდ არ უნდა იჯდეს პარლამენტში.

**— თქვენ განეკუთვნებით იმ ადამიანთა კატეგორიას...**

— რომელიც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს. **ვერ ვუყურებ, როგორ ეკურკურებიან ერთმანეთს უმრავლესობა და „ნაცები“ პარლამენტის დარბაზში შესვენებებზე — ამას ვერ ავიტან!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

ინფორმაცია განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა!“



ალექსანდრე ჭაჭია:

# ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის

## ცნობილი პოლიტოლოგის პროგნოზები საქართველოში პროცესების განვითარებაზე ზედმიწევნით ასრულდა

**ნაწილი მეორე. პირველი ნაწილი იხ. №42 (277)**

**მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია „საქართველო და მსოფლიოს“ წინა, 42-ე ნომერში, გამოქვეყნებულმა მასალამ („ალექსანდრე ჭაჭია: დიპლომატია და არა არმია შეიძლება, გახდეს რეგიონში ჩვენი მნიშვნელობისა და უსაფრთხოების საფუძველი“), რომელშიც მოყვანილი იყო ამონარიდები ცნობილი პოლიტოლოგის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას მიერ ჩვენი გაზეთისთვის სხვადასხვა პერიოდში მიცემული ინტერვიუებიდან — ის ზუსტ დიაგნოზს სვამს პროცესებზე, რომლებიც მოგვიანებით საქართველოში განვითარდა. დღეს კვლავ გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს, რათა კიდევ ერთხელ დარწმუნდეთ, რაოდენ ზუსტად ახდა ბატონი ალექსანდრეს პოლიტიკური პროგნოზები საქართველოში განვითარებულ პროცესებზე.**

### ეკლესიის მისია

**(„საქართველო და მსოფლიო“, №20(207), 5 - 11 ივნისი, 2013წ.):**

„საზოგადოების პატრიოტული ნაწილი, მათ შორის, მეც, უკმაყოფილო იყო ეკლესიის პასიურობით, მისი გადაწყვეტილებით, — არ ჩარეულიყო საზოგადოებრივ პროცესებში და არ გამოეთქვა თავისი მოსაზრება ერის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების თაობაზე. ქვეყნის ნგრევის, ერის გახრწნის, საზოგადოების დეგრადაციის, ტრადიციული ღირებულებების დევალვაციის პროცესი, დიდი ხანია, მიმდინარეობს და ამ პროცესის მამოძრავებელი ძალა ანგაჟირებული, გამყიდველი ხელისუფლება იყო. ხალხი ამას ხედავდა და ელოდა ეკლესიისგან საპროტესტო სიტყვას, იმედი ჰქონდა მისი პრინციპული პოზიციის, მაგრამ ეკლესია დუმდა, თავს იმართლებდა საერო ცხოვრებაში არჩარევის პრინციპით. ზუსტად **მაშინ მე საჯაროდ განვაცხადე და რამდენიმეჯერ გავიმეორე, რომ ღმერთმა ჩვენ ეკლესია ერის გადასარჩენად, სულიერი განვითარებისთვის და ზნეობრივი სრულყოფისთვის გვიბოძა და ამ მაღალი მისიის შესრულებისგან ეკლესიის განდგომა დაუშვებელია-მეთქი.** ეკლესია დუმილს აგრძელებდა. მიუხედავად ამისა, მის მიმართ ნდობის დონე რჩებოდა ძალიან მაღალი, თავისთავად ეკლესია იყო და რჩება ერთადერთ საზოგადოებრივ ინსტიტუტად, რომელსაც ხალხი უკავშირებს თავის იმედებს ეროვნული და კულტურული იდენტობის შენარჩუნების თვალსაზრისით. მადლობა ღმერთს, **ბოლო ორი-სამი წელია, ქართველი სამღვდელოების ნაწილმა, მათ შორის ეკლესიის იერარქებმაც, დაიწყეს მწვავე ეროვნულ საკითხებზე ქადაგება არა მხოლოდ ტაძარში, არამედ გაზეთის ფურცლებიდანაც.** მთელი გულით მივესალმები სასულიერო პირების ასეთ საზოგადოებრივ აქტივობას. მთავარია, რომ ქვეყანაში არსებული ანტიეროვნული ძალების ძლიერი ზეწოლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წნეხის გამო ეს დიდი ხნის ნანატრი აქტივობა კლებისკენ არ წავიდეს და ეკლესია კვლავ არ ჩაიკეტოს თავის შიდა ცხოვრებაში. ამისთვის კი მას მთელი საზოგადოების, მთელი ერის მხარდაჭერა სჭირდება. ეს ეხება არა მხოლოდ მართლმადიდებელ მრევლს, არამედ ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რომელთაც სურთ მომავალი თავიანთი შვილებისთვის. **ყველაზე შეუპოვარ ათეისტს, საზოგადოებრივი ინოვაციების ყველაზე აქტიურ მხარდამჭერს უნდა ესმოდეს, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი ერის ტრადიციული ღირებულებების საგანძურში უდიდესი პლასტია, რომელიც ქართველი ერის იდენტობას განსაზღვრავს, ხოლო ტრადიცია ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია“.**

*საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ გააფთრებული შეტევა „ვარდების რევოლუციის“ გარიჟრაჟზე დაიწყო, როდესაც გლდანის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის კარი სატვირთო მანქანით შელეწეს ულმერთო „ნაციონალებმა“, შემდეგ კი მრევლს სასტიკად გაუსწორდნენ. ეს გააფთრებული ბრძოლა, რომელიც ე. წ. გლობალისტების მხარდაჭერილ-დაფინანსებულია, დღესაც გრძელდება. ებრძვიან საქართველოს პატრიარქს, ებრძვიან მართლმადიდებლობას, რათა ქართველ ერს ის საყრდენი გამოაცალონ, რომელზეც აქამდე იდგა.

**«ყველაზე შეუპოვარ ათეისტს, საზოგადოებრივი ინოვაციების ყველაზე აქტიურ მხარდამჭერს უნდა ესმოდეს, რომ მართლმადიდებლობა ჩვენი ერის ტრადიციული ღირებულებების საგანძურში უდიდესი პლასტია, რომელიც ქართველი ერის იდენტობას განსაზღვრავს, ხოლო ტრადიცია ერის სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია»**

### აფხაზეთის თემა

**(„საქართველო და მსოფლიო“, №31(218), 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.):**

„მე ვთავაზობდი, დაევალდებულებინათ პრეზიდენტი, უკვე 1-2 წლის შემდეგ ამ მიმართულებით თავისი საქმიანობის კონკრეტული შედეგები წარედგინა საზოგადოებისთვის. გარწმუნებთ, რომ ამ შემთხვევაში პრეზიდენტობაზე პრეტენდენტთა რიცხვი არ იქნებოდა ორი-სამის მეტი და მათთვისაც თხოვნა იქნებოდა საჭირო, რათა კენჭი ეყარათ. მაგრამ **ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, მოსახლეობის კისერზე დასვას მაღალი რანგის უსაქმური, რომელიც დახვდება უცხოელ სტუმრებს, ხელს მოაწერს მთავრობის მიერ მომზადებულ ქაღალდებს და პერიოდულად ტელევიზორის ეკრანიდან მოგვიყვება, თუ როგორ ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს ეს ხელისუფლება...**

საერთოდ, **ივანიშვილის ქცევიდან, მისი საკადრო პოლიტიკიდან, რიტორიკიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჩვენი კონფლიქტების მოგვარება არც პირადად მისთვის და არც ამ ხელისუფლებისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს. თუ თქვენ შენიშნეთ, აფხაზეთის თემა საქართველოს საჯარო პოლიტიკიდან შეუმჩნევლად ამოვარდა. არც ხელისუფლება, არც ოპოზიცია, არსებითად, ამ საკითხს არ ეხება. რაკი აცნობიერებენ, რომ მათგან ვერც ერთი ახერხებს, თუნდაც შეუდგეს ამ პრობლემების მოგვარებას, ცდილობენ, მათ გვერდი აუარონ, ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლონ,არ გაამახვილონ საზოგადოების ყურადღება ამ, მათი აზრით, უიმედო თემებზე.**

თუთიყუშივით იმეორებენ ივანიშვილის გაუგებარ სენტენციას: „ჩვენს ძმებ აფხაზებთან და ოსებთან ერთად ავაშენებთ აყვავებულ საქართველოს“. რომელმა აფხაზმა გიწოდა ძმა? რომელი ოსი დაგთანხმდა ერთად ქვეყნის აშენებაზე? გაიხსენეთ სააკაშვილის მმართველობის პირველი წლები, ისიც ლაყბობდა ძმობაზე, უკვეთავდა ისეთ სამარცხვინო კლიპებს, როგორიცაა „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“, სადაც დაქირავებული მომღერლები ყველას აფხაზეთში ეპატიჟებოდნენ. სოხუმში სიამოვნებით აჩვენებდნენ ამ კლიპს, რათა დაეცინათ ბრიყვი ქართველებისთვის. არავის სჭირდება ძმობის შესახებ მტკიცებები, ამის არავის სჯერა, ეს არაფრის მომცემია, საკუთარი ღირსების დამცირების გარდა. **საჭიროა პრაგმატული, არსებითი დიალოგი რუსეთის დაინტერესებული მონაწილეობით, მაგრამ ამგვარი დიალოგის დაწყების არც სურვილი და არც შესაძლებლობები ახალ ხელისუფლებას არ აქვს, ისე, როგორც არ ჰქონდათ არც სააკაშვილს და არც შევარდნაძეს“.**

*არც სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში და არც ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ ნაბიჯი არ გადადგმულა. ამ საკითხზე არათუ ხელისუფლებაში, მედიასაშუალებებშიც იშვიათად მსჯელობენ.

### მწვავე პრობლემა – უცხოელებისთვის მიწების მიყიდვა

**(„საქართველო და მსოფლიო“, №20(207), 5-11 ივნისი, 2013წ.):**

„თუ გახსოვთ, ყოველთვის გამოვდიოდი მიწაზე კერძო საკუთრების შემოღების წინააღმდეგ, მომყავდა მაგალითები რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ამ მახეში გაებნენ; ვარწმუნებდი საზოგადოებას, რომ გაპარტახებულ ქვეყანაში კერძო საკუთრებაში გადაცემული მიწა გახდება ღარიბი გლეხისთვის ერთადერთი, მაგრამ მკვდარი კაპიტალი და ის აუცილებლად შეეცდება მის გაყიდვას, ხოლო ყიდვას შეძლებენ მხოლოდ უცხოელები. ჩემი ოპონენტები აცხადებდნენ, რომ ეს არის „ყველა ცივილიზებული სახელმწიფოს პრაქტიკა“ და, „თუ ჩვენ ევროპაში გვინდა“, უნდა ვიყოთ ასეთივე ცივილიზებულები. მთავარი, რა თქმა უნდა, ის არის, რომ **ეს იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოთხოვნა და მის მიერ დაქირავებული საქართველოს მთავრობის წევრები და საზოგადო მოღვაწეები არწმუნებდნენ ერს, რომ ეს ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რომელიც ქვეყნის სოფლის მეურნეობას „საბჭოთა ჩიხიდან“ გამოიყვანს. ეს ასფალტზე გაზრდილი „ექსპერტები“ არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ, თუ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააუქმებდნენ და მიწას გლეხებს კერძო საკუთრებაში დაურიგებდნენ, მაშინ მადლიერი და გახარებული გლეხობა ენთუზიაზმით დაამუშავებდა მას, მოსავლიანობა ათმაგად გაიზრდებოდა და ყველა იქნებოდა ბედნიერი და კმაყოფილი.** საინტერესოა, რომ თვითონ გლეხები სხვა აზრისანი იყვნენ, მაგრამ „ექსპერტები“ ამას მათი „ჩამორჩენილობითა“ და „საბჭოთა მენტალიტეტით“ ხსნიდნენ. მიწაზე კერძო საკუთრების შემოღება არის დანაშაული არამხოლოდ მცირემიწიანობის მიზეზით, არამედ იმიტომაც, რომ ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს და ერი არ არის მხოლოდ დღევანდელი თაობა, არამედ — წინა და მომავალი თაობებიც, ერთად აღებული. **ერის არც ერთ თაობას არ აქვს უფლება, გაყიდოს ის, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის“.**

*ტერიტორიადაკარგული და ისედაც მცირემიწიანი საქართველოს მიწის უცხოელებისთვის მიყიდვას კვლავაც განაგრძობს ხელისუფლება. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა კი, რადგან მიწის დამუშავების სახსარი არ აქვს, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გარბის.

### მეორე შვეიცარია, მეორე სინგაპური და მეორე დუბაი

**(„საქართველო და მსოფლიო“, №34(221), 18-24 სექტემბერი, 2013წ.):**

„ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას,

# „ხელისუფლებისგან არ უნდა ველოდოთ იმას, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ შედის საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაში. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გადაბჟირდებიან, საქართველოს ხელმძღვანელობის რაიმე საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივას რომ მოჰკრან ყური“.

ინფორმაცია განსჯისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტიანი პაკეტი აქვს და სადაც მინისტრები, დეპუტატები — მისი თანაშემწეები, კლერკები, ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი **განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს „საინტერესო“ პრეზიდენტს და „საინტერესო“ პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მიდგომა ბიზნესსტრუქტურისადმი: შევქმნი კომპანიას, დავნიშნავ ჩემს ხალხს და გავაკონტროლებ, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის. სახელმწიფოს მართვაში სულ სხვა პრინციპები მოქმედებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ივანიშვილს არ ესმის.** საერთოდ, **ბიზნესი და პოლიტიკა მოღვაწეობის სრულიად განსხვავებული სფეროებია. სიტყვამ მოიტანა და, პირადად მე ვერ ვიხსენებ ისტორიაში შემთხვევას, როდესაც ბიზნესმენი წარმატებული სახელმწიფო მოღვაწე გახდა...**

გგონიათ, სააკაშვილს არ უნდოდა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ინვესტიციების მოზიდვა? — უნდოდა, მაგრამ არავინ დებდა ინვესტიციას. **დასავლეთს არ სჭირდება საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ამ სფეროებში დასავლური კაპიტალი ინვესტიციას არ ჩადებს. სწორედ ამიტომ შევარდნაძეც და სააკაშვილიც დასავლეთისგან მხოლოდ კრედიტებს იღებდნენ, ანუ ფულს სესხულობდნენ. დღეს საქართველოს საგარეო ვალი, თუ არ ვცდები, 13 თუ 14 მილიარდი დოლარია. საკუთარი ეკონომიკის არარსებობის პირობებში, ამ ვალის მხოლოდ პროცენტების გადასახდელად ახალ-ახალი კრედიტები უნდა ავიღოთ. ეს კაბალაა!**

შევარდნაძე გვპირდებოდა, რომ „მეორე შვეიცარიად“ ვიქცეოდით, სააკაშვილი დაგვპირდა, რომ „მეორე სინგაპური“ გავხდებოდით, ივანიშვილი კი „მეორე დუბაიდ“ გადაქცევას გვპირდება. მოაზროვნე ადამიანისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არც ერთი ამ ორიენტირთაგანი ჩვენთვის პრინციპულად ვერ იქნება რეალური მიზანი. და მადლობა ღმერთს, რომ ვერ იქნება. **ამ ადამიანებმა ვერა და ვერ გაიგეს, რომ ჩვენ გვსურს, ვიყოთ საქართველო და მხოლოდ საქართველო“.**

*საქართველოში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტი დასავლეთში უმნიშვნელოა, ჩვენი პროდუქტების (ღვინისა და ხილის, აგრეთვე, მინერალური წყლების) ძირითადი მომხმარებელი რუსეთია; ქვეყანა კვლავ იხდის საგარეო ვალს და დიდწილად არის დამოკიდებული ისეთ ორგანიზაციებზე, როგორებიც არის მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვ. რაც შეეხება საქართველოს გადაქცევას „მეორე დუბაიდ“, ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

## ივანიშვილის გადადგომაზე, პასუხისმგებლობასა და კოაბიტაციაზე

**(„საქართველო და მსოფლიო“, №34(221), 18-24 სექტემბერი, 2013წ.):**

**„როგორ აგებს ივანიშვილი პასუხს თავისი გუნდის ნამოქმედარზე? გადადგომის შემდეგ ივანიშვილი იქნება რიგითი მოქალაქე, თანაც — საფრანგეთის. უბედურება სწორედ ისაა, რომ ჩვენი მმართველები, შეუსრულებელი დაპირებების გამო, პასუხს არ აგებენ და ვერც აგებენ, რადგან მსგავსი პასუხისმგებლობის არანაირი მექანიზმი არ არსებობს.** განაცხადოს ივანიშვილმა ის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები, რომლებიც მისმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს სამი წლის შემდეგ, მერე კი საჯაროდ თქვას და ნოტარიულადაც დაამოწმოს, რომ, ამ პარამეტრების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგი, როგორც სამთავრობო გუნდის საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირი, ამ პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს თითოეულ მოქალაქეს გადაურიცხავს ათას დოლარს. სულ 4 მილიარდი დოლარი გამოდის. აი, ეს იქნება მისი პირადი პასუხისმგებლობის რეალური ზომა. მზად არის ივანიშვილი ასეთი პასუხისმგებლობისთვის?

სხვათა შორის, ერისადმი მიმართვაში ივანიშვილს ჩამოთვლილი აქვს თავისი წინასაარჩევნო დაპირებები და აცხადებს, რომ მან ეს დაპირებები შეასრულა და ამდენად, ასე ვთქვათ, თავისუფალია. ესეც არის გათვლა დაბალ პოლიტიკურ კულტურაზე, რადგან ოდნავ მოაზროვნე ადამიანისთვისაც კი ნათელია, რომ ამ დაპირებათა 90 პროცენტი შესრულებისგან ძალიან შორს არის. იგი აცხადებს, რომ **სამოქალაქო სექტორში მისი საქმიანობით ჩვენს საზოგადოებას ასწავლის ხელისუფლების გონებით და არა ემოციებით არჩევას, მაგრამ, ამასთანავე, მოუწოდებს საზოგადოებას, ენდოს მას სიტყვაზე და ხმა მისცენ პრეზიდენტობის მისეულ კანდიდატს, ანუ კვლავ მიიღონ გადაწყვეტილება ემოციებზე** — ივანიშვილისადმი ნდობასა და პატივისცემაზე დაყრდნობით.

ივანიშვილს სწორად რომ გაეანალიზებინა და „უშეცდომო პროგნოზები“ გაეკეთებინა, მაშინ 8 წლის მანძილზე სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს ამდენ მხარდაჭერას არ გაუწევდა...

ფართო გაგებით, კოაბიტაცია ვერ დასრულდება იმიტომ, რომ პარლამენტის 40 პროცენტს „ნაციონალური მოძრაობა“ შეადგენს, ხოლო რეგიონებში, ძირითადად, მათი კადრები აგრძელებენ მუშაობას. მეტიც, **ვფიქრობ, რომ ივანიშვილის წასვლის შემდეგ „ნაციონალების“ გავლენა ხელისუფლებაზე გაიზრდება.** იდეოლოგიური უთანხმოება მათ არ აქვთ, კურატორებიც საერთო ჰყავთ, რაც შეეხება პირად უთანხმოებებს, მალე შეთანხმდებიან. თუკი კოაბიტაციის დასრულებაში ვგულისხმობთ რამდენიმე მაღალჩინოსნის ისე გასამართლებას, რომ პრეზიდენტმა მათი შეწყალება ვერ მოახერხოს, ეს სავსებით შესაძლებელია. საზოგადოების დასაშოშმინებლად ამერიკელები რამდენიმე ცნობილი მოღვაწის დაპატიმრების ნებას დართავენ ახალ ხელისუფლებას“.

*დასავლეთისგან თავსმოხვეული ე. წ. კოაბიტაცია შეცდომა რომ იყო, ამას ქართველი საზოგადოების უკიდურესი ნეგატიური განწყობა ადასტურებს „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა მიმართ — ხალხი ლამის ლინჩის წესით გასამართლებაზე გადავიდეს, რადგან „ქართული ოცნებისა“ და მისი ლიდერის მთავარი დაპირება, რომ სამართლიანობა აღდგებოდა, შეუსრულებელია. არ შესრულებულა დაპირებები პენსიების მომატების, მასწავლებელთათვის ხელფასების გაზრდის (ეს მხოლოდ მომავალ წელს იგეგმება) შესახებ, შეცდომებია საკადრო პოლიტიკაშიც — გიორგი მარგველაშვილის, ირაკლი ალასანიას, ალექსი პეტრიაშვილისა და მაია ფანჯიკიძის მინისტრებად დანიშვნა რომ არ შეიძლებოდა, ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა — მას შემდეგ, რაც მათ დემარში მოაწყვეს.

## ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე

**(„საქართველო და მსოფლიო“, №34(221), 18-24 სექტემბერი, 2013წ.):**

„ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებულ ზღაპრებზე ბევრჯერ გამომითქვამს აზრი, ამ თემაზე მეტს არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რაც ქართველ საზოგადოებას დიდი ხნის წინ უნდა მიეღო აქსიომად: **პოლიტიკოსი, რომელიც საქართველოს ნატოსა დაევროკავშირში შესვლას გვპირდება, ან ბრიყვია, ან უნამუსოდ გვატყუებს“.**

*ნატოში საქართველოს შესვლაზე ლაპარაკი რომ უპერსპექტივო საქმეა, ამას 20-წლიანი მოლოდინი, „მაპზე უკეთესის მიღება“ და ბევრი უცხოელი პოლიტიკოსი ადასტურებს. ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე აფრთხილებდა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი ნატოს ხელმძღვანელობას, რომ საქართველოსთვის ნატოს სამოქმედო გეგმის (MAP) მიცემა არ შეიძლებოდა...

## კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ

**(„საქართველო და მსოფლიო“, №31(218), 21 აგვისტო-4 სექტემბერი, 2013წ.):**

„**პირველი** — პრეზიდენტად სააკაშვილის ყოფნამ პრეზიდენტის პოსტი იმდენად გააუფასურა, რომ პოლიტიკისგან ყველაზე შორს მდგომ ადამიანსაც კი ჰგონია, თითქოს მისთვისაც შესაძლებელია პრეზიდენტობა. ლოგიკა მარტივია: თუ მიშა 9 წელი იჯდა პრეზიდენტად, მე რატომ არ შემიძლია? საერთოდ, ბოლო **20 წლის განმავლობაში მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეჭირათ და ახლაც უჭირავთ იმდენად უსარგებლო, უფერულ და გაუნათლებელ ადამიანებს, რომ საზოგადოების წესიერი, ავტორიტეტული, ღირსეული წევრისთვის უხერხული და სირცხვილიც კია, იყოს მინისტრი, დეპუტატი. მე ვიცნობდი და ახლაც ვიცნობ პარლამენტის რამდენიმე წევრს, რომლებიც უცხო საზოგადოებაში მალავენ თავიანთ სტატუსს;**

**მეორე** — იმ ვალდებულებების არქონისას, რომლებითაც მე ვთავაზობდი, დაეტვირთათ პრეზიდენტი, **ეს თანამდებობა აღიქმება, როგორც საპატიო, კომფორტული დროსტარება,** რომელიც არ მოითხოვს განსაკუთრებულ ცოდნას, უნარს, შესაძლებლობებს, პატივი და კომფორტი კი ჩვენს ხალხს უყვარს, განსაკუთრებით სახელმწიფოს ხარჯზე;

**მესამე** — თავისი საქმიანობის შედეგებზე პასუხისმგებლობის რაიმე მექანიზმების არარსებობა პრეზიდენტის პოსტს უკიდურესად მიმზიდველს ხდის. ყოველი კანდიდატი დაგპირდებათ ყველა პრობლემის მოგვარებას და ქვეყნის მიწიერ სამოთხედ გადაქცევას. რით რისკავს იგი ამ დროს? არაფრით. 5-წლიანი ვადა მას გარანტირებული აქვს, ხოლო შემდეგ — საპატიო პენსია და უზრუნველი ცხოვრება. ეს ეხება სხვა მაღალ სახელმწიფო თანამდებობებსაც.

ამიტომ, **მრავალი წელია, ვამბობ, რომ აუცილებელია კანონი მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობის შედეგებზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. სანამ ასეთი კანონი არ არსებობს, მოვუწოდებ ამომრჩევლებს, მოითხოვონ კანდიდატებისგან თუნდაც საჯარო დაპირება, რომ, თუ ორი წლის შემდეგ იგი არ წარმოადგენს თავისი საქმიანობის კონკრეტულ შედეგებს, მაშინ გადადგეს“.**

*ასეთი კანონის მიღება რომ აუცილებელია, ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ გაცემული დაპირებების შეუსრულებლობაც ადასტურებს და ისიც, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების ბევრი წარმომადგენელი მხოლოდ თავისი კეთილდღეობით, ხელფასებისა და პრემიების გამოწერით არის დაკავებული და არა — ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებით.

**«ივანიშვილს სწორად რომ გაეანალიზებინა და «უშეცდომო პროგნოზები» გაეკეთებინა, მაშინ 8 წლის მანძილზე სააკაშვილის ანტიეროვნულ რეჟიმს ამდენ მხარდაჭერას არ გაუწევდა»**

## ივანიშვილი, როგორც ამერიკელთა დავალებების შემსრულებელი ლოკომოტივი და რატომ არ არის მოსალოდნელი პოზიტიური ცვლილებები

**(„საქართველო და მსოფლიო“, №34(221), 18-24 სექტემბერი, 2013წ.):**

„ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ. პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დავალება — ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც დამოუკიდებლად ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესიც იყოს. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, მოსახლეობა ქვეყანაში მდგომარეობის მალე უკეთესობისკენ შეცვლის იმედით კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, **ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება“.**

*ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონია და ის, რომ ხელისუფლება მხოლოდ 2015 წლის სექტემბერში აპირებს პენსიების გაზრდას 160 ლარამდე (10 ლარით), საქმეს ვერ უშველის, რადგან საარსებო მინიმუმი, საქსტატის მონაცემებით, 2014 წლის ოქტომბერში 160 ლარი იყო.

## ვისი კომპეტენციაა საქართველოს საგარეო პოლიტიკა

**(„საქართველო და მსოფლიო“, №36(271), 8-14 ოქტომბერი, 2014წ.):**

„ხელისუფლებისგან არ უნდა ველოდოთ იმას, რისი გაკეთებაც არ შეუძლია. საქართველოს საგარეო პოლიტიკა არ შედის საქართველოს ხელისუფლების კომპეტენციაში. **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გადაბჟირდებიან, საქართველოს ხელმძღვანელობის რაიმე საგარეო-პოლიტიკურ ინიციატივას რომ მოჰკრან ყური.** ეროვნული ეკონომიკა არ გვაქვს, იგი განადგურდა ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში, ხოლო ნარჩენებს სააკაშვილმა მოუღო ბოლო...

**როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, დაგვპირდნენ, რომ 2 წელიწადში მიაღწევდნენ მნიშვნელოვან პროგრესს. ორი წელი გავიდა. სად არის პროგრესი?**

ალბათ, ეს 2 წელი საკრალური ვადაა, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის, ასევე ამჟამინდელი მთავრობისთვისაც. ყველანი გვპირდებოდნენ და გვპირდებიან აფხაზეთის საკითხის 2 წელიწადში გადაწყვეტას.

როგორც ჩანს, ამერიკულ პიარინსტრუქციაში უწერიათ: „დავპირდეთ, რომ 2 წელიწადში აფხაზეთს დავიბრუნებთ“. ინსტრუქცია შესაცვლელია. არ შეიძლება, 20 წლის განმავლობაში ერთი და იგივე იძახო. მართალია, სააკაშვილის პერიოდში ამ ინსტრუქციაში დამატება შევიდა: „ჩვენ ავაშენებთ ისეთ აყვავებულ ქვეყანას, რომ აფხაზი და ოსი ძმები აქეთ შეგვეხვეწებიან, დაგვაბრუნეთ საქართველოს შემადგენლობაში“. ამ ბოდვას იმეორებს ამჟამინდელი მთავრობაც. სხვათა შორის, იგივე ინსტრუქცია ამერიკელებმა უკრაინის ხელისუფლებასაც გადასცეს. **დღეს უკრაინის ხელმძღვანელობაც ერთხმად გაიძახის: ჩვენ ავაშენებთ ისეთ აყვავებულ ქვეყანას, რომ ყირიმელები აქეთ შეგვეხვეწებიან, დაგვაბრუნეთ უკრაინის შემადგენლობაშიო“...**

*და მართლაც — პროგრესი როგორც საგარეო პოლიტიკის, ისე სოციალურ -ეკონომიკური კუთხით არ ჩანს. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსიც და ეკონომიკის განვითარებაც დღესაც გარე ძალებზეა დამოკიდებული.

ვერსია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ვახო გორდაძე დააკავეს, ვითომ დაკითხეს, მაგრამ მალე გამოუშვეს და ალასანიამ თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო კომპანიაში დირექტორის მოადგილედ დანიშნა. სხვათა შორის, ადრე ვახო გორდაძე ბაჩო ახალაიას სახელს იყო ამოფარებული და უამრავ სისაძაგლეს სჩადიოდა. ეს რომ ახალაიას გაეგო, არ აპატიებდა“.

# ირაკლი ალასანია — «ნაციონალების» მიერ ჩანერგილი კადრი «ქართულ ოცნებაში»?

**თავდაცვის სამინისტროში ბოლო წლებში შექმნილ არასახარბიელო ვითარებასა და ამ უწყებაში განხორციელებულ ფინანსურ მაქინაციებზე გვესაუბრება პიროვნება, რომელიც თავის დროზე ამ სამინისტროს ერთ-ერთ სტრუქტურასთან თანამშრომლობდა. ჩვენმა რესპონდენტმა, რომელმაც ბევრი რამ საკუთარ თავზე იწვნია, გარკვეული სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო, ცოტა ხნით ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა.**



— ირაკლი ალასანიამ, თავდაცვის მინისტრის პოსტის დაკავების შემდეგ, ამ სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსად დანიშნა **კოტე ყიფიანი** — პრაქტიკულად იმავე პოზიაციაზე, რომელიც მას 2006 წელს, კეზერაშვილის მინისტრობის პერიოდში, ეკავა. სხვათა შორის, კოტე ყიფიანი საკმაოდ ძლიერი ადვოკატია, ოღონდ შავ საქმეებს აკეთებს თუ „აპრავებს“, როგორც კიანუ რივზის გმირი ფილმ „ეშმაკის ადვოკატში“.

**— მაინც რა საქმეები აქვს კოტე ყიფიანს გაკეთებული თუ „გაპრავებული“?**

— **„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ტელევიზიების წართმევასა და იძულებით ჩუქებას სწორედ კოტე ყიფიანი აფორმებდა იურიდიულად.** კეზერაშვილმა თავდაცვის მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ ჩამოაყალიბა იურიდიული კომპანია სახელწოდებით „ბი ჯი სერვისი“, რომელშიც მუშაობდნენ კოტე ყიფიანი და **მერაბ გელოვანი,** რომელიც კეზერაშვილის მინისტრობისას სამხედრო პოლიციის შეფი გახლდათ. ეს არის საკონსულტაციო იურიდიული კომპანია, რომელსაც კლიენტები გარანტირებული ჰყავდა — მხოლოდ კეზერაშვილის ბიზნესები შეადგენდა 85 კომპანიას. მათ გარდა, ზოგი კომპანია, სჭირდებოდა თუ არა იურიდიული მომსახურება, „ბი ჯი სერვისს“ მაინც უხდიდა საკმაო თანხას ვითომ მომსახურებში, ანუ **კეზერაშვილი ამ საკონსულტაციო იურიდიული კომპანიის მეშვეობით ფულს „ახევდა“ სხვადასხვა ორგანიზაციას.**

**— კონკრეტულად რომელ ორგანიზაციებს?**

— მაგალითად, „თი ბი სი“ ბანკს. ამ ბანკს ჰოლანდიელი იურისტები ემსახურებიან და თანაც, თავისი საკმაოდ ძლიერი იურიდიული ჯგუფი ჰყავს, მაგრამ კეზერაშვილის კომპანიას წელიწადში საშუალოდ მილიონ ლარს უხდიდნენ. **რა კონსულტაცია სჭირდებოდა მამუკა ხაზარაძეს ისეთი, რომ ყიფიანსა და გელოვანს ამხელა თანხას უხდიდა?!**

**— რატომ უხდიდნენ ბანკები თანხებს კეზერაშვილს?**

— კეზერაშვილის კომპანიაში უამრავი შავი სქემა მუშავდებოდა ბიზნესის წართმევა-გადაფორმების სახით, რაშიც ბანკებიც იყვნენ გარეული და ამიტომაც იყვნენ იძულებული ეს საფინანსო ორგანიზაციები, მათ შორის, „თი ბი სი ბანკი“, რომ, ასე ვთქვათ, შეწერილი თანხა გადაეხადათ. თუ „ნაცმოძრაობასთან“ არ ექნებოდათ მჭიდრო ურთიერთობა, თვითონაც სხვა ბანკებისა თუ ბიზნესმენების მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ და იძულებული იყვნენ, მილიონები ეხადათ არაფერში.

**— ანუ ამბობთ, რომ ადამიანები, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ინტერესებს ემსახურებოდნენ, ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ კვლავ სამთავრობო სტრუქტურებში დარჩნენ...**

— ასეა. **ადამიანები, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ბინძურ საქმეებს სჩადიოდნენ, ალასანიამ თავდაცვის სამინისტროში მაღალ პოსტებზე დანიშნა.** ის, რასაც დღეს ალასანიას ედავებიან, არაფერია იმასთან შედარებით, რაც მან ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩაიდინა. ამ ადამიანის მინისტრობის შესწავლა თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო სისტემიდან უნდა დაეწყოთ.

**— რას გულისხმობთ?**

— ის სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ალასანიას გამინისტრებამდე ხელშეკრულებით მუშაობდნენ თავდაცვის სამინისტროს ობიექტებზე, თავდაცვის იმჟამინდელმა მინისტრმა ბაჩო ახალაიამ გაყარა, კომპანია „სუპერ ვე“-ს გარდა, რომელიც მას ეკუთვნოდა; **სწორედ ამ კომპანიას უკვეთდა თავდაცვის სამინისტრო ობიექტების მშენებლობას,** რისთვისაც მილიონობით ლარს რიცხავდა.

## «არავინ დაინტერესებულა, რეალურად რატომ იმყოფება ალასანია ამერიკაში. ის საკმაო ხანს არ დაბრუნდება საქართველოში და, როცა ჩამოვა, ქვეყანას სახეშეცვლილ სააკაშვილად მოევლინება!»

**— ამ კომპანიას ვინ ხელმძღვანელობდა?**

— ბაჩო ახალიას დეიდაშვილი **ვახო ბართაია,** რომელიც, ასე ვთქვათ, აკონტროლებდა ყველაფერს, კომპანიის ფაქტობრივი დირექტორი კი გახლდათ **ნუკრი ნადარეიშვილი. მინისტრის პოსტზე დანიშვნის შემდეგ ირაკლი ალასანიამ კომპანია „სუპერ ვე“ გადააქცია თავდაცვის სამინისტროსთვის დაქვემდებარებულ სამშენებლო კომპანიად და მისცა სსიპ-ის (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) სახე, რომელიც ამოქმედდა ბიზნესმენებისთვის „ახეული“ ტექნიკითა და ინვენტარით.** შემდეგ ალასანიამ ამ კომპანიის აქტივები სახელმწიფოს საკუთრებაში გადაიტანა და თავდაცვის მშენებლობისა და შესყიდვების უფროსად ნუკრი ნადარეიშვილი დანიშნა. ამ ფირმაში გადაიყვანეს ბაჩო ახალიას კადრი **ვახო გორდაძეც** — მომღერალ ნატო გელაშვილის ქმარი. არადა, **„ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ვახო გორდაძე დააკავეს, ვითომ დაკითხეს, მაგრამ მალე გამოუშვეს და ალასანიამ თავდაცვის სამინისტროს სამშენებლო კომპანიაში დირექტორის მოადგილედ დანიშნა.** სხვათა შორის, ადრე ვახო გორდაძე ბაჩო ახალაიას სახელს იყო ამოფარებული და უამრავ სისაძაგლეს სჩადიოდა. ეს რომ ახალაიას გაეგო, არ აპატიებდა. **ამ ყველაფერზე კი ირაკლი ალასანიას პროკურატურა არაფერს ეკითხება.** ახალაიას მინისტრობის პერიოდში სწორედ გორდაძემ წაართვა **თათა ვარდანაშვილს** ფეხსაცმელების ფაბრიკა და დღეს იმის ნაცვლად, რომ ეს ყველაფერი პროკურატურას წესიერად გამოეძიებინა, რაღაც სისულელეებზე ედავება ყოფილ მინისტრს. **„ნაციონალების“ მიერ შექმნილი ბინძური სქემა ალასანიას ხელში გადავიდა და დამნაშავეები, ნაცვლად იმისა, რომ დაეპატიმრებინათ, დააწინაურეს. ალასანია იყო „ნაციონალების“ მიერ ჩანერგილი კადრი „ქართულ ოცნებაში“.** რატომ არ იძიებენ თავიდან ბოლომდე ყველაფერს? ამ ხელისუფლებას ერთხელ მაინც დაეკითხა კოტე ყიფიანი, სხვაზე აღარ ვლაპარაკობ. სხვათა შორის, **პარლამენტში რომ შეიქმნა კომისია, რომელსაც თინა ხიდაშელი ხელმძღვანელობდა, ტელევიზიების წართმევის საკითხის განხილვისას რამდენჯერმე ამოტივტივდა კოტე ყიფიანის სახელი, მაგრამ მყისვე მიაჩუმათეს.**

## «ნაციონალების» მიერ შექმნილი ბინძური სქემა ალასანიას ხელში გადავიდა და დამნაშავეები, ნაცვლად იმისა, რომ დაეპატიმრებინათ, დააწინაურეს. ალასანია იყო «ნაციონალების» მიერ ჩანერგილი კადრი «ქართულ ოცნებაში»

**— დღეს კოტე ყიფიანი თავდაცვის სამინისტროში იმავე თანამდებობას იკავებს?**

— ახალი მინისტრიც თუ კიდევ ამ პოსტზე დატოვებს ყიფიანს, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე. ყველაზე საშინელი იყო ის, რომ თავდაცვის სამინისტროს ყველა სტრუქტურაში ალასანიამ „ნაციონალების“ მიერ დანიშნული კადრები დატოვა.

**— ამით რა მიზნის მიღწევას ცდილობდა ირაკლი ალასანია?**

— მისი მიზანი იყო პრეზიდენტის პოსტის ხელში ჩაგდება. ის პრემიერმინისტრს გაცილებით ადრე უნდა მოეხსნა პოსტიდან, რადგან თავდაცვის სამინისტრო უმნიშვნელოვანესი სტრუქტურაა. მინისტრს ყოველთვის ჰყავს 500 კბილებამდე შეიარაღებული ჯარისკაცი, რომლებიც მინისტრის მხარესაა, თანაც ალასანიას უწყებაში ფინანსური მაქინაციები კარგად ჰქონდათ ათვისებული და საკმაოდ რისკის შემცველი ვითარება იქმნებოდა. რაც მთავარია, ალასანიას ახალი არაფერი გამოუგონია — მის ხელში კეზერაშვილის მიერ შექმნილი სქემა გადმოვიდა და ეს მაქინაციები უფრო კარგად დაალაგა. სხვათა შორის, რაც ამ სისტემაში კეზერაშვილმა გააკეთა, არც ერთ თავდაცვის მინისტრს არ გაუკეთებია. **კეზერაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ წერა-კითხვის უცოდინარის შთაბეჭდილებას ტოვებს, უძლიერესი მენეჯერია.**

ამას ნებისმიერი სამ- ▶

---

მსოფლიო

## ეგვიპტეში ყოფილი პრეზიდენტის სიკვდილით დასჯა მოითხოვეს

**ეგვიპტის პროკურატურამ ჯაშუშობაში ბრალდებული ყოფილი პრეზიდენტის — მუჰამედ მურსისა და მოძრაობა „ძმები მუსლიმანების“ 35 წევრის სიკვდილით დასჯა მოითხოვა.**

სასამართლო პროცესზე დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას პროკურორმა განაცხადა, რომ მურსიმ და მისმა თანამებრძოლებმა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურს, კერძოდ, ირანის დაზვერვას საიდუმლო დოკუმენტები გადასცეს. გარდა ამისა, ბრალმდებელთა ვერსიით, მურსი და მისი თანამებრძოლები მოძრაობა „ძმები მუსლიმანებიდან“ პალესტინურ ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰამასთან“ თანამშრომლობდნენ. ამ თანამშრომლობის მიზანი კი ეგვიპტეში ვითარების დესტაბილიზაცია იყო.

მუჰამედ მურსი ეგვიპტის პრეზიდენტის პოსტიდან 2013 წლის 3 ივლისს გადააყენეს სამხედრო გადატრიალების შემდეგად. ახლა კი საპყრობილეში ზის. მას, ჯაშუშობისა და ტერორისტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის გარდა, პოლიციელებისა და ჯარისკაცების მკვლელობაშიც ადანაშაულებენ.



# ალასანია გრიფ „საიდუმლოს“ მოხსნას რომ ითხოვს ე.წ. კაბელების საქმეზე, ეგ დალოცვილი სად იყო მთელი ორი წლის განმავლობაში, როცა ჩვენ ვითხოვდით მუხროვანის თემაზე გრიფ „საიდუმლოს“ მოხსნას?

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ხედრო აღიარებს, რაც უნდა მტრულად იყოს მის მიმართ განწყობილი. **კეზერაშვილმა გამართა თავდაცვის სისტემა, მის შემდეგ — არც ბაჩო ახალაიას და არც სიხარულიძის ხელში — არაფერი გაკეთებულა და ეს, ასე ვთქვათ, ბიზნესისა და შავი ფულის თვალსაზრისით კარგად დალაგებული სამინისტრო ალასანიას ხელში გადავიდა.** სხვათა შორის, არავინ დაინტერესებულა, რეალურად რატომ იმყოფება ალასანია ამერიკაში. ის საკმაო ხანს არ დაბრუნდება საქართველოში და, როცა ჩამოვა, ქვეყანას სახეშეცვლილ სააკაშვილად მოევლინება!



**ამ საკითხზე კომენტარი სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიას ვთხოვეთ:**

— თავდაცვის სამინისტროში, ალასანიას მინისტრობის პერიოდში, ყველანაირად მბლოკავდნენ. არა მხოლოდ მე, ყველას — კობა ოთანაძით დაწყებული, ლევან ამირიძით დამთავრებული. ანუ თავდაცვის სამინისტროს არ აკარებდნენ ყოფილ თანამშრომლებს.

**— რატომ?**

— გაიხსენეთ ალასანიას ნათქვამი ჩვენზე,— ესენი ჯაშუშები არიან და ციხიდან არ უნდა გამოსულიყვნენო. უკვე გასაგები იყო მისი პოლიტიკური კრედო და ისიც, რა პოლიტიკურ თამაშს თამაშობდა. გარდა ამისა, **ალასანიას მინისტრობის პერიოდში თავდაცვის სამინისტროში მუშაობდა უამრავი ადამიანი, რომლებიც თავის დროზე „ნაცმოძაობის“ აქტივისტები იყვნენ. სწორედ ეს ადამიანები დანიშნა ალასანიამ მაღალ თანამდებობებზე, რაც უამრავ შეკითხვას აჩენდა.**

**— რატომ დასჭირდა ამის გაკეთება?**

— არ ვიცი, რატომ დასჭირდა ალასანიას ჩემთვის და სხვა პოლიტპატიმრებისთვის ომის გამოცხადება და „ნაციონალების“ კადრების გვერდით დაყენება. **როდესაც მინისტრი ჩვენზე ამბობს, ამათი გარეთ გამოშვება შეცდომა იყოო, ეს „ნაცმოძრაობაზე“ უფრო მეტი „ნაცმოძრაობაა“.** დანარჩენი საზოგადოებამ განსაჯოს. **ალასანია გრიფ „საიდუმლოს“ მოხსნას რომ ითხოვს ე.წ. კაბელების საქმეზე, ეგ დალოცვილი სად იყო მთელი ორი წლის განმავლობაში, როცა ჩვენ ვითხოვდით მუხროვანის თემაზე გრიფ „საიდუმლოს“ მოხსნას?** ალასანიას თავდაცვის მინისტრობის პერიოდში მხოლოდ სამინისტროს ფასადი შეიცვალა, დანარჩენი იგივე დარჩა და მან ის საქმე განაგრძო, რომელსაც მისი წინამორბედები აკეთებდნენ. ან მხოლოდ თავდაცვის სამინისტროზე რატომ ვსაუბრობთ? ანალოგიური ვითარებაა სხვა სამინისტროებსა და დეპარტამენტებში. მაგალითად, კონტრდაზვერვის დეპარტამენტს თავს აფარებენ ჯალათები.

**— ვის გულისხმობთ?**

**— ორჯონიკიძესა და დათაშვილს, რომლებიც მხილებულნი არიან პოლიტპატიმართა თითქმის ყველა საქმეში, მუხროვანისა და ფოტორეპორტიორების საქმეში. ამ შეთითხნილი საქმეების გმირები დღეს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მაღალჩინოსნები არიან და ამის შემდეგ რამე გიკვირთ?**

ესაუბრა
**ნინო მაისურაძე**

**P.S. იმისთვის, რომ გაგვეგო, კვლავ მუშაობენ თუ არა კოტე ყიფიანი და ვახო გორდაძე თავდაცვის სამინისტროში, ამავე სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომლებს დავუკავშირდით. მათ ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდათ, განგვიცხადეს, სამინისტროში მუშაობა ახალი დაწყებული გვაქვს და ამ ინფორმაციას მოგვიანებით მოგაწვდითო. კოტე ყიფიანთან კი, დიდი მცდელობის მიუხედავად, დაკავშირება ვერ შევძელით...**

> **«ამ შეთითხნილი საქმეების გმირები დღეს შს სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მაღალჩინოსნები არიან და ამის შემდეგ რამე გიკვირთ?»**

# ახლა გაგახსენდათ მისი უწმინდესობა, თქვე უწმინდურებო?

**ამ პლასტელინს, პრეზიდენტადწოდებულ გიორგი მარგველაშვილს, თავი მართლა პრეზიდენტი ჰგონია! არადა, მის შემხედვარეს ოსტაპ ბენდერის „Жертво неудачного аборта“ მახსენდება — სწორედ წარუმატებელი პოლიტიკური აბორტის შედეგია გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობა. ამას უკვე ბიძინა ივანიშვილიც მიხვდა, მაგრამ რეალობა ყველაზე დიდი იუმორისტიც ყოფილა და ცინიკოსიც.**



მარგველაშვილის პირველ გაუბედავ ვეტოს ჯერ პარლამენტში ირაკლი ალასანიას მხარდასაჭერად მისვლა მოჰყვა, ახლა კი პრეზიდენტობის ეშხში შესულმა საგანგებო განცხადებად წოდებული მორიგი აბდაუბდა გვაახლა და პატრიარქს მიადგა...

**კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი არაფერი მომხდარა, რუსეთმა გააკეთა ის, რაზეც არა ერთხელ გვისაუბრია ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მეც და ჩემზე კომპეტენტურ ავტორებსაც — ყალყზე შემდგარი რუსეთი არათუ უკრაინაში, აღარც კავკასიაშია რამის დამთმობი. ეს უნდა გაეთვალისწინებინა ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, ადეკვატურად, თანმიმდევრულად უნდა ემოქმედა, „ნაცების“ ზეწოლას არ დაჰყოლოდა და ე.წ. ჩრდილოატლანტიკური კურსის უცვლელობა პარლამენტის დადგენილებით წითელი ნაჭერივით არ ეფრიალებინა!**

გაგონილა ასეთი რამ? — უცვლელიაო ჩვენი გეზი დაქცევისკენ... იქნებ ხვალ გზამ, რომელსაც დღეს დაადექი, უფსკრულისკენ გადაუხვიოს, უნდა გადაიჩეხო?

**რუსეთის მიერ აფხაზეთთან ხელმოწერილი დოკუმენტის გამო ნაციონალ-კრიმინალების „მთავარი ოპოზიციური ძალა“, დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებთან საქართველოს უსწრაფეს მიერთებას ითხოვს, თანაც ისე, რომ არც უფიქრდება, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს რუსეთის საპასუხო სანქციებს, რომლებსაც აუცილებლად დაგვიწესებს.**

დაიწყებენ ახლა — ჩვენი მანდარინი-ბორჯომი-ღვინის არ შეტანით ისე დავაზარალებთ რუსეთს, რომ დღედღეზე ჩამოიშლებაო. ასეთი არაადეკვატურ ოპონენტებთან კამათს არ ვაპირებ — ისინი ან გამოუსწორებელი ბრიყვები არიან, ან მოგზავნილი გავლენის აგენტები...

თანაც **ეს ბაქიაობა — უბორჯომ-უმანდარინოდ რუსეთს დავაჩოქებთო — გასულ საუკუნეში საქართველოს მიერ სამტრედიაში სსრკ-ის ბლოკადას მაგონებს. იმ ბლოკადის შემსრულებელი ზვიად ძიძიგური მანდ გყავთ და მიდით, „ნაც-ქოცებო“ — თუ ნატო სამხედრო ძალით ყურზე ხახვს ვერ აჭრის რუსეთს, თქვენ მიეძალეთ და ეკონომიკურად ნაღდად მოახრჩობთ...**

ახლა რაც შეეხება მარგველაშვილის გალაშქრებას პატრიარქზე — ქსლისა მბეჭველმა პრეზიდენტმა ჯერ არასამთავრობოებს რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდა და შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც ახსენა — „ვთხოვ (კიდევ კარგი, რომ ჯერ არ მოითხოვს — დ. მ.) საქართველოს პატრიარქს და სხვა კონფესიებს, მათ ხელს არსებული საშუალებებით, არ დაუშვან მცირე ერების ასიმილაცია!“

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მსგავსი აბდაუბდა გაგონილა? მაგრამ აქ სხვა რამ მგონია მთავარი — **ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს საქართველოს პატრიარქის შანტაჟს! პატრიარქისა, რომელსაც ამ ხლისტებმა ვერა და ვერ აალებინეს ხელი რუსეთის ეკლესიასთან ევქარისტულ ძმობა-მეგობრობაზე, ახლა უნდათ, რომ ანტირუსულ ისტერიაში დედაეკლესია და საპატრიარქოც ჩართონ!**

ახლა გაგახსენდათ მისი უწმინდესობა, თქვე უწმინდურებო?

**მაშინ სად იყავით, როდესაც მხცოვანი პატრიარქი პაპანაქება აგვისტოში ფეხით დადიოდა ქართლში და უაზროდ დაღუპული ბიჭების გახრწნილი ცხედრები გამოჰქონდა წაგებული ბრძოლის ველიდან, საიდანაც ჰალსტუხის მღეჭველი მთავარსარდალი ისე გამოიქცა, საკუთარი დაცვის სამსახურის „ჰამერებს“ გამოასწრო?!**

სად იყავით და რუსთაველზე გამარჯვებას ზეიმობდით!

ან მაშინ რა ქენით, როდესაც პატრიარქის ხათრით რუსებმა პერევიდან ჯარი გაიყვანეს?

რა ქენით და „ბრძენმა“ სააკაშვილმა — პატრიარქი ჩემი დავალებით იყო მოსკოვს ჩასულიო და... რუსების ტანკები უმალ უკან შემოგრიხინდნენ!

**შარშან, რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლის იუბილეზე, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა ხაზგასმული პატივითა და მოკრძალებით მიიღო ჩვენი პატრიარქი და ლტოლვილების დაბრუნებაში დახმარება აღუთქვა, თქვენ რა ქენით, ბუდარა-ბუდარიხებო?**

რა და ის, რომ ლამის ქვეყნის მოღალატედ შერაცხეთ დედაეკლესია და პატრიარქი!

ან სულ ახლახან, როდესაც ანტიდისკრიმინაციული კანონი, პატრიარქის თხოვნის მიუხედავად, ზარზეიმით მიიღეთ, რა ქენით?

რა და **თამარ კორძაიამ** — ბარემ ერთი მანდატი მივცეთ და პარლამენტში დავსვათო, გაუგონრად შეურაცხყო მისი უწმინდესობა...

ერთი სიტყვით, პატრიარქის აღმა ხნულის, ამათგან დაბლა ფარცხვის მაგალითების მოყვანა კიდევ ბევრის შეიძლება, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ!

**პატრიარქს პლასტელინის თხოვნა არ სჭირდება და ხვალაც ისევე იღვაწებს საქართველოსთვის, როგორც აქამდე უღვაწია!**

მისი უწმინდესობა ქართველ მართლმადიდებელთა პატრიარქია და არა იეღოველხლისტების!

ჰოდა, **მისი უწმინდესობის ხსენებისას და მეტადრე მისთვის შანტაჟის ელემენტების შემცველი ულტიმატუმების წაყენებისას სიფრთხილე გამოიჩინეთ, ყოველი სიტყვა შვიდგზის აწონეთ, სოროსის ყორნებო, თორემა „ვნახავთ თქვენს ბუმბულს გაშლილს, გაფანტულს ველადა“...**

**დავით მხეიძე**

## გუანტანამოს ციხის სამი პატიმარი საქართველოში გამოგზავნეს

**აშშ-ის ხელისუფლებამ გუანტანამოს ციხიდან სამი პატიმარი საქართველოში გაგზავნა. — წერს „ნიუ იორკ თაიმსი.“ გამოცემის ცნობით, გუანტანამოს ციხე ოთხმა იემენელმა და ერთმა ტუნისელმა პატიმარმა დატოვა. სამი იემენელი პატიმარი საქართველოში იქნა გამოგზავნილი, ერთი იემენელი და ტუნისელი კი — სლოვაკეთში.**

„ძალიან მოხარული ვართ ჩვენი პარტნიორების მიერ გამოხატული ამ ჰუმანური ჟესტით. ჩვენ ვაფასებთ იმ მხარდაჭერას, რომელსაც ჩვენი მეგობრებისა და მოკავშირეებისგან ვიღებთ“, — აღნიშნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა კლიფ სლოანმა.

გუანტანამოს ციხეში კიდევ 143 პატიმარი რჩება.

გუანტანამოს ციხე ოფიციალურად 2002 წლის იანვარში გაიხსნა სპეციალური პირებისთვის, რომლებიც მონაწილეობდნენ ტერორისტულ აქტებში ან ტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობაში ედებათ ბრალი.

2009 წლის 21 იანვარს აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ინაუგურაციის მეორე დღესვე მოაწერა ხელი ციხის დახურვის ბრძანებას. თუმცა, კონგრესის უარის გამო, ციხე არ დახურულა.



**P.S. საქართველოში გუანტანამოს ციხიდან გამოგზავნილი პატიმრები არიან: სალა მუჰამედ სალი ალ ზაბე; აბდელ გალიბ აჰმად ჰაკიმი და აბდულ კალედ აჰმად სალე ალ ბედანი.**

არა არს დაფარული...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარი, რის წინააღმდეგაც ეს ადამიანები გამოდიან, დასავლეთის მიერ კიევში ორგანიზებული პუტჩია. მათ არ მოსწონთ კიევის ხელისუფლება, რომელიც აშკარად ანტირუსულია, ამიტომ სწორი იქნება, თუ მათ პუტჩის წინააღმდეგ განწყობილ ფედერალისტებად მოვიხსენიებთ.**




## ქართველი პატიმრების ბუნტი საბერძნეთის ციხეში

**საბერძნეთის ციხეში ინციდენტი მას შემდეგ მოხდა, როცა პაემანზე მისული ერთ-ერთი პატიმრის ბებია ციხეში ნარკოტიკული საშუალებების დიდი პარტიის შეტანას შეეცადა.**

ქალბატონმა ნარკოტიკული საშუალებების შეტანა ვერ მოახერხა, რამაც საპატიმროს საავადმყოფოში მოთავსებული 25-მდე ქართველი პატიმრის განრისხება გამოიწვია. პატიმრები ციხის ზედამხედველებს თავს დაესხნენ და საავადმყოფო დაარბიეს, მოგვიანებით კი ციხეში არსებული პირობები გააპროტესტეს. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა ბუნტი აღკვეთეს და პატიმრები სხვადასხვა კამერაში გადაანაწილეს. ჯერჯერობით უცნობია იმ ქალბატონის ბედი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ნარკოტიკული საშუალებების შეტანას ცდილობდა.



## რესტორნები თბილისში, სადაც ჯანმრთელობისთვის საშიში ხორცია აღმოჩენილი

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ თბილისის რესტორნებიდან საეჭვო წარმომავლობის ხორცი ამოიღო.

„რესტორნებში „ჭაშნაგირი“ (შპს „გურთა“), „თეთრი სახლი“ (შპს „კამი-გრუპი“), „გაგრა“ (შპს „კარაველა“) და „უშბა“ (ი/მ „დინარა სულაქველიძე“) ვერ წარმოადგინეს ხორცის კეთილსაიმედოობის დამადასტურებელი დოკუმენტი — ფორმა №2, რაც იმის დასტურია, რომ ხორცი სასაკლაოს გვერდის ავლით არის დაკლული და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას”, — ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგანეტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ბიზნესოპერატორები 1000-1000 ლარით დაჯარიმდნენ. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ხორცი დალუქეს და კანონმდებლობის შესაბამისად გაანადგურებენ.




# ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ოფიცერი დასავლეთის მიერ ორგანიზებული «კიევური პუტჩის» შესახებ

**აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი რეი მაკჰოვენი პროფესიონალის თვალით აფასებს პრობლემებს, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. გვიზიარებს თავის შეხედულებას კიევში ორგანიზებულ პუტჩზე, პუტინის მოღვაწეობასა და გორბაჩოვის როლზე გერმანიის გაერთიანების საქმეში. დაზვერვის ვეტერანი საუბრის დასაწყისში გვირჩევს, რომ არ მივიღოთ ანდერს ფოგ რასმუსენის ტიპის ადამიანებისგან უტყუარ მტკიცებულებად ცუდი ხარისხის ფოტოსურათების ფრაგმენტები, რომლებზეც თითქოს ასახულია რუსეთის შეჭრა უკრაინის აღმოსავლეთში.**

— ამბოხებულ მოხალისე ჯარისკაცებს პრორუს სეპარატისტებს უწოდებენ, რომელიც სწორი არ არის. ისინი, თავიანთი მხარის უკრაინისგან გამოყოფისა და რუსეთთან შეერთებისთვის არ იბრძვიან, თუმცა პრორუსულად კი ნამდვილად არიან განწყობილი, რადგან რუსული ფესვები აქვთ და რუსულად ლაპარაკობენ.

მთავარი, რის წინააღმდეგაც ეს ადამიანები გამოდიან, დასავლეთის მიერ კიევში ორგანიზებული პუტჩია. მათ არ მოსწონთ კიევის ხელისუფლება, რომელიც აშკარად ანტირუსულია, ამიტომ **სწორი იქნება, თუ მათ პუტჩის წინააღმდეგ განწყობილ ფედერალისტებად მოვიხსენიებთ.**

თვეზე მეტია მათ დაიწყეს კიევთან ბრძოლის მოგება. დასავლეთის პეოლიტიკოსები და იქაური მედია კი საწინააღმდეგოს დამტკიცებას ცდილობდა. **აღმოჩნდა, რომ კიევი არამხოლოდ აგებს ომს, არამედ უიმედოდ მარცხდება. უკრაინის ჯარები ალყაშემორტყმულია, ჯარისკაცები გარბიან, შინ აგზავნიან წერილებს — დედა, უკან ვბრუნდები, ჩვენმა მეთაურებმა არ იციან, რას აკეთებენ. უკრაინელი სამხედროები გარბიან და რაკეტებიან ყუთებს ღიას ტოვებენ.**

რით გაამართლებს ამას დასავლეთი?

ძალიან მარტივი ვერსიით: ამის მიზეზია რუსეთის შემოჭრა ტანკებითა და არტილერიით. ეს არის დიდი ზღაპარი, რომელსაც დასავლეთში ყვებიან. დიახ, **აქ არიან რუსები, რომლებიც თანამოძმეებს ეხმარებიან, მაგრამ ეს არც შემოჭრაა და არც ოკუპაცია.**

ფედერალისტებს არავისი შემოჭრა არ სჭირდებათ, თვითონაც კარგად იბრძვიან. და აი, დაიწყეს კიდეც კიევის ჯარების შევიწროება და, მადლობა ღმერთს, მიიპყრეს პოროშენკოს ყურადღება. როგორც იქნა, დაითანხმეს დროებითი ზავის დადებაზე, რომელიც, იმედია, გაგრძელდება.

**სპეცსამსახურების ვეტერანებმა ღია წერილი გავუგზავნეთ ანგელა მერკელს, რომლითაც ვაცნობეთ, რომ უკრაინაში რუსეთი არ შეჭრილა. ამის ცოდნა აუცილებელია. იგი ფრთხილად უნდა იყოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას.**

გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“ იძულებული შეიქმნა ეღიარებინა, რომ უკრაინის აღმოსავლეთში დროებითი ზავი დაიდო, რომელიც პუტინის მიერ შეთავაზებულ პირობებზე იყო აგებული, სწორედ იგი მოელაპარაკა პოროშენკოს ზავის დადების აუცილებლობაზე. ამრიგად, ეს საშიში პუტინი ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწე აღმოჩნდა, მაგრამ „ნიუ იორკ თაიმსს“ გაუჭირდა ამის აღიარება. წერილის სათაური იყო: „პუტინის სურვილი, მიეღწია დაზავებისთვის, ჭეშმარიტება აღმოჩნდა“.

ზუსტად ვიცი, 25 წლის წინათ, ბერლინის კედელი რომ დაინგრა, ევროპის მშვიდობიანი განვითარების შანსი გაჩნდა, მაგრამ, როცა ამას საკუთარ თავს ვეუბნები, ცუდად ვხდები, რადგან ეს ყველაზე დიდი იმედგაცრუება აღმოჩნდა ჩემს პროფესიულ საქმიანობაში.

პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი მაშინ მშვიდობასა და ევროპის გაერთიანებაზე ლაპარაკობდა ლისაბონიდან ურალამდე. ამის შესახებ მან გერმანულ ქალაქ მაინცში განაცხადა ბერლინის კედლის დანგრევამდე 6 თვით ადრე, მაგრამ მაშინვე აშკარა იყო, რომ აღმოსავლეთ ევროპა უკანასკნელ დღეებს ითვლიდა.

**ბერლინის კედელი დაინგრა. რას აკეთებს ამის შემდეგ ჯორჯ ბუში? ურეკავს გორბაჩოვს და ეუბნება: მიხეილ, მესმის და ვიზიარებ შენს სირთულეებს. შეგიძლია, დარწმუნებული იყო, რომ შექმნილ სიტუაციას არ გამოვიყენებთ ჩვენ სასარგებლოდ. არ დავიწყებ სიხარულით ცეკვას ბერლინის კედლის ნანგრევებზე, — თქვა და განაგრძო, — მიხეილ, ჩვენ უნდა დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან, რადგან გვეშინია შენი 24 დივიზიის, რომლებიც აღმოსავლეთ გერმანიაშია განლაგებული. ჩვენ კარგად გვახსოვს, რა რეაქცია ჰქონდა საბჭოთა კავშირს უნგრეთის 1956 წლის მოვლენებზე და კიდევ — 1958 წელს პრაღაში. ამიტომ არ გვინდა, რომ მსგავსი რამ ახლა შენ გააკეთო. შენთან გამოვაგზავნი სახელმწიფო მდივანს — ჯეიმს ბეიკერს. როდის შეძლებ მის მიღებას?**

ეს იყო 1989 წლის დეკემბრის დასაწყისში, ბერლინის კედლის დანგრევიდან 3 კვირის თავზე.

გორბაჩოვმა მაშინ უპასუხა:

— მომეცი ორი თვის ვადა, მინდა, მოვეთათბირო ჩვენს სპეციალისტებსა და გენერლებს და ორი თვის შემდეგ მივიღებ ბეიკერს.

გავიდა ორი თვე. თებერვლის დასაწყისში მოსკოვში ჩადის ბეიკერი მეტლოკთან ერთად, რომელიც მაშინ აშშ-ის ელჩი იყო საბჭოთა კავშირში და შემდეგ რუსეთში. იგი მალტაზე გამართულ გორბაჩოვ-ბუშის შეხვედრასაც ესწრებოდა 1989 წელს.

> **«სპეცსამსახურების ვეტერანებმა ღია წერილი გავუგზავნეთ ანგელა მერკელს, რომლითაც ვაცნობეთ, რომ უკრაინაში რუსეთი არ შეჭრილა. ამის ცოდნა აუცილებელია. იგი ფრთხილად უნდა იყოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას»**

მოსკოვში შეხვედრის დროს ბეიკერმა გორბაჩოვს უთხრა:

**— ჩვენ გვინდა, გთხოვოთ, არ დაგვაბრკოლოთ გერმანიის გაერთიანების საქმეში. ვიცით, რომ ეს სიტუაცია თქვენთვის სასიამოვნო არ არის. ვიცით, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დიდი უბედურება დაგატეხეს თავს — 25 მილიონი რუსი მოკლეს, მაგრამ, თუ დათანხმდებით გერმანიის გაერთიანებას, დაგპირდებით, რომ არც ერთი დიუმით არ გავაფართოებთ ნატოს გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარს იქით.**

გორბაჩოვმა უთხრა:

— არ ვიცი. ამაში ჟერ ჩვე-

## სამი მღვდელი და რელიგიის მასწავლებელი სექსუალურ ძალადობაში არიან ეჭვმიტანილები

**ესპანეთის პოლიციამ სამი კათოლიკე მღვდელი და რელიგიის მასწავლებელი დააკავა. ისინი სექსუალურ ძალადობაში არიან ეჭვმიტანილები.**

ეჭვმიტანილთა დაპატიმრება საკვირაო მესაზე ქალაქ გრანადის მთავარეპისკოპოსისა და სხვა სასულიერო პირების უჩვეულო განცხადებებს მოჰყვა.

ისინი ეკლესიის შვილებისთვის ცოდვის შენდობასა და იმ ყველა სკანდალის არიდებას ითხოვდნენ, რომლებიც შეიძლებოდა ეკლესიას თავს დასტყდომოდა. ამასათანავე, რომის პაპმა მიიიღო წერილი, სადაც მამაკაცი წერდა, რომ არასრულწლოვნობისას ის გრანადის სასულიერო პირების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო.

რომის პაპმა სასულიერო პირების მხრიდან სექსუალური ძალადობის შემთხვევაში ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა.



# ჭეშმარიტების მომენტი არის ის, რომ ამ დრომდე, ანუ კიევის პუტჩამდე პუტინს ან ვინმე სხვას რუსთაგან აზრად არ ჰქონდა უკრაინისთვის ყირიმის წართმევა. ამიტომ თქმა იმისა, რომ თითქოს რუსეთმა მოახდინა სხვისი ტერიტორიის ანექსია, მცდარია. სინამდვილეში ეს იყო რეაქცია კიევის პუტჩზე.

არა არის დაფარული...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ნი სამხედროები და სხვები რამენაირად უნდა დავარწმუნო.

ბეიკერმა უპასუხა:

— **თუ ჩვენ გავაერთიანებთ გერმანიას, მაშინ იგი ნატოს შიგნით გვეყოლება. მას უფლება არ მიეცემა, იქონიოს ბირთვული იარაღი და ჩვენს კონტროლს სრულად დაექვემდებარება... ჩვენ არ დავიწყებთ ნატოს გაფართოებას. მაგრამ სანაცვლოდ აღმოსავლეთ გერმანიიდან უნდა გაიყვანოთ თქვენი 24 დივიზია. ვფიქრობთ, რომ ამას ოდესმე თქვენ თვითონ გააკეთებდით.**

გორბაჩოვმა მაშინ უთხრა ბეიკერს:

— ერთი დღე დამელოდე. ჩვენს ხალხს უნდა მოველაპარაკო.

და აი, წამსვლელი გორბაჩოვის ფონზე მეტლოკი მიუბრუნდება ბეიკერს და ეუბნება:

— მგონი, გამოგივა ეს გარიგება.

მეორე დღეს ხელშეკრულება დაიდო.

აღმოსავლეთით ნატოს გაუფართოებლობის სახნაცვლოდ გერმანიის გაერთიანება და ნატოში მისი მიღება გადაწყდა.

24 დივიზია კი, რაც ნიშნავდა 260 ათას მაღალკვალიფიციურ საბჭოთა ჯარისკაცს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან უნდა გასულიყო.

**ეს დიდი გარიგება იყო. შემიძლია, წარმოვიდგინო, რას ფიქრობდნენ ამაზე საბჭოთა გენერლები, რომლებსაც მინდობილი ჰქონდათ საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი — რუსეთისკენ მიმავალი გზების დაცვა ისეთებისგან, როგორებიც იყვნენ ნაპოლეონი, ჰიტლერი და სხვები, რომლებმაც გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირში შეჭრა.**

და რუსებმა ეს ჯარი მთლიანად გაიყვანეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან. ამას ითვალისწინებდა შეთანხმება.

მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ აშშ-ის ხელისუფლების სათავეში დგება ბილ კლინტონი. პოლონელები, ჩეხები და უნგრელები მიდიან მასთან და ეუბნებიან: — იცით, ჩვენ გვინდა ნატოში შესვლა.

ამ დროისთვის ვარშავის ბლოკი, რომელშიც შედიოდნენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები და რუსეთი, უკვე აღარ არსებობდა, რადგან ამის საჭიროება არ იყო.

ნატო უწყინარ ორგანიზაციად იქცა, რომელსაც აღმოსავლეთით გაუფართოებლობის ვალდებულება აღებული ჰქონდა.

**მაგრამ ორიოდ წლის შემდეგ ნატოში სამი ქვეყანა: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი შევიდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში 12 ახალი წევრი გაერთიანდა, რომლებიც გეოგრაფიულად გერმანიიდან აღმოსავლეთით დანაპირებ ერთ დიუმზე გაცილებით იქით მდებარეობს.**



**«ვიცით, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელებმა დიდი უბედურება დაგატეხეს თავს — ათეულობით მილიონი რუსი მოკლეს, მაგრამ, თუ დათანხმდებით გერმანიის გაერთიანებას, გპირდებით, რომ არც ერთი დიუმით არ გავაფართოებთ ნატოს გერმანიის აღმოსავლეთ საზღვარს იქით»**



და აი, 2008 წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნატო სთავაზობს საქართველოსა და უკრაინას ალიანსში გაერთიანებას. ეს ძალიან ახლოსაა რუსეთის საზღვართან, ამიტომ იყო, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა „ხალიჩაზე გამოიძახა" აშშ-ის ელჩი რუსეთში ბილ ბიორნსი, რომელიც ამჟამად აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილეა და უთხრა:

— **ბატონო ბიორნს, გავიგეთ, რომ გსურთ საქართველოსა და უკრაინის მიღება ნატოში. მოდით, ასე გეტყვით: ნეტ! რაც ნიშნავს არას. რადგან ამის გაკეთება კატასტროფას გამოიწვევს. ეს მოსახლეობას ორ ბანაკად გაყოფს, ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და ჩვენ იძულებული ვიქნებით, შევიყვანოთ იქ ჯარები. რადგან ვერ დავრჩებით უტყვ მოწმეებად, როცა ჩვენს ზღურბლთან ასეთი რამ მოხდება.**

არა, ესე იგი, არა!

**საიდან ვიცი ეს ყველაფერი? „ვიკილიქსიდან", რომელმაც გამოაქვეყნა ელჩის მიერ მოსკოვიდან გაგზავნილი დეპეშა, მსგავსი იმ 5 ათასი დეპეშისა, რომლებიც წაკითხული მაქვს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში ჩემი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში. დეპეშას ჰქონდა გრიფი „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი". არის კიდევ გრიფები „რუტინა", „პრიორიტეტი".**

ვაშინგტონში გაგზავნილ დეპეშაში ელჩი ბიორნსი გულახდილად წერს: „ეს არის წითელი ხაზი რუსებისთვის". დეპეშას მიაწერს სიტყვებს: „არა ნიშნავს არას". ეს დეპეშა დათარიღებულია 2008 წლის 28 თებერვლით. ხოლო 2008 წლის 3 აპრილს ბუქარესტში ნატოს სამიტი გაიმართა, რომელზეც ოფიციალურად გაცხადდა, რომ უკრაინა და საქართველო ნატოს წევრები უნდა გახდეს.

ეს ნიშნავს, რომ რუსეთის შეშფოთება არავინ სერიოზულად არ აღიქვა. დღევანდელი კრიზისი კი სათავეს სწორედ აქედან იღებს.

**კიევში კანონსაწინააღმდეგო ანტიკონსტიტუციური პუტჩი რომ მოხდა, ის ტიპი, რომელსაც მიყურადებულ სატელეფონო საუბარში ვიქტორია ნულანდი იაცეკად (იაცენიუკი) მოიხსენიებდა, პრემიერ-მინისტრი გახდა. მისი მთავრობის 4 მინისტრი პროფაშისტი იყო და მაიდნის ბოლო დღეს არეულობის ორგანიზატორად მოგვევლინა. აი, ამ ოთხმა მინისტრმა რუსული ენის, როგორც უკრაინაში ერთ-ერთი ოფიციალური ენის, აკრძალვა მოინდომა, ზოგიერთმა კი რუსების გაგდება ყირიმიდან მოითხოვეს, ეს იყო წითელი ხაზი, რომლის გადალახვის უფლებას რუსები არავის მისცემდნენ.**

თუ მეხსიერება არ მღალატობს, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ ყირიმელებმა ხმა მისცეს რუსეთთან შეერთებას.

**ჭეშმარიტების მომენტი არის ის, რომ ამ დრომდე, ანუ კიევის პუტჩამდე პუტინს ან ვინმე სხვას რუსთაგან აზრად არ ჰქონდა უკრაინისთვის ყირიმის წართმევა. ამიტომ თქმა იმისა, რომ თითქოს რუსეთმა მოახდინა სხვისი ტერიტორიის ანექსია, მცდარია.** სინამდვილეში ეს იყო რეაქცია კიევის პუტჩზე, რომელიც მოსალოდნელიც იყო. ეს ყველაფერი არ მოეწონათ ე. წ. ნეოკონსერვატორებს. ამიტომ ცდილობენ, რომ ჩირქი მოსცხონ პუტინს. და თუ მათ ექნებათ შესაძლებლობა, დააბრალონ რუსეთის პრეზიდენტს ყირიმის ანექსია ან უკრაინის აღმოსავლეთში შეჭრა, ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებენ.

**ნეოკონსერვატორებს ჰყავთ ძალიან დამჯერი მედია ამერიკაში, გერმანიაში, ინგლისში და ა.შ., რომელიც ზღაპრებს გვიყვება, თითქოს პუტინს სურს საბჭოთა იმპერიის აღდგენა, რომელსაც საერთო არაფერი აქვს რეალობასთან. არადა, ყველაფერი პირიქითაა: აშშ, ნატო და ევროკავშირი, რომლებიც იმპერიად წარმოგვიდგება, საკუთარ ნებას თავს გვახვევენ. მაგრამ ამჯერად ფეხი წამოჰკრეს თავიანთ მორიგ პუტჩს, რომელსაც დასავლეთში რეჟიმის შეცვლას უწოდებენ.**

rusvesna.su



## სასაზღვრო პოლიციამ ირანის ორი მოქალაქე დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლებმა ირანის ისლამური რესპუბლიკის ორი მოქალაქე დააკავეს.**

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, 1986 წელს დაბადებული მოჰსენ ყ.-ს და 1982 წელს დაბადებული სორუშ რ.-ს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთა ედებათ ბრალად.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა სარფის სასაზღვრო სექტორის დასაცავ მონაკვეთზე, სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის გვერდის ავლით, თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთეს.



## ნიგერიაში თინეიჯერმა გოგონებმა თავი აიფეთქეს

**ორმა ტერორისტმა გოგონამ ნიგერიაში, ქალაქ მაიდუგურის ხალხმრავალ ბაზარში თავი აიფეთქა.**

ტერაქტს, სულ ცოტა 30 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

სააგენტო „როიტერს" თვითმხილველებმა განუცხადეს, რომ მეორე გოგონამ თავი მაშინ აიფეთქა, როდესაც ხალხი პირველი ტერაქტის შედეგად დაშავებულების დახმარებას ცდილობდა. მომხდარზე პასუხისმგებლობა ტერორისტულმა დაჯგუფება „ბაკო ჰარამმა" დაიკისრა.

მოკლედ



## მოსკოვი მზადაა საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის

**რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, მოსკოვი მზადაა, საქართველოსთან ურთიერთობის ნორმალიზებისკენ მიმართული პროცესი გააგრძელოს.** ამის შესახებ რუსეთის საგარეო უწყების პირველმა პირმა სახელმწიფო სათათბიროში სამთავრობო საათზე გამოსვლისას განაცხადა. საქართველოს საკითხის გარდა, ლავროვმა ვრცლად ისაუბრა უკრაინის კრიზისზე, დასავლეთთან კომპრომისის შესაძლებლობაზე და საერთაშორისო ურთიერთობებზე.



გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„უკრაინელი ფანატიკოსები, რომლებსაც დასავლეთი უჭერდა მხარს, ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. მიიღეს, რაც უნდოდათ", მაგრამ „მოწმენი ვართ, რომ შენება არ შეუძლიათ, — ასკვნის ოპანასენკო, — მხოლოდ ნგრევა, ძარცვა და მკვლელობა ხელეწიფებათ... ისინი კლავენ უკრაინელობის იმ პროექტს, რომელსაც ჟერ კიდევ ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დროიდან, შემდეგ ნაცისტური გერმანიისა და ბოლოს უკანასკნელი სამოცზე მეტი წლის განმავლობაში თვითონ ქმნიდნენ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წიაღში. დაე, ასეც მოხდეს — დაიწვას ის, რაც დასაწვავია".

# მაიდნის წლისთავი — ЩЕ НЕ ВМЕРЛА УКРАИНА?

**21 ნოემბერს კიევში მაიდნის დაწყების წლისთავი აღნიშნეს.
წლისთავი — ისე, როგორც მგლოვიარე ჭირისუფალს ეკადრება. ჭეშმარიტ მაიდნელებზეა ლაპარაკი და არა ცეცხლმოკიდებული საბურავების შავი კვამლით სახენაშლილ ექსტრემისტებზე, რომლებიც „რევოლუციაში" ჩართულობის ყოველი საათისთვის რამდენიმე ათეულ გრივნას იღებდნენ.
და სიამოვნებით მიირთმევდნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის — ვიქტორია ნულანდის ჩამორიგებულ ღვეზელებს.**



მისის ვიქტორია 21-ში კვლავ გამოჩნდა კიევში, ვიცეპრეზიდენტ ჯო ბაიდენს ჩამოჰყვა — მესირ ვოლანდს, თავისი აზაზელოებისა და კოროვიევების ამალის თანხლებით ბულგაკოვის მისტიკური რომანიდან „ოსტატი და მარგარიტა".

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტს ამჯერად დაკისრებული ჰქონდა საპატიო მისია (ამერიკის ყოფილ სახელმწიფო მდივანს — მადლენ ოლბრაიტს დავესესხოთ) **ამერიკული „მილიტარისტული დემოკრატიის" გასამყარებლად გახლეჩილ-დანაწევრებულ ქვეყანაში.**

ამაზე — ქვემოთ.

ახლა კი უკრაინის მოქალაქის პოზიციიდან დანახული „მაიდნის" წლისთავის შესახებ, რომელიც მიხეილ ოპანასენკომ წარმოგვიდგინა თავის სტატიაში — „წელიწადი მაიდნის შემდეგ. Ще не вмерла Украина?"

ჯერ არ მომკვდარაო უკრაინა? — კითხულობს დაეჭვებული ავტორი საპირისპიროდ პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ტრადიციული დევიზისა თუ მოწოდების: Ще не вмерла Украина! — **ჯერ არ მომკვდარა უკრაინა!**

რეალობა აიძულებს — კატასტროფული ვითარება, რომელიც მის ქვეყანაში ჩამოყალიბდა:

**„ტანსაცმელშემოძარცვული. შიშველი. მშიერი. გაავებული. ავადმყოფი, — წერს ოპანასენკო, — გაორებული თვითშეგნებით. სასიკვდილოდ დაავადებული ნაციზმის განგრენით. გამოჯანმრთელების ყოველგვარი შანსი დაკარგული რომ აქვს. ეს არის უკრაინა დღეს. მაიდნის წლისთავზე.**

**არადა, რა „კარგად" და მხიარულად იწყებოდა ყველაფერი — სიმღერებით, ცეკვებით, მაქმანიან ტრუსებზე მეოცნებე ქალიშვილებით, კარგი ბიჭების ხტუნვითა და კოკაინის კოქტეილებით.**

**დამთავრდა დამწვარი ადამიანებით, პირისაგან მიწისა აღგვილი ქალაქებითა და სოფლებით, ათი ათასობით დახოცილითა და დაჭრილით, მშობლიური ქვეყნიდან გაძევებული, საკუთარ კერადაკარგული მოქალაქეებით".**

„ეს მწარე და შხამიანი ნაყოფები, — წერს ჟურნალისტი, — შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს".

ცოტა ღრმად თუ ჩავიხედავთ ამ შხამიანი ნაყოფის ბაღში, დავინახავთ, რომ „იანუკოვიჩის ქურდბაცაცურმა რეჟიმმა, რომელიც რუსეთის დოტაციებისა და რუსეთის ბაზარზე უკრაინული სასაქონლო მასის გასაღებაზე იყო დაფუძნებული, შეწყვიტა არსებობა და გაქრა ქვეყანასთან ერთად".

სისხლში გასვრილი ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ იგივე ქურდები, რომლებიც უწინაც ასეთები იყვნენ... დღეს კი მმართველები გახდნენ.

ქვეყანა აფეთქებულია სამოქალაქო ომით. „სამოქალაქო თავისუფლებათა ნანგრევებზე დამყარდა კვაზინაცისტური რეჟიმი, რომელიც ტოტალურად დევნის თავის მოქალაქეებს სიტყვის თავისუფლების გამო (აიკრძალა მთელი რიგი ბეჭდური მედიისა, ტელე და რადიოგადაცემებისა და საიტებისა; რეჟიმის დამქაშების დასმენების საფუძველზე დაპატიმრებული არიან მოქალაქეები, ათი ათასობით ადამიანი იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა სამშობლო იმიტომ, რომ თავი აერიდებინა დევნისთვის „მაიდნის ხელისუფლების" იდეოლოგიისგან განსხვავებული შეხედულებებისა და რწმენის გამო; აკრძალვის პირზეა ბევრი პარტია და მოძრაობა, უფრო მეტი უკვე ლიკვიდირებულია; „დაბომბილი და განადგურებულია მართლმადიდებლური ეკლესიები და იუდეველთა და მუსლიმთა კონფესიური სალოცავები".

**„ნაწილობრივი სუვერენიტეტიდან აღარაფერი დარჩა,** — ხაზგასმით აღნიშნავს ავტორი, — **ქვეყანას, უფრო ზუსტად, იმას, რაც მისგან დარჩა, მართავენ აშშ-ის ელჩი უკრაინაში და ამერიკის სპეცსამსახურების კადრის თანამშრომლები, რომლებმაც შეაღწიეს არა მარტო უკრაინის სპეცსამსახურებში, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატებში და ხელმძღვანელობენ ამ სტრუქტურებს".**

**«ნაწილობრივი სუვერენიტეტიდან აღარაფერი დარჩა. ქვეყანას, უფრო ზუსტად, იმას, რაც მისგან დარჩა, მართავენ აშშ-ის ელჩი უკრაინაში და ამერიკის სპეცსამსახურების კადრის თანამშრომლები, რომლებმაც შეაღწიეს არა მარტო უკრაინის სპეცსამსახურებში, არამედ აღმასრულებელი ხელისუფლების აპარატებში და ხელმძღვანელობენ ამ სტრუქტურებს»**



რაც, სხვათა შორის, არაერთხელ აღუნიშნავთ „საქართველო და მსოფლიოს" რესპონდენტებსაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

ლუსტრაცია სანაგვე ყუთებით, პოლიტიკური დისკუსიების ნაცვლად ოპონენტებზე ნადირობა. **„ათასობით ადამიანი პოლიტპატიმარი გახდა და მათ შესახებ არაფერია ცნობილი. „თოფიან კაცს" დღეს უკრაინაში უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებს.**

**„ადამიანებით ვაჭრობა — ბითუმად და ცალობით — კონვეირის პრინციპით მოქმედებს. უკრაინის ცეცხლმოდებული ნარჩენები სულ უფრო ეხვევა ნარკოტიკულ ბურანში".**

ქვეყანა იძირება შუასაუკუნეების ობსკურანტიზმში, რომელიც, უწინარესად, განათლებისა და კულტურის სფეროებზე აისახება.

**ნაცნობი სურათებია საქართველოს უახლესი ისტორიიდან — უფსკრულის პირას დგომის.**

იგივე სიტუაციაა ეკონომიკაში.

**უკრაინა დაიშალა, როგორც ერთიანი საფინანსო-ეკონომიკური ორგანიზმი. აშკარად დეფოლტი ემუქრება. ერთი წლის განმავლობაში უკრაინის ოქროსა და ვალუტის მარაგი თითქმის ორჯერ შემცირდა. ასეთია ოფიციალური მონაცემები. უკრაინის ეროვნული ბანკის ხელმძღვანელმა ვალერია გონტარევამ კი ეს-ესაა განაცხადა, რომ სავალუტო მარაგი, რვაჯერ ნაკლებია იანუკოვიჩის პერიოდის მარაგთან შედარებით.**

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლება თავს ვერ იმართლებს ასეთი შემთხვევების დროს გამოყენებული არგუმენტით: ყველაფერი ჩვენ მოსვლამდე იყო მოპარული.

საქმე ის არის, რომ კორუფციონერ იანუკოვიჩის პერიოდში სავალუტო მარაგი, როგორც წესი, მატულობდა.

**რა ხდება?**

***ქალბატონმა გონტა-** ▶

## ნიკარაგუაში ოკეანეთაშორისი არხის მშენებლობა იწყება

**მშენებლობა არხისა, რომელიც ატლანტიკისა და წყნარ ოკეანეებს ერთმანეთთან დააკავშირებს, 22 დეკემბერს დაიწყება ნიკარაგუაში (რივასის დეპარტამენტში). პორტი ბრიტო პროექტ „დიდი არხის" საწყისი სტადიაა, ამ ეტაპის დასრულების შემდეგ დაიწყება გაყვანა არხისა, რომლის ღირებულება 50 მლრდ დოლარია.**

პროექტით გათვალისწინებულია ახალი ხიდებისა და კოსტა-რიკასთან დამაკავშირებელი ავტოსტრადის აგება, აგრეთვე, ნიკარაგუის ტბის გაწმენდა, რომელზეც უნდა გაიაროს არხის ტრასამ.

ვარაუდობენ, რომ ოკეანეთაშორისი არხის გაყვანას 5 წელიწადი დასჭირდება. შეიქმნება 50 ათასი სამუშაო ადგილი, კიდევ 200 ათასი ადამიანი კი პროექტის დასრულების შემდეგ დასაქმდება დამატებითი ინფრასტრუქტურის — ავტოსტრადის, პორტების, ავიატერმინალებისა და ტურისტული კომპლექსების ასაგებად.

არხის სიგრძე 278 კმ იქნება, სიღრმე — 30 მ, სიგანე კი — 230-დან 520 მეტრამდე. არხი უზრუნველყოფს დიდი წყალწყვის 5 ათასზე მეტი გემის გატარებას წელიწადში.







გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀რევამ ვერ ახსნა, სად გაქრა ოქროს მარაგი — 20 ტონა ოქრო! ექსპერტების მტკიცებით, თუ მიმდინარე თვის დასაწყისისთვის ოქროს ოდენობა სავალუტო მარაგის 8 პროცენტს შეადგენდა (ერთი მილიარდი დოლარის ეკვივალენტური იყო), ამჟამად ერთ პროცენტამდე დაეცა.

*გრივნას ღირებულება ორჯერ შემცირდა.

*ხელფასებიც ორჯერ შეიკვეცა.

*მთლიანი ეროვნული პროდუქტი მიმდინარე წელიწადს 10 პროცენტით ნაკლებია. ინფლაციამ ჯერ კიდევ სექტემბერში 3 პროცენტი შეადგინა, წლიურად — 16 პროცენტს გადააჭარბებს. მრეწველობის მოცულობა 9 თვის განმავლობაში 8,6 პროცენტით ნაკლებია. წამგებიანი გახდა ეკონომიკის მთელი რიგი სექტორებისა.

* მაისში უკრაინელებს გაზის ტარიფი 56 პროცენტით გაეზარდათ. პრემიერმინისტრ იაცენიუკის განცხადებით, ტარიფები ოთხი წლის განმავლობაში კვლავაც გაიზრდება: 2015 წლის 1 მაისისთვის — დამატებით 40 პროცენტით, მომდევნო ორი წლის შესაბამისი პერიოდისთვის — 20-20 პროცენტით. ხოლო მინიმალური ხელფასი, საარსებო მინიმუმისა და პენსიების ოდენობა უცვლელი დარჩება.

* უმუშევრობის პროცენტი 2013 წელს 7,7 იყო, წლევანდელ მეორე კვარტალში 9 პროცენტს გადააჭარბა.

მოკლედ, როგორც უკრაინის ანალიტიკური ცენტრის პრეზიდენტმა ალექსანდრ ოხრიმენკომ განაცხადა, „ეკონომიკური სასწაული უკრაინაში არ მოხდა".

არადა, ჰპირდებოდნენ, ლამის ხატზე იფიცებდნენ ადგილობრივი და ევროკავშირის ლიდერები, რომ ასეთი სასწაული მოხდებოდა დაუყოვნებლივ, როგორც კი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გაფორმდებოდა.

უფრო მკაცრი იყო თავის შეფასებაში პოლიტიკური ინფორმაციის ცენტრის გენერალური დირექტორი ალექსეი მუხინი: „უკრაინა სათარეშო ველად იქცა, რაც 1917 წლის მდგომარეობამდე დაბრუნებას ნიშნავს".

*სატრანსპორტო გადაზიდვები კლებულობს — არავინ და არაფერი გადასაზიდ-გადასაყვანი აღარ არის.

*უკრაინის ბაზარზე იმპორტის მაჩვენებელი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით კატასტროფულად შემცირდა და 2014 წლის ბოლომდე კიდევ 10 პროცენტით დაეცემა. ამის ძირითად მიზეზთა შორის ექსპერტები ასახელებენ მიმდინარე სამოქალაქო ომს, ვალუტის გაუფასურებასა და კორუფციას. „არავითარი წინაპირობა არ არსებობს არათუ ამ ტენდენციის დასაძლევად, არამედ ოდნავ შესანელებლადაც კი", — ამტკიცებენ ეკონომისტები.

ქვეყანაში ბანდიტიზმი ბობოქრობს და კორუფციაა გამეფებული.

უკრაინის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირმა, რომელსაც ანატოლი კიხანი ხელმძღვანელობს, მთავრობა გაუაზრებელ ეკონომიკურ პოლიტიკაში დაადანაშაულა: **„ეროვნული ვალუტის გაუფასურება და, შესაბამისად, მოსახლეობის ხელფასებისა და გადახდისუნარიანობის შემცირება, სამრეწველო სექტორის სტაგნაცია, საბაზრო ურთიერთობების უგულებელყოფა, ინვესტიციების კრიტიკული გადინება (მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მათი რაოდენობა 50 პროცენტით შემცირდა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით) ეკონომიკის მართვისა და ბაზრის რეგულირების სფეროებში გონივრული სახელმწიფო პოლიტიკის არქონის შედეგია"**. სწორი კრიტიკაა, მართალი. „მაგრამ ვის სჭირდება ეს ბავშვური „გულახდილობა" იმ ქვეყანაში, რომელშიც სამოქალაქო ომი მძვინვარებს და ნაცისტი კუდიანების შაბათობა პიკს აღწევს?!"

ექსპერტების თვალსაწიერი ყველაფერს სწვდება: რესურსების მობილიზაციის ნაცვლად მათი გაფანტვა მიმდინარეობს; ყველაზე უფრო მომგებიანი დარგების საწარმოებს ოლიგარქებს ურიგებენ; არ არის ქვანახშირი სახლების გასათბობად და ა. შ.

რა ვიცი, კი ჰყავდათ მიწვეული მთავრობის ეკონომიკურ მრჩევლად აწ გარდაცვლილი (ღმერთო, მაპატიე!) ქართველი ოლიგარქი, რომელმაც თავის ქვეყანაში ყველაფერი გაყიდა სინდისთან ერთად.

ასეთია მაიდნის ერთი წლის, მხოლოდ ერთი წლის შედეგები.

**„უკრაინელი ფანატიკოსები, რომლებსაც დასავლეთი უჭერდა მხარს, ხელისუფლების სათავეში მოექცნენ. მიიღეს, რაც უნდოდათ, მაგრამ „მოწმენი ვართ, რომ შენება არ შეუძლიათ, — ასკვნის ოპანასენკო, — მხოლოდ ნგრევა, ძარცვა და მკვლელობა ხელეწიფებათ... ისინი კლავენ უკრაინელობის იმ პროექტს, რომელსაც ჯერ კიდევ ავსტრო-უნგრეთის იმპერიის დროიდან, შემდეგ ნაცისტური გერმანიისა და ბოლოს უკანასკნელ სამოცზე მეტი წლის განმავლობაში თვითონ ქმნიდნენ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წიაღში.**

**დაე, ასეც მოხდეს — დაიწვას ის, რაც დასაწვავია".**

ერთი წლისწინანდელი მაიდნის ლიდერები, — გვარწმუნებენ ანალიტიკოსები, — ვერ ჩამოყალიბდნენ ერთიან მოძრაობად, ერთიან პოლიტიკურ სტრუქტურად, რომელიც მოქალაქეთა ინტერესებს დაიცავდა.



**«ორ-სამ წელიწადში, როცა საღი აზრი გაიმარჯვებს, ეს კი ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება, დაიწყება სასამართლო პროცესები და მაშინ ყველა ამ «გამათავისუფლებელმა», რომლებიც კი ცოცხალი იქნებიან, პასუხი უნდა აგოს «მაიდანში აქტიური მონაწილეობისთვის»**




**მხოლოდ ორიოდე დღის წინათ გაერთიანდა პარლამენტში წარმოდგენილი ხუთი პარტია ერთ ბლოკად, შექმნეს ახალი მთავრობა ძველი პრემიერმინისტრით. და ეს ღირსსახსოვარი მოვლენა „მაიდნის" წლისთავზე ჩამოსულ ჯო ბაიდენს მიუძღვნეს.**

იქნებ, სულაც ამერიკელი ემისრის ნებართვით მოხდა დაპირისპირებულთა შერიგება-გაერთიანება? ხომ ფაქტია, რომ კიევში მისი მოვლინების შემდეგ რამდენიმე საათში გაფორმდა შეთანხმება, რომელსაც არჩევნების შემდეგ განვლილი საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვერა და ვერ მიაღწიეს?

პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ შეთანხმების ტექსტი, რომელიც მანამდე არ არსებობდა, რადგან არავის წარუდგენია, გამზადებულ-გასალაშინებული, ინგლისურ ენაზე დაწერილი მაგიდაზე დაუდეს ხუთივე პარტიის ხელმძღვანელებს.

**ბაიდენმა დამოძღვრა პოროშენკო-იაცენიუკი: გააგრძელეთ რეფორმები, რომლებიც შეთანხმებული იყო.**

**შეთანხმებულიო.**

**ვისთან?**

**იმ „პოლიტბიუროსთან" ხომ არა, რომელმაც დამოუკიდებელი უკრაინისთვის კრემლიდან თეთრ სახლში გადაინაცვლა?!**

არც პროტოკოლით გათვალისწინებულ მაღალი რანგის შეხვედრებისას, არც „მაიდანზე" გამართულ ღონისძიებებში ვიქტორია ნულანდისთვის თვალი არავის მოუკრავს.

**გამოელია ამერიკას ხალხისთვის დასარიგებელი ღვეზელები თუ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ არ მოისურვა, საკუთარ თავზე მიეღო ხალხის შეძახილი, რომლითაც „მაიდანზე" შეკრებილები პრეზიდენტ პოროშენკოს შეხვდნენ?**

**— „განბა!" — უყვიროდა ხალხი, რაც ქართულად ნათარგმანები სირცხვილსა და თავის მოჭრას ნიშნავს.**

**უსტვენდა ხალხი თავის პრეზიდენტს...**

ხალხი, რომელიც აღშფოთებას არ მალავს არა ოჯახური „სამზარეულოების მყუდროებაში", არამედ ინტერნეტსივრცეში. მკაცრი და შეუვალია შეფასება რიგითი მოქალაქეების:

„მაიდანი 21-ე საუკუნის უდიდესი აფერაა... შედეგები სავალალოა, სამწუხარო და ტრაგიკული. ქვეყანა, რომელსაც უკრაინა ჰქვია, დე ფაქტო აღარ არსებობს. აღარ არსებობს ეკონომიკა, აღარც ხელისუფლება არსებობს. წესრიგი არსადაა. საჭესთან კვლავ ოლიგარქები დგანან. ძარცვა და ქურდობა გრძელდება. ასობით ათასმა ადამიანმა დატოვა ეს ტერიტორია, რომელიც ოდესღაც ერთიანი ქვეყანა იყო. იმედი გადაწურულია. იხტუნავეთ მაიდანელებო!"

**„ორ-სამ წელიწადში, როცა საღი აზრი გაიმარჯვებს, ეს კი ნებისმიერ შემთხვევაში მოხდება, დაიწყება სასამართლო პროცესები და მაშინ ყველა ამ „გამათავისუფლებელმა", რომლებიც კი ცოცხალი იქნებიან, პასუხი უნდა აგოს „მაიდანში აქტიური მონაწილეობისთვის"** და „აღმოსავლეთ უკრაინაში წარმოებულ საომარ ოპერაციაში მონაწილეობის გამო". გულწრფელად მჯერა, რომ უკრაინის ნამდვილი მტრები ხელისუფლებაში არიან, სწორედ ისინი უპირისპირებენ ერთმანეთს ჩვენს მოქალაქეებს".

„ის, რაც უკრაინაში მოხდა, რევოლუცია კი არ არის, წმინდა წყლის გადატრიალებაა, ძალაუფლების კრიმინალური უზურპაციაა. ერთი ბანდა ჩაენაცვლა მეორეს. „თავისუფალ" უკრაინელ ფიურერებთან ჩამოდის აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ბაიდენი და თავისი ქცევით მსოფლიოს აჩვენებს, ვინ არის უკრაინის პატრონი — „ხოზიაინი".

„ყველაფერზე შედეგებით უნდა ვიმსჯელოთ. წელიწადია, რაც უკრაინაში შავი ჭირი მძვინვარებს. ამ დაავადების გამავრცელებლები კი ხარობენ. მე კარგად მახსოვს, როგორ კისკისებდნენ და როკავდნენ ისინი 3 მაისს, როცა გაიგეს, რომ ნაცისტებმა ოდესაში ორმოცდაათი ადამიანი ცეცხლში ამობუგეს. მაიდნის აქტივისტი უკვე დიაგნოზია".

**P.S. კიევის მაიდნის სავალალო შედეგები, რომლებზეც უკრაინელი ექსპერტები საუბრობენ, თითქოს არ უნდა იყოს საქართველოსთვის რაღაც განსაკუთრებული თავში სახლელი და საწუხარი.**

**მაიდანი ბრიუსელისა და ვაშინგტონის გეოპოლიტიკური პროექტია და კიევმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ უარყოს იგი.**

**ჩვენ საკუთარი პრობლემებიც გვყოფნის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ პრობლემებს შორის დაინტერესებული ძალების მიერ თბილისური მაიდნის პერსპექტივაც არის ნაგულისხმევი, რომლის ულიმლამო მცდელობა „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ორგანიზებული საპროტესტო აქცია იყო რუსთაველის პროსპექტზე ნოემბრის თხუთმეტში.**

**მაიდნის წლისთავზე შეჯამებული განვლილი პერიოდის შედეგები, როგორც ჩანს, ერთგვარი ინიექცია უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა და განწყობილების პროფილაქტიკისთვის.**

**კი მიდის ყველა გზა კიევისკენ, მაგრამ სულაც არ არის აუცილებელი, რომ მაინც და მაინც მაიდანი იყოს ჩვენი მარშრუტის გზაგასაყარი.**

**„ჭკუით, ქართველებო!" — ანდერძად დაგვიტოვა დიდმა ჭაბუა ამირეჯიბმა. ხომ არ დაგვავიწყდა?**

უცხოეთის მედიაში გამოქვეყნებული მასალები მომოიხილა
**არმაზ სანებლიძემ**

## ნაზარბაევი სოციალისტურ ყაზახეთს აშენებს

**ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ხალხისადმი მიმართვაში ახალი სახელმწიფო პროგრამის შესახებ განაცხადა: „ვგრძნობ, რომ უახლოესი წლები გლობალური გამოცდის პერიოდი იქნება მსოფლიოსთვის და ჩვენთვისაც. ამ ზღვარს გადალახავენ მხოლოდ ძლიერი, შეკრული ხალხები".**

ნაზარბაევმა მთავრობას დაავალა, პირველ რიგში, გააუმჯობესოს ბავშვების ცხოვრების პირობები სკოლაში, სკოლამდელ დაწესებულებებში და აღმოფხვრას ბავშვთა ბაღებისა და ბაგების დეფიციტი; დააჩქაროს საბინაო-კომუნალური მეურნეობის ინფრასტრუქტურის რემონტი და გასცეს შეღავათიანი კრედიტები საშუალო და მცირე ბიზნესის დასაფინანსებლად; რაც მთავარია, გასცეს საცხოვრებელი ფართობები წინასწარი შენატანისა და პროცენტების გარეშე, ამასთანავე, არ შემცირდეს ხელფასები და პენსიები!

ამ მიზნებისთვის ნაზარბაევს განზრახული აქვს, ნაციონალური ფონდიდან უზარმაზარი თანხის დახარჯვა — ყოველწლიურად 3 მლრდ დოლარის ოდენობით.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1962 წელს კორეის ხელისუფლებამ ამერიკის ბაზების მახლობლად ზემოხსენებულის ანალოგიურ დასახლებებს „სპეციალური ტურიზმის რაიონები“ უწოდა და მათში პროსტიტუცია დააკანონა. იმავე წელს ამ სამუშაოსთვის ოფიციალურად დაქირავებულ იქნა დაახლოებით 20 000 ქალი, კიდევ უფრო მეტი კი — არაოფიციალურად.**



# მილიონობით სექსუალური მონა

## — სამხრეთ კორეაში აშშ-ის 60-წლიანი სამხედრო მონაგარი



**დასავლური და განსაკუთრებით ამერიკული მასმედია გამუდმებით იმეორებენ ამერიკის პირობას, იბრძოლოს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და თავისუფლებისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. თუ ამ დაპირების შედეგად ხდება რაიმე სამხედრო კონფლიქტი, რომლის შედეგადაც იხოცება ასობით და ათასობით ადამიანი, მაშინ ზოგან ჩნდება პუბლიკაციები, რომლებშიც ამა თუ იმ ქვეყანაზე აშშ-ის სამხედრო თავდასხმას აკრიტიკებენ. ასევე, არაფერი ხმაურდება აშშ-ის ომებისა და მისი სამხედროების მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ოკუპაციის შედეგების შესახებ. არადა, ამ აგრესიის შედეგებმა, შესაძლოა, კიდევ ძალიან დიდხანს გაგვახსენოს თავი. კერძოდ, არც ერთი პუბლიკაცია არ ასახავს, თუ რა გავლენა მოახდინა სამხრეთ კორეის თანამედროვე ისტორიაზე გასული საუკუნის 40-იან წლებში აშშ-ის სამხედროების მიერ კორეის ოკუპაციამ და ამერიკელი სამხედროების ბანაკების მახლობლად მცხოვრებ კორეელ ქალთა შორის პროსტიტუციის გავრცელებამ.**

სამხრეთკორეულ ქალაქ პხენტხეკის ანჯეუნგ-რის რაიონში მდებარე ერთ შეუხედავ შენობაში, რომელიც განთავსებულია ამერიკული სამხედრო ბაზის — „კემპ ჰამფრისის“ უკანა კარიბჭესა და ხუთ თუ ექვს დახურულ კაბარეს შორის, ახლა 70-ზე მეტი ხანდაზმული ქალი ცხოვრობს. იმავე ბაზის მთავარ კარიბჭესთან კედლებზე გამოფენილია იმ მშვენიერი სახლების ფოტოები, რომლებმაც ოდესმე ამჟამად არსებული ბარაკები უნდა ჩაანაცვლოს.

დასახლებაში, რომელიც სამხედრო ბაზის მახლობლად გაჩნდა, დიდი ხნის წინათ ყველა ზემოხსენებული ქალი მეძავად მუშაობდა და მათი მომსახურებით ამერიკელი სამხედროები სარგებლობდნენ. ისინი ამ დრომდეც განაგრძობენ იქ ცხოვრებას, რადგან წასასვლელი არსად აქვთ. ამასთან, შენობის მესაკუთრეებსა და მშენებლებს ამ, ჯერ კიდევ მზარდი, სამხედრო ბაზის მეზობლად ნამდვილი სახლების აშენება სურთ. ამის გამო ისინი ქალებს აიძულებენ, დატოვონ საკუთარი საცხოვრებელი.

70 წლის ჩუ მიუნგ-ჯა ერთ-ერთი მათგანია. ყოველთვიურად იგი სასამართლოდან იღებს უწყებას მოთხოვნით, გაათავისუფლოს დაკავებული საცხოვრებელი. იგი ამბობს: „სახლის პატრონს სურს, მაიძულოს, წავიდე აქედან, მაგრამ ფეხები მტკივა, სიარული არ შემიძლია. ამასთან, სამხრეთ კორეაში ბინები ძალიან ძვირია“. უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ფეხების ტკივილის გამო ჩუ სახლიდან იშვიათად გადის. **ამ ქალთაგან ყველას რცხვენია საკუთარი წარსულის. ისინი ხშირად ავადმყოფობენ და სიღატაკეში ატარებენ სიცოცხლის უკანასკნელ წლებს, მაგრამ არც ხელისუფლებას და არც უბრალო ადამიანებს არ სურთ მათი დახმარება. მაგრამ მათი ამჟამინდელი მდგომარეობა იმის შედეგი არ არის, რომ ოდესღაც პროსტიტუციით იყვნენ დაკავებულნი. მათი ბედი პრინციპულად განსხვავდება სხვა კორეელი ქალების ბედისგან, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიის ჯარისკაცების სექსუალურ მონებად იქცნენ.** ახლა ის უბედურები, სპეციალური კანონის შესაბამისად, სახელმწიფოსგან დახმარებას იღებენ. ამასთან, კორეის მოსახლეობის დიდი ნაწილი იაპონიის მთავრობისგან ითხოვს, კომპენსაცია გადაუხადონ ამ ქალებს და ოფიციალურად ბოდიშიც მოუხადონ. მათი უფლებების დამცველები ყოველკვირეულად მართავენ მიტინგებს იაპონიის საელჩოს წინ.

პხენტხეკის საქალაქო მმართველობის წარმომადგენლები სიტუაციას შემდეგნაირად აღწერენ: არ არსებობს არანაირი კანონი საბიუჯეტო სახსრების გამოსაყოფად იმ ქალებისთვის, რომლებიც ანჯეუნგ-რის რაიონში ცხოვრობენ. სამხრეთ კორეაში მრავალმა ადამიანმა არც კი იცის ამ დასახლების არსებობის შესახებ. როგორც ჩანს, კორეელები მზად არ არიან, დახმარება აღმოუჩინონ ქალებს, რომლებიც ოდესღაც ამერიკელ სამხედროებს ემსახურებოდნენ ფულის სანაცვლოდ, მაგრამ მხარს უჭერენ მათ, ვინც იაპონელი სამხედროების მხრიდან ძალადობის მსხვერპლი გახდა.

**ვაშინგტონი და სეული შეთანხმდნენ, რომ პხენტხეკის სამხედრო ბაზაზე გადაიტანდნენ სხვა ამერიკულ ბაზას — ენსანს, რომელიც სამხრეთკორეული დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში 620 ჰექტარ ძვირად ღირებულ მიწას იკავებს და კემპ ხამფრისისგან 70 კილომეტრითაა დაშორებული. თავიდან ამის გაკეთება 2012 წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ახლა აცხადებენ, რომ ვადამ 2016 წლამდე გადაიწია**




ორ კორეას შორის 1950-1953 წლებში მიმდინარე ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ კორეა ძლიერ დამოკიდებული აღმოჩნდა ამერიკის არმიაზე. ქვეყანაში დამყარდა დიქტატურა, მოსახლეობა კი კვლავაც სიღატაკეში ცხოვრობდა. მკვლევარების აზრით, სამხრეთკორეულმა მთავრობამ გარდაუვლად მიიჩნია კორეელი ქალების გამოყენება ქვეყნის სამხრეთ რაიონებში დისლოცირებული ათასობით ამერიკელი ჯარისკაცის ახირების დასაკმაყოფილებლად. ამასთან, მიღებული შემოსავალი უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოსთვის და ამის გამო არ ამბობდა ის უარს საკუთარ ტერიტორიაზე ამერიკელი ჯარისკაცების განლაგებაზე.

**1962 წელს კორეის ხელისუფლებამ ამერიკის ბაზების მახლობლად ზემოხსენებულის ანალოგიურ დასახლებებს „სპეციალური ტურიზმის რაიონები“ უწოდა და მათში პროსტიტუცია დააკანონა. იმავე წელს ამ სამუშაოსთვის ოფიციალურად დაქირავებულ იქნა დაახლოებით 20 000 ქალი, კიდევ უფრო მეტი კი — არაოფიციალურად.**

პარკ კიუნგ-სუ კორეის სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ დანაშაულებებთან ბრძოლის ნაციონალური კომიტეტის გენერალური დირექტორია. ეს ორგანიზაცია მუშაობს სამხრეთ კორეის წინააღმდეგ აშშ-ის მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულებების გახსნაზე და მათ შესახებ საზოგადოებას აცნობებს. პარკ კიუნგ-სუ ამბობს: „მრავალ ქალს, რომლებიც ამით იყვნენ დაკავებულნი, არსებობის სხვა საშუალება არ გააჩნდა. ამის გამო მათ საზოგადოებაში ცუდი სახელი აქვთ და აღარ შეუძლიათ სხვა სამსახურში მოწყობა“.

კიმი არის ერთ-ერთი ქალი, რომელიც ზემოხსენებულ დასახლებაში ცხოვრობს. მას ისე რცხვენია საკუთარი წარსულის, რომ ღამით დაძინებაც კი არ შეუძლია. სახლის მეპატრონემ ამ 75 წლის ქალს უთხრა, რომ ერთი თვის განმავლობაში უნდა დაცალოს ბინა. ქალი ყოველდღე ეძებს ახალ თავშესაფარს.

მსგავს დასახლებებში მდგომარეობა 2004 წლიდან გაუარესდა — მაშინ **ვაშინგტონი და სეული შეთანხმდნენ, რომ პხენტხეკის სამხედრო ბაზაზე გადაიტანდნენ სხვა ამერიკულ ბაზას — ენსანს, რომელიც სამხრეთკორეული დედაქალაქის ერთ-ერთ რაიონში 620 ჰექტარ ძვირად ღირებულ მიწას იკავებს და კემპ ხამფრისისგან 70 კილომეტრითაა დაშორებული. თავიდან ამის გაკეთება 2012 წლისთვის იგეგმებოდა, მაგრამ ახლა აცხადებენ, რომ ვადამ 2016 წლამდე გადაიწია.**

ამ პროექტის დასრულების შემდეგ კემპ ხამფრისის ამჟამინდელი ბაზა ლამის სამჯერ გაიზრდება. მასში განთავსდება 36 ათასზე მეტი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, მათი ოჯახის წევრები და სამოქალაქო მუშაკები. ინვესტორები დაინტერესებულნი არიან, რომ ამ რაიონში კომერციული საწარმოებისთ- ▶

მოკლედ

### ჩრდილოეთ კორეა ბირთვული ცდის ჩატარებით იმუქრება

**გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს ჩრდილოეთ კორეის საკითხის საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოსთვის გადაცემისკენ მოუწოდებს — ქვეყანას კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში ედება ბრალი.** აღნიშნული რეზოლუციის საპასუხოდ ჩრდილოეთ კორეა ახალი ბირთვული ცდის ჩატარებით დაიმუქრა. ქვეყნის საგარეო უწყებამ აშშ, რეზოლუციის მიღების მიზნით, გაეროზე ზეწოლაში დაადანაშაულა. ჩრდილოეთ კორეის განცხადებით, რეზოლუცია ჩრდილოეთ კორეიდან გაქცეულთა ყალბ ჩვენებებს ეფუძნება. ქვეყნის ხელისუფლების განცხადებაში საუბარია, რომ ამ რეზოლუციის მიღება ამერიკის მხრიდან სერიოზულ პროვოკაციას წარმოადგენს და შეუძლებელი ხდება, ქვეყანამ ახალი ბირთვული ცდების ჩატარებისგან შეიკავოს თავი. ფხენიანს 2006, 2009 და 2013 წლებში უკვე ჩატარებული აქვს ბირთვული ცდები.



**კატალონიის რეფერენდუმის შედეგები არა მხოლოდ გაამყარებს ესპანეთის ყველა რეგიონულ პოზიციებს, არამედ დამატებით სტიმულს მისცემს შოტლანდიელებს, ფლამანდიელებს, ჩრდილოიტალიელებს, ბავარიელებს — ავტონომისტებსა და სეპარატისტებს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ვის ააგონ შენობები, რათა გამდიდრდნენ ამერიკელი სამხედროების ოჯახების იქ გადასახლებისა და ქვეყნის სხვა რაიონებიდან მოქალაქეთა დიდი რაოდენობით მოდინების ხარჯზე.

ვუ სინ-დუკი არის ადგილობრივი ანჯეუნგ-რიში მცხოვრები ხანდაზმული ქალების პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის „მზით გაბრწყინებული დები“ დირექტორი. იგი ამბობს: „მიწათმესაკუთრეები იბრძვიან ამ რაიონში ინვესტიციების მოსაზიდად, რომელიც მიწისა და იჯარის გადასახადს 50-დან 200-დოლარამდე გაზრდის. ამის გამო მათ სურთ, აიძულონ ხანდაზმული ქალები, რომელთაგან თითქმის ყველა მარტო ცხოვრობს, გაათავისუფლონ საკუთარი ბინები“.

ამ უბედურთაგან მრავალი დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო მეტ ძალისხმევას უნდა იჩენდეს მათი სოციალური უზრუნველყოფისთვის. მიმდინარე წლის 22 ივნისს ანჯეუნგ-რის რაიონში მცხოვრებმა 122-მა პირმა სამხრეთ კორეის ხელისუფლებას უჩივლა და 9800 დოლარზე მეტი კომპენსაციის გადახდა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ სარჩელის განხილვის ვადაც კი არ დააწესა ამ ადამიანებისთვის. აქტივისტები და საბრალო ქალების დამცველები ირწმუნებიან, რომ ახალგაზრდობაში ხელისუფლება აიძულებდა მათ, ანალიზები ჩაებარებინათ სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების გამოსარიცხად. დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში კი, უბრალოდ, აპატიმრებდა მათ. აშშ-ისა და სამხრეთ კორეის სამხედრო ხელმძღვანელობა კი, თავის მხრივ, რეგულარულად ადევნებდა თვალს ამ ქალების საცხოვრებელ ტერიტორიაზე ინსპექტირების შედეგებს.

ამგვარი ინსპექციის ფარგლებში ჩატარდა ჩასახლებულების ცხოვრების პირობების შესწავლა და მათი ჩივილების განხილვაც, მაგრამ ამერიკული ჯარის სარდლობამ თავი შეიკავა არსებულ კითხვებზე რაიმე პასუხების გაცემისგან. ამის ნაცვლად თავის ერთ-ერთ განცხადებაში მან ბრძანა, რომ „მისთვის ცნობილია ამ ადამიანების მდგომარეობასთან დაკავშირებით და არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს საკუთარ შეხედულებებს“ პროსტიტუციის საკითხთან დაკავშირებით. ამის გამო ქალთა უმრავლესობა გრძნობს, რომ შექმნილი მდგომარეობიდან არანაირი გამოსავალი არ აქვს.

ჯანგ იანგ-მი 67 წლისაა. იგი ბავშვობაში დაობლდა, შემდეგ კი 20 წელი იმუშავა ერთ-ერთ მსგავს დასახლებაში. ახლა იგი სამ ავადმყოფ ძაღლთან ერთად ცხოვრობს. ერთ-ერთის ნაკბენისგან ხელზე ნაიარევი ამჩნევია, მაგრამ ძაღლის გაგდება მაინც არ სურს. ახლა იგი ამბობს: „ალბათ, იმის გამო, რომ დიდხანს ვცხოვრობდი ამერიკელ ჯარისკაცებთან, ახლა კორეელებთან ცხოვრება აღარ შემიძლია“.

**ამერიკის ჯარმა კორეის ოკუპირება 1945 წელს მოახდინა. მათ მოიპოვეს „განსვენების ადგილი“, იქ მომუშავე ქალებმა კი მათი მომსახურება დაიწყეს.** 1945-1953 წლებში სამხრეთ კორეაში 350 000 მეძავი იყო. 1950-დან 1960-წლამდე ამ ქვეყანაში უძველესი პროფესიის წარმომადგენელთა საერთო რაოდენობის 60% აშშ-ის სამხედრო ბანაკების სიახლოვეს ცხოვრობდა. 1960-იან წლებში ამერიკელების ბაზების ირგვლივ აყვავებული პროსტიტუციიდან და მასთან დაკავშირებული ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი სამხრეთ კორეის საერთო შიდა პროდუქტის მთელი მოცულობის მეოთხედს შეადგენდა.

ამ ქვეყანაში ანალოგიურად არსებობდა „გაეროს განსასვენებელი ადგილებიც“. იქ მომუშავე ქალების უმეტესობა გათხოვილი იყო და ამ ხელობით იმიტომ დაკავდა, რომ როგორმე ოჯახი ერჩინა. ერთ-ერთი ქალი, რომელიც ერთ დროს მეძავი იყო და ამერიკელ სამხედროებს ემსახურებოდა, ამბობს: „როდესაც ვფიქრობ საკუთარ და ჩემნაირი ქალების ცხოვრებაზე, ვხვდები, რომ ჩვენ ამ ქვეყნისა და ამერიკის კავშირის ყველაზე დიდი მსხვერპლნი ვიყავით. ვიცი, რომ ჩემი სხეული მე არ მეკუთვნოდა, ის ეკუთვნოდა სამხრეთკორეულ ხელისუფლებას და ამერიკულ არმიას“.

**70-იან წლებში საქმე იქამდე მიდიოდა, რომ სამხრეთ კორეის საშუალო სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი თავის მოსწავლეებს ეუბნებოდა: „მეძავები, რომლებიც სხეულს ყიდიან ამერიკელ ჯარისკაცებზე, ნამდვილი პატრიოტები არიან. დოლარები, რომელთაც ისინი ამ გზით გამოიმუშავებენ, დიდ დახმარებას უწევს ჩვენს ეროვნულ ეკონომიკას“.**

კორეელ მეძავებს, რომლებიც ამერიკელ სამხედროებს ემსახურებოდნენ კორეის ომის დროს, სხვადასხვაგვარად უწოდებდნენ. სამხრეთკორეულ კიჯიკანაში მდებარე „კემპ-ტაუნის“ ტერიტორიაზე მცხოვრებ ქალებს „დასავლეთის პრინცესები“ ერქვათ. ხანდახან მათ „დასავლელ მეძავებს“, „იანკების მეძავებს“ ან „გაეროს ქალბატონებს“ უწოდებდნენ. მათი ოფიციალური სახელწოდება კი იყო „განსასვენებლის ქალები“. იგივე ტერმინი გამოიყენებოდა იაპონიის იმპერიაში სამხედრო მეძავების მოსახსენიებლად.

1990-იანი წლების შუა პერიოდიდან სამხრეთ კორეაში მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა ქვეყნებიდან ამერიკელი ჯარისკაცების მომსახურებისთვის ჩასული მეძავების რაოდენობა. ისინი ახლაც საკმაოდ ბევრნი არიან. 90-იანების შუა პერიოდიდან 2000-იანი წლების დასაწყისამდე სამხრეთ კორეაში უკანონოდ ჩავიდა დაახლოებით 5 000 რუსი და ფილიპინელი ქალი, რომლებიც შემდეგ ძალით აქციეს სექსუალურ მონებად და აიძულეს, ამერიკულ სამხედრო ბანაკებში ემუშავათ. 2010 წელს აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ აღიარა, რომ ქალები, რომლებიც ამერიკის სამხედრო ბანაკების ირგვლივ მდებარე დაწესებულებებში ცხოვრობდნენ, დიდ შეშფოთებას იწვევენ სამხრეთ კორეაში არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით.

50-70-იან წლებში ამერიკის არმია ჩართული იყო კორეაში სექსუალური მონების კანონსაწინააღმდეგო მიგრაციაში. მოკავშირეების ჯარების მიერ ამ ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ სამხედრო მეძავების რაოდენობამ იქ მილიონს მიაღწია. ამ ფონზე ძალზე საინტერესოა, რომ ნიუ იორკის შტატის კუნძულ ლონგ-აილენდზე არის პარკი და მემორიალი, რომელიც სამხრეთ კორეის კომუნიზმისგან „დამხსნელ“ ამერიკელ ჯარისკაცებს ეძღვნებათ.

ამგვარი „დახსნის“ შედეგი კარგად ჩანს გასული წლის სამხრეთკორეული სტატისტიკის მაგალითზე. ამ ქვეყანაში, პროსტიტუციის აკრძალვის მიუხედავად, ინტიმური მომსახურებების სფეროს შემოსავალი იმდენად მაღალია, რომ ხელისუფლების მონაცემებით საერთო შიდა პროდუქტის 4%-ს შეადგენს. ეს იგივეა, რაც სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის საერთო შემოსავალი.

ახლა სამხრეთ კორეაში მეძავები ყველგან არიან: კაფეში, მაღაზიაში, სასტუმროსა და საპარიკმახეროშიც კი. სამხრეთკორეული მთავრობის სქესობრივი თანასწორობის სამინისტრომ დაითვალა, რომ ამჟამად ქვეყანაში ნახევარი მილიონი მეძავია. ამასთან, კორეელი ფემინისტების ასოციაცია მიიჩნევს, რომ სინამდვილეში ამ ქალების რაოდენობა მილიონს აჭარბებს. ამ გათვლებით გამოდის, რომ კორეაში ყოველი 25 ქალიდან ერთი მეძავია. სხვა მონაცემების თანახმად, 15-დან 29-წლამდე ასაკის ყოველი მეხუთე ქალი გარკვეული დროით მაინც იყო დაკავებული უძველესი პროფესიით.

მიუხედავად პროსტიტუციისთვის დაწესებული მკაცრი სასჯელისა, ინტიმური მომსახურებების ინდუსტრია ამ ქვეყანაში ისეა განვითარებული, რომ პერიოდულად მეძავები დემონსტრაციებსაც კი ატარებენ და აღნიშნული სფეროს კანონმდებლობის შერბილებას მოითხოვენ. გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ამ ქალთაგან ზოგიერთი თავსაც კი იწვავს დასახული მიზნის მისაღწევად.

გარდა ახალგაზრდებისა, კორეაში პროსტიტუცია მოზარდებსა და ბავშვებს შორისაც ყვავის...

**Mashregh**




# ევროპაში სეპარატიზმის აჩრდილი დაძრწის

**კატალონიაში 9 ნოემბერს ჩატარებული გამოკითხვის მონაწილეთა 80%-ზე მეტმა ამ კულტურულ-ისტორიული ოლქის ესპანეთისგან გამოყოფას დაუჭირა მხარი. კატალონიელთა უმეტესობისთვის 9 ნოემბერი ისტორიულ თარიღად იქცა. შემდგარ გამოკითხვას ბევრი რეფერენდუმთან აიგივებს. მასში მონაწილეობა მიიღო 2,25 მილიონზე მეტმა ადამიანმა და ავტონომიაში ხმის უფლების მქონეთა ნახევარზე მეტმა. ციფრები შთამბეჭდავია: ბიულეტენების გადათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გამოკითხვის მონაწილეთა თითქმის 81%-ს სურს, რომ კატალონია დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდეს.**

**კატალონიელთა** ამგვარი განწყობის მთავარი მიზეზი ისაა, რომ მათი სამშობლო ესპანეთში ეკონომიურად ყველაზე განვითარებული რეგიონია. იქ ქვეყნის მოსახლეობის 16% ცხოვრობს, მაგრამ საერთო შიდა პროდუქტის 23%-ს სწორედ კატალონია აწარმოებს და კატალონიელებიც ლოგიკურად ასკვნიან, რომ მშვენივრად იცხოვრებდნენ, თუ მათ მიერ გამომუშავებული ფული ესპანეთის სხვა პროვინციების შესანახად არ დაიხარჯებოდა.

კატალონიის მთავრობის მეთაური არტურ მასი პლებისციტის პირველი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ აღნიშნავდა, რომ კატალონიას სურს, დამოუკიდებლად მართოს საკუთარი თავი. მან მადრიდს მოუწოდა, ჩაატაროს შემაჯამებელი ოფიციალური რეფერენდუმი კატალონიის სუვერენიტეტის შესახებ, როგორც ეს შოტლანდიაში, უფრო ადრე კი კვებეკში გაკეთდა.

9 ნოემბერი თანამედროვე ესპანეთის განვითარებაში ზღვარია. სიტუაციაზე კონტროლი რომ არ დაკარგოს, ცენტრალურ ხელისუფლებას მოუწევს, არა მხოლოდ გაითვალისწინოს კატალონიელი ლიდერების პოზიცია მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით, არამედ მათთან შეთანხმებასაც მიაღწიოს.

ესპანეთში უკვე რეგიონებს მართავენ ისინი, ვინც მადრიდისგან მეტი დამოუკიდებლობისკენ მიისწრაფვის. ცენტრისგან გამოცალკევების მომხრეები ძლიერნი არიან არა მხოლოდ მადრიდში, არამედ ბასკების ქვეყანაში, გალისიაშიც, ანდალუზიაშიც, ვალენსიაშიც და კანარის კუნძულებზეც კი.

**ბასკების ქვეყნის** დამოუკიდებლობის საკითხის წამომჭრელი ეტას რადიკალები ესპანეთში რამდენიმე წლის წინათ გააქტიურდნენ. მათი რეგიონიც ეკონომიკურად წარმატებულია და ისინიც უკმაყოფილონი არიან, რომ მათ სამშობლოში წარმოებული პროდუქტი ცენტრის მიერ სხვა რეგიონებზეც ნაწილდება. 1960 წელს შექმნილი დაჯგუფება ეტა დაარსების დღიდან შეიარაღებულ ბრძოლას აწარმოებს ბასკების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად. სეპარატისტების აზრით, ის უნდა შედგებოდეს სამი პროვინციისგან, რომლებიც ესპანურ ბასკების ქვეყანას ქმნიან და ასევე — ეთნიკური ბასკებით დასახლებული ესპანური პროვინცია ნავარასა და სამხრეთ საფრანგეთის დეპარტამენტებისგან.

**ანდალუზიური** ნაციონალიზმი ფრანკოს მმართველობის შემდეგ გაჩნდა, როდესაც ესპანელი დიქტატორის გარდაცვალების შემდეგ მიღებულმა კონსტიტუციამ ყველა რეგიონს საშუალება მისცა, მიეღო თვითმმართველობა, მაგრამ ანდალუზიელებს ეს ვერ აკმაყოფილებს, მათ სურთ, კანონმდებლობით გაიმყარონ ნაციის სტატუსი.

**გალისია** მიისწრაფვის დიდი ავტონომიისკენ, „გალისიონისტების“ რადიკალური ნაწილი კი საერთოდაც დამოუკიდებლობას ითხოვს. ეგრეთ წოდებული ვალენსიონიზმი გახლეჩილია ორ ნაწილად ვალენსიელთა ნაციონალურ იდენტურობასთან დაკავშირებული შეხედულებების გამო. ერთი ნაწილი თავს კატალონიელად მიიჩნევს და მხარს უჭერს კატალონიის დამოუკიდებლობას, მეორე კი კატალონიელებს მეხუთე კოლონად მიიჩნევს და ვალენსიის ავტონომიის განვითარებისკენ მიისწრაფვის.

კიდევ ერთი სეპარატისტული მოძრაობაა **კანარის კუნძულებზე.** ევროპელთა უმთავრესი საკურორტო ზონა ავტონომიას 1933-დან ითხოვს, დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა კი უფრო ადრე გაჩნდა.

მოსალოდნელია, რომ კატალონიის რეფერენდუმის შედეგები არა მხოლოდ გაამყარებს ესპანეთის ყველა რეგიონულ პოზიციებს, არამედ დამატებით სტიმულს მისცემს შოტლანდიელებს, ფლამანდიელებს, ჩრდილოიტალიელებს, ბავარიელებს — ავტონომისტებსა და სეპარატისტებს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში.

სხვათა შორის, ანალოგიური მოძრაობები იკრებს ძალებს ჩრდილოეთ ამერიკაშიც და არა მხოლოდ კანადაში, სადაც კვებეკის პრობლემა დგას. ობამას ხელახალი არჩევის შემდეგ ამერიკელთა 70%-ზე მეტმა გამოკითხვებში განაცხადა, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფოებრივი მართვის სისტემას არაეფექტურად მიიჩნევს. ამასთან, აშშ-ის დაახლოებით ყოველი მეხუთე მოქალაქე მზადაა, მხარი დაუჭიროს სეპარატისტებს თავის შტატში და დაეხმაროს მათ ამ შტატების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გადაქცევაში...

**fondsk.ru**



# ინდონეზიის პრეზიდენტმა საკუთარი ხარჯებით იმგზავრა

**ინდონეზიის სოციალურ ქსელებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ქვეყნის ახალი პრეზიდენტის — ჯოკო ვიდოდოს საქციელმა, რომელიც საკუთარი ხარჯებით სინგაპურში ეკონომკლასით გადაფრინდა.**

პრეზიდენტის განცხადებით, მან მგზავრობის ხარჯები თავად დაფარა, რადგან მის მგზავრობას პირადი ხასიათი ჰქონდა — ის სინგაპურში ვაჟის საშუალო სკოლის დასრულების ცერემონიას დაესწრო. პრეზიდენტმა არც ვაჟის სკოლელებს უთხრა უარი სელფების გადაღებაზე. პრეზიდენტს თან ახლდა 7 პირადი მცველი, რომელთა ბილეთების საფასური სახელმწიფომ დაფარა. სოციალურ ქსელებში ჯოკო ვიდოდოს ნაბიჯს არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა — ზოგმა მოიწონა პრეზიდენტის ნაბიჯი, ზოგმა კი ის პიარკამპანიად ჩათვალა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ექსპლოატაციის ამგვარი ფორმა ნაკლებ ბოროტებად ითვლება, ვიდრე სექსუალური ექსპლოატაცია. ხშირად ასეთი არგუმენტები მოჰყავთ: განა ცუდია, ადამიანისგან ინდოეთში აიღო ერთჯერადი გადასახადი სხვა ქვეყანაში დასაქმების სანაცვლოდ და შემდეგ მას გაცილებით მეტი ხელფასი ჰქონდეს, ვიდრე საკუთარ სამშობლოში?**

# ამერიკა ადამიანებით ვაჭრობას აფინანსებს

**2012 წლის სექტემბერში პრეზიდენტმა ობამამ ხელი მოაწერა განკარგულებას აბსოლუტური შეუწყნარებლობის შესახებ იმ სახელმწიფო დაქირავებულების მიმართ, რომლებიც ადამიანთა ექსპლოატაციის კანონებს არღვევენ. პრეზიდენტმა კონკრეტულად მიანიშნა იმ საკომისიოებზე, რომელთაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან ჩასული მომუშავეები ხშირად იხდიან ავღანეთსა და ერაყში სამხედრო დაქირავებულებისგან სამუშაოს მისაღებად. ავღანეთის აღდგენის საკითხების სპეციალური გენერალური ინსპექტორი ამჟამად გამოძიებას ატარებს კომპანიებში — Dyncorp, Fluor და მათ ქვედაქირავებულ Ecolog-თან, რადგან აღმოაჩინა, რომ ამ კომპანიების ათასობით თანამშრომელმა ანალოგიური გადასახადი გადაიხადა, რათა ავღანეთში დაეწყო მუშაობა.**



2007 წლიდან მოყოლებული სახმელეთო ჯარებმა Dyncorp-სა და Fluor-ს 16,8 მილიონი დოლარი გადაუხადა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამოქალაქო გაძლიერების პროგრამის ფარგლებში. თავის მხრივ, ამ კომპანიებმა მიმართეს ფირმა Ecolog-ს, რომელიც თანამშრომლებს დუბაიში ქირაობს, მრავალი მათგანი კი სამხრეთ აზიიდან ჩამოდის და საკადრო სააგენტოს საკუთარ ქვეყანაში რამდენიმე ათას დოლარს უხდის.

სამსახურის საშოვნელად ამგვარი გადასახადი ფართოდაა გავრცელებული, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ადამიანთა ექსპლოატაციისა და ადამიანებით ვაჭრობის დაუსჯელი ფორმა. **„ჩვენ ვიცავთ ქალებსა და ბავშვებს, ესენი კი არიან შავკანიანი მამაკაცები, — აცხადებს ინდოეთში მომუშავე იურისკონსული სემ მაკკახონი. — საქმე ისაა, რომ ადამიანებით ვაჭრობისას მათ 80%-ს სამუშაოდ იყენებენ, მხოლოდ 20%-ს — სექსისთვის“.**

გასაკვირი არ არის, რომ ექსპლოატაციის ამგვარი ფორმა ნაკლებ ბოროტებად ითვლება, ვიდრე სექსუალური ექსპლოატაცია. ხშირად ასეთი არგუმენტები მოჰყავთ: განა ცუდია, ადამიანისგან ინდოეთში აიღო ერთჯერადი გადასახადი სხვა ქვეყანაში დასაქმების სანაცვლოდ და შემდეგ მას გაცილებით მეტი ხელფასი ჰქონდეს, ვიდრე საკუთარ სამშობლოში?

მაგრამ დასაქმების სანაცვლოდ ასეთი გადასახადი სინამდვილეში ქმნის შეთანხმებული მონობის სისტემას. როგორც წესი, **ამ სისტემის მსხვერპლნი საკუთარ ქვეყანაში მაღალპროცენტიან კრედიტს იღებენ, რათა ზემოხსენებული გადასახადის გადახდა შეძლონ. ეს კი, შესაძლოა, ხაფანგად იქცეს მათთვის ახალ სამუშაო ადგილზე.** სამუშაოს მაძიებლებს ხშირად ატყუებენ სავარაუდო ხელფასთან ან სამუშაო ადგილთან დაკავშირებით. შედეგად, **იორდანიის სასტუმროებში მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი, შესაძლოა, ამერიკელ სამხედროებთან მძიმე სამუშაოდ იქცეს საბრძოლო მოქმედებების ზონაში,** ტერიტორიის საზღვრებს მიღმა გასვლის უფლების გარეშე.

ობამას საპრეზიდენტო განკარგულება სიტუაციის გამოსწორების პირველი მცდელობა არ არის. **ირანსა და ერაყში დაქირავებული კომპანიების თანამდებობრივ ინსტრუქციაში 2009 წელს ჩაწერეს, რომ სამსახურში მიღების სანაცვლოდ გადასახადის დაწესება აკრძალულია, სამი წლით ადრე კი ამგვარი აკრძალვა ამერიკის კანონმდებლობაში იქნა გათვალისწინებული. სინამდვილეში ანალოგიური ქმედება უკანონოდ ითვლება 1986 წლიდან, მაგრამ არც ერთი ზემოხსენებული კანონი არ მუშაობს.**

„ხელისუფლება აცხადებს, რომ ატარებს აბსოლუტური შეუწყნარებლობის პოლიტიკას და ამ დროს ხშირად ისმის ნდობის ღირსი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მათ, ვინც ადამიანებით ვაჭრობით

**ირანსა და ერაყში დაქირავებული კომპანიების თანამდებობრივ ინსტრუქციაში 2009 წელს ჩაწერეს, რომ სამსახურში მიღების სანაცვლოდ გადასახადის დაწესება აკრძალულია, სამი წლით ადრე კი ამგვარი აკრძალვა ამერიკის კანონმდებლობაში იქნა გათვალისწინებული. სინამდვილეში ანალოგიური ქმედება უკანონოდ ითვლება 1986 წლიდან, მაგრამ არც ერთი ზემოხსენებული კანონი არ მუშაობს**

არიან დაკავებულნი, სახელმწიფო კვლავაც ქირაობს, — ამბობს სამოქალაქო თავისუფლებათა ამერიკული კავშირის ადამიანის უფლებების დაცვის იურიდიული კონსულტანტი სტივენ უოტი. — ეს კი ძალიან შორსაა აბსოლუტური შეუწყნარებლობის პოლიტიკისგან“.

მაკკახონი კიდევ უფრო გულახდილად და მკაცრად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი: „ეს არის ერთადერთი სიტუაცია, რომლის დროსაც ხელისუფლება იყენებს ამერიკელი გადასახადების გადამხდელების ფულს, რათა ადამიანებით ვაჭრობა დააფინანსოს. ჩვენ არა მხოლოდ უმოქმედონი ვართ, არამედ აქტიურად ვიხდით ფულს ამისთვის. ეს ძალიან ჰგავს, თითქოს ამერიკის ხელისუფლება გამოდის გარყვნილი სექსის მოყვარულის როლში და სუტენიორს ეუბნება, რომ მას სჭირდება ლამაზი სხეულები და სულაც არ ადარდებს, როგორ უშოვიან ან გადაუხდიან თუ არა მათ ფულს“.

მაკკახონი ადრე საბრძოლო მოქმედებების ზონაში მომუშავე სახელმწიფო დაქირავებულების ინტერესებს წარმოადგენდა, მაგრამ შვიდი წლის წინათ მან შეიცვალა მოღვაწეობის სფერო. იგი ესწრებოდა ერთ კონფერენციას, სადაც ერაყში კონტრაქტით მომუშავე კომპანიის ვიცე-პრეზიდენტს ჰკითხეს, თუ რას აკეთებდა ადამიანებით ვაჭრობის პრობლემის მოსაგვარებლად. მაკკახონს კარგად ახსოვს იმ ვიცეპრეზიდენტის პასუხი: „ჩვენ არ გვაქვს შეთანხმებითი ურთიერთობები ქვედა, ქირავებულთა თანამშრომლებთან, შესაბამისად, ეს ჩვენი პრობლემა არ არის“.

**„არასდროს არავის გაუხდია სადავოდ ის ფაქტი, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად ხდება. ყველამ იცის, რომ ეს ასეა, მაგრამ არავის სურს, საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა და შეაჩეროს ეს“, — ამბობს მაკკახონი.**

მაგალითად მას მოჰყავს ერთი შემთხვევა, როდესაც კოლეჯის კურსდამთავრებულმა, სახელად რამეშმა, აგენტს ავანსის სახით 5000 დოლარი გადაუხადა. სანაცვლოდ ერაყში, ამერიკის დაქირავებულ კომპანიაში უნდა დასაქმებულიყო და 800-დოლარიანი ხელფასი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ერაყში ჩასვლის შემდეგ მას 150 დოლარი შესთავაზეს ანაზღაურების სახით. რადგან სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა, იგი დათანხმდა. მევალეს არ მოეწონა, რომ რამეში ფულს უფრო ნელა უბრუნებდა, ვიდრე წინასწარი შეთანხმებით იყო გათვალისწინებული, ადგა და მისი და გააუპატიურა. დამ თავი ჩამოიხრჩო, რამეშის დედა კი დარდისა და უბედურებისგან ჭკუიდან შეიშალა. ინდოეთში დაბრუნების შემდეგ რამეშმა და მისი ოჯახის წევრებმა თავი მოიწამლეს.

ადამიანებით ვაჭრობა ნამდვილად ადამიანების უფლებების სფეროს პრობლემაა, მაგრამ მაკკახონი აღნიშნავს, რომ სამსახურში მიღების სანაცვლოდ გადასახადის დაწესება ამავე დროს თაღლითობაცაა. მოქმედი კონტრაქტის თანახმად, Dyncorp-ი და Fluor-ი ფირმა Ecolog-ს იმისთვის უხდიან ფულს, რომ გარკვეული რაოდენობის თანამშრომლები ჩაუყვანოს. დაქირავებული კომპანიები საკუთარ თავზე იღებენ თანამშრომლების ჩაყვანისა და დასახლების ვალდებულებას, რისთვისაც გაწეული ხარჯების ასანაზღაურებელ თანხებს სახელმწიფოსგან იღებენ. „გამოდის, რომ, თუ ქვედაქირავებული ჩაიყვანს 8000 მომუშავეს, ყოველი მათგანი კი სამსახურის საშოვნელად მას 2500 დოლარს გადაუხდის, შავი ფულის საერთო მოცულობა 20 მილიონ დოლარს შეადგენს, — ხსნის მაკკახონი. — ეს არის ყველაზე მსხვილი საკონტრაქტო თაღლითობა აღდგენის ისტორიაში“.

სახმელეთო ჯარები Dyncorp-სა და Fluor-ს ყველა დასაშვები ხარჯისთვის უხდიან და ამ ხარჯების 3-6%-ს მოგების სახით უმატებენ. ამიტომ, რაც მეტ ხარჯს აჩვენებენ დაქირავებული კომპანიები, მით მეტი იქნება მოგებაც.

ამჟამად გამოძიებაში მყოფი დაქირავებული კომპანიები ყველანაირად უარყოფენ, რომ შეკრულები იყვნენ საკადრო სააგენტოებთან, რომლებიც წინასწარ გადასახადს ითხოვდნენ დასაქმებისთვის. Dyncorp-მა უარი განაცხადა ბრალდებების კომენტირებაზე, მაგრამ მის საიტზე განყოფილება „კარიერაში“ გაჩნდა გაფრთხილება: „გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ Dyncorp-ში დასაქმების სანაცვლოდ ნაბისმიერი წინასწარი გადასახადის მოთხოვნა თაღლითობაა“... სუბდაქირავებულების მსხვერპლნი ამ მესიჯს ნამდვილად ვერ ნახავენ, ისინი ვერც კი გაიგებენ, რომელ კომპანიაზე მუშაობენ, ვიდრე ავღანეთში არ ჩავლენ.

დაქირავებულებმა ვერ შეძლეს, აეხსნათ, რატომ არ ქირაობენ თვითონ თანამშრომლებს, იმის მიუხედავად, რომ შუამავლებისა და ქვედაქირავებულების ჯაჭვი აშკარად განაპირობებს ადამიანთა ექსპლოატაციის შესახებ ყველანაირი კანონის დარღვევას.

**Fluor-მა აღიარა სპეციალურ გენერალურ ინსპექტორთან, რომ შიდა გამოძიების შედეგად გამოვლენილი იქნა 2400 შემთხვევაზე მეტი, როდესაც ადამიანებმა ავღანეთში ჩასვლამდე წინასწარ გადაიხადეს თანხა სამსახურში მიღების სანაცვლოდ.** კომპანიამ აღნიშნა, რომ ის არ არის სამართალდამცავი უწყება; შეუძლია, გაარკვიოს, — პირდაპირ Fluor-ს უხდიდნენ ფულს თუ მის ქვედაქირავებულს მხოლოდ მისი იურისდიქციის ფარგლებში, ანუ ავღანეთში თუ მისი სუბდაქირავებული ქირაობს რომელიმე საკადრო სააგენ- ▶

მსოფლიო



## მადაგასკარზე ჭირის ეპიდემია გავრცელდა

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, მადაგასკარზე ჭირის ეპიდემია გავრცელდა.** არსებული მონაცემებით, აგვისტოდან მადაგასკარზე ეპიდემიის შედეგად 40 ადამიანი დაhიღუპა, 80 კი დაინფიცირდა. „არსებობს ეპიდემიის სწრაფი გავრცელების რისკი“, — ნათქვამია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის განცხადებაში. ჭირი ბაქტერიული დაავადებაა, რომელიც თავდაპირველად მღრღნელებზე ვრცელდება. ცხოველიდან ცხოველზე კი ეპიდემია რწყილის საშუალებით გადადის. შავი ჭირით ადამიანი რწყილის კბენის შედეგად ინფიცირდება, განკურნება შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლივარული რეჟიმის დამხობა ვაშინგტონისთვის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანად რჩება და შესაფერისი მომენტის დადგომამდე აშშ-ის სპეცსამსახურები ათასგვარ არხს იყენებენ ქვეყანაში სასროლი იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და საბრძოლო მასალების შესაზიდად.**

◀ ტოს, რომელიც სამუშაოზე მოწყობის სანაცვლოდ ფულს იღებს ადამიანებისგან ინდოეთში ან დუბაიში. Fluor-ი ამაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს. „მათ იგრძნეს, რომ თავდაცვის დამატებით საშუალებას იღებენ საგადასახადო და სამართლებრივი პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, თუ ქვედაქირავებულები ეყოლებათ“, — ამბობს მაკკახენი.

Ecolog-ი, თავის მხრივ, ირწმუნება, რომ სამსახურში მოწყობისთვის არანაირ გადასახადს არ აწესებს და არ იღებს. „თუ დაგიჭერენ, ჯარიმები უზომოდ დიდია. წარმოგიდგენიათ რამდენიმე მილიონი დოლარის დაკარგვა მხოლოდ იმის გამო, რომ ვიღაც პატარა გადასახადს აწესებს? ეს ლოგიკურად არაგონივრულია“, — განაცხადა კომპანიის პრეზიდენტმა სტივენ სეიჯხორნმა. მან აღიარა, რომ დასაქმების მაძიებლები, შესაძლოა, უხდიდნენ ფულს აგენტებს დუბაიში გაგზავნისა და მის კომპანიაში დასაქმების სანაცვლოდ, მაგრამ ამ აგენტებთან რაიმე თანამშრომლობას კატეგორიულად უარყოფს.

სამოქალაქო თავისუფლებათა ამერიკული კავშირის 2011 წლის ანგარიშის თანახმად, სულ სხვა სურათი იხატება. ანგარიშში არის ონლაინ-რეკლამის ასლი, რომელიც ინდოეთის ვაკანსიების საიტზე გამოქვეყნდა. მასში იტყობინებიან, რომ ფირმა Ecolog-ს ავღანეთში აქვს სამუშაო ადგილები. რეკლამის თანახმად, კანდიდატებს გზავნიან დუბაიში შერჩევისა და შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისათვის მას შემდეგ, რაც ისინი მომსახურების საკომისიოს გადაიხდიან 2000 დოლარის ოდენობით.

ზემოხსენებული ქმედებების გამო აქამდე არც ერთი კომპანია არ დასჯილა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაქირავებულების მხრიდან ადამიანებით ვაჭრობის ამკრძალავი კანონების დარღვევების მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაშიც კი, ხელისუფლება არ ადგენს რეციდივისტი კომპანიების სიას და მათ კვლავაც უზრუნველყოფს ხელსაყრელი სახელმწიფო კონტრაქტებით.

1999 წელს Dyncorp-ის რამდენიმე თანამშრომელი ბოსნიაში სექსმონებით ვაჭრობაში დაადანაშაულეს. საიტმა Wikileaks-მა გამოაქვეყნა მამხილებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 10 წლის შემდეგ ამ კომპანიამ ავღანელი პოლიციელებისთვის გამართა წვეულება, რომელზეც უხვად იყო ნარკოტიკები და მოცეკვავე ბიჭები სექსუალური მომსახურებისთვის. მიუხედავად ამისა, Dyncorp-ი დღესაც ყველაზე დიდ დაფინანსებას იღებს სახელმწიფო დეპარტამენტისგან ავღანეთში აღდგენითი სამუშაოებისთვის და მის წილს შეადგენს 2002 წლიდან გაცემული მთელი საკონტრაქტო ფულის 69%.

**The New Republic**

# იარაღი და რეზიდენტები ვენესუელის ფერადი რევოლუციისთვის

**ლათინოამერიკულ მედიაში საგანგაშო რეგულარობით ჩნდება ცნობები სამართალდამცავი ორგანოების მიერ made in USA იარაღის პარტიების ამოღების თაობაზე. ასევე, მნიშვნელოვნად გახშირდა ანალოგიური შემთხვევები ბოლივიაში, ეკვადორში, ნიკარაგუაში, არგენტინაში — ქვეყნებში, რომელთაც ობამას ადმინისტრაცია არამეგობრულთა კატეგორიას განაკუთვნებს. ყველაზე ხშირად ინფორმაცია იარაღის საიდუმლო საწყობების აღმოჩენის თაობაზე ვენესუელიდან მოდის.**



**ბოლივარული რეჟიმის დამხობა ვაშინგტონისთვის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანად რჩება და შესაფერისი მომენტის დადგომამდე აშშ-ის სპეცსამსახურები ათასგვარ არხს იყენებენ ქვეყანაში სასროლი იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და საბრძოლო მასალების შესაზიდად.**

ამ ოპერაციების დაცვას ხშირად აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ნარკოტიკებთან ბრძოლის სამმართველოს მიერ კონტროლირებადი ნარკოკარტელები, ასევე FARC-ისა და ELN-ის პარტიზანების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი კოლუმბიური ნახევრადსამხედრო დაჯგუფებები ახორციელებენ.

კოლუმბიაში მშვიდობის დამყარების შემდეგ paramilitares-ის რაზმები ამერიკელების მიერ გადაგზავნილი იქნა ვენესუელაში. ცსს-ს ხაზით ჩაერთო მსუბუქმოტორიანი თვითმფრინავების ფლოტილია, რომელიც სამხრეთ და ცენტრალური ამერიკიდან შეუფერხებლად ზიდავს ნარკოტიკებს აშშ-ში.

იგივე თვითმფრინავები გამოიყენება იარაღის მომცრო პარტიებისა და საბრძოლო მასალების გადასაზიდად ვენესუელის შორეულ რეგიონებში, განსაკუთრებით აპურეს, ამასონას და ბოლივარის შტატებში, სადაც საიდუმლო საცავები იქმნება. ვენესუელაში მოქმედებს საჰაერო სივრცის დაცვის შესახებ კანონი და ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების მფრინავები დამრღვევ თვითმფრინავებზე ნადირობენ. ამერიკული წარმოების ბოლო ამგვარი თვითმფრინავი „King 200“ თვის დასაწყისში ჩამოაგდეს აპურეს შტატში, რომელიც კოლუმბიას ესაზღვრება — იქ აშშ-ის სამხედრო ბაზებზე თავმოყრილია თვითმფრინავების გარკვეული რაოდენობა, რომელთაც ცსს იყენებს სპეცოპერაციებისთვის.

მთელი იარაღი საცავებში როდი ინახება. ბოლივარული ნაციონალური გვარდიის კაპიტანი ხოსე გილიენი 17 მარტს მოკლეს ქალაქ მარაკაიში. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ პროფესიონალმა სნაიპერმა იმუშავა. სავარაუდოდ, გაისროლეს „M24E1“-დან, რომელსაც 1300 მეტრის სიშორიდან შეუძლია ეფექტური გასროლა. სწორედ კაპიტანი გილიენი ხელმძღვანელობდა იმ ექსტრემისტების განდევნას, რომლებიც ატერორებდნენ ქალაქს, სცემდა ჩავესისა და მადუროს მომხრეებს, აგებდა ბარიკადებს, წვავდა ადმინისტრაციულ შენობებს, სავაჭრო ცენტრებსა და სასწავლო დაწესებულებებს.

მკვლელობების ცხელ კვალზე ჩატარდა გამოძიება, დადგინდა რადიკალური ოპოზიციის რიგებში შემავალი ზოგიერთი ბოევიკის სახელი. ნაციონალური გვარდიის თანამშრომელთა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენელთა წინააღმდეგ ტერორისტული აქტების სერია იმაზე მიანიშნებდა, რომ პროვოკაცია საგულდაგულოდ იყო მომზადებული. მისი ორგანიზატორების განკარგულებაში იყო კონსპირატიული ბინები და თანამედროვე არსენალი.

**ნაციონალური დაზვერვის ბოლივარული სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს რამდენიმე ადამიანი, მათგან რამდენიმეს საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას აღმოჩნდათ ცეცხლსასროლი იარაღი, ოპტიკური სამიზნეები, სამხედრო უნიფორმა, აპარატურა პოლიციის სამსახურებრივი საუბრების მოსასმენად. გამოძიებისას აღმოჩენილ იქნა კარლოს იანესის დანაშაულის დამამტკიცებელი სამხილებიც.** ეს ადამიანი პროფესიით მსახიობია, ის მრავალჯერ დაემუქრა ხელისუფლებას. გაჩხრეკვის დროს მის ბინაში აღმოაჩინეს ტელესკოპური სამიზნიანი თოფი და საბრძოლო მასალები. იანესის კონტაქტებს შორის გამომძიებლებმა გამოააშკარავეს და დააპატიმრეს ლუის რაულ რამირესი, რომელიც

**ცსს-ს რეზიდენტურა ვენესუელაში ცდილობს, როგორმე გამოიწვიოს უკმაყოფილების აფეთქება «ფერადი რევოლუციების» სცენარით, რომლის შემდეგაც სისხლი უნდა დაიღვაროს. რაც მეტი სისხლი დაიღვრება, მით უფრო დამაჯერებელი იქნება გაკვეთილი «ლათინოამერიკელი «პოპულისტებისთვის»**

იატაკქვეშა არსენალს ინახავდა და შეთქმულებს ამარაგებდა ცეცხლსასროლი იარაღით. კაპიტან გილიენის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება...

ვენესუელაში არსებული არალეგალური არსენალების შესახებ ბოლო ცნობა სულ ახლახან გავრცელდა: ვიღაც ედუარდო ხოსე ჰერეიროს სამალავში, მარაკაეში აღმოაჩინეს 68 თოფი (უმეტესობა ოპტიკური სამიზნით), დაახლოებით 15 ათასი ვაზნა, 200 კილოგრამი დენთი. როგორც ჩანს, იატაკქვეშეთში ბევრი ასეთი ჰერეიროა.

**ცსს-ს რეზიდენტურა ვენესუელაში ცდილობს, როგორმე გამოიწვიოს უკმაყოფილების აფეთქება „ფერადი რევოლუციების“ სცენარით, რომლის შემდეგაც სისხლი უნდა დაიღვაროს. რაც მეტი სისხლი დაიღვრება, მით უფრო დამაჯერებელი იქნება გაკვეთილი „ლათინოამერიკელი „პოპულისტებისთვის“.**

მედიის განკარგულებაში აღმოჩნდა ფაქტები, რომლებიც შეთქმულთა ჩანაფიქრს ამხელს. კოლუმბიის მიგრაციის სამსახურმა ვენესუელის მართლმსაჯულებას გადასცა ლორენტ გომეს სალეხი — არასამთავრობო ორგანიზაცია „ოპერაცია თავისუფლების“ ხელმძღვანელი. სალეხის დანაშაულებათა მტკიცებულებები, რომლებიც ვენესუელელებმა წარმოადგინეს, იმდენად უდავო იყო, რომ სალეხს ვერ უშველა თვით აშშ-ის საელჩოს უპრეცენდენტო ზეწოლამ პრეზიდენტ ხუან მანუელ სანტოსზე.

სალეხმა კოლუმბიაში გაიარა პარამილიტარესის სამხედრო მომზადება, ვენესუელაში ბოევიკების ჯგუფებში გასაწევრიანებლად ახალგაზრდების გადაბირებით იყო დაკავებული. იგი თავის ხალხს შეიარაღებული ბრძოლისთვის ამზადებდა, ნდობით აღჭურვილ ადამიანებთან საუბრისას კი არ მალავდა, რომ სამუშაოები მიმდინარეობდა ცსს-სა და მაიამიში დამკვიდრებული ვენესუელელი ოლიგარქების ფულით. იგი ბოევიკებს არწმუნებდა: „რეჟიმისთვის ძლიერი დარტყმის მისაყენებლად ყველაფერი გვაქვს, დიპლომატიური მფარველობაც კი“.

ახლახან ტელევიზიით გამოსვლისას ნაციონალური ასამბლეის თავმჯდომარემ დიოსდადო კაბელიომ კვლავაც განაცხადა, რომ კოლუმბიის ტერიტორიიდან კვლავაც ცდილობენ ვენესუელის ხელისუფლების დამხობას. მისი თქმით, აშშ-ის საელჩო სპეციალურად შერჩეულ ახალგაზრდებს აშშ-ში სპეცკურსებზე გზავნის არა მხოლოდ ტვინის გამოსარეცხად, არამეს რეჟიმის წინააღმდეგ აქტივისტების მოსამზადებლადაც.

პარალელურად აშშ-ის სპეცსამსახურები იღვწიან მტრული ბანაკიდან პერსპექტიული ახალგაზრდების ჩამოშორებისთვის. ლორენტ გომეს სალეხი თავის თანამებრძოლებს უყვებოდა ბილიბარული რეჟიმის საშუალო რანგის პოლიტიკოსების „საჩვენებელი მკვლელობების“ თაობაზე, რომელიც რეჟიმის დამხობის ერთ-ერთ მეთოდად მიაჩნდა.

ოქტომბერში საკუთარ სახლში თავდასხმის მსხვერპლი გახდა მმართველი ერთიანი სოციალისტური პარტიის 27 წლის დეპუტატი რობერტ სერა, რომელსაც დიდი მომავალი ჯერ კიდევ უგო ჩავესმა უწინასწარმეტყველა. რობერტთან ერთად მოკლეს მისი მეგობარი გოგონა მარია ერერაც. ვენესუელის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ტერორისტული აქტი კოლუმბიაში დაიგეგმა და დაქირავებულების ბანდის მიერ სამი თვის განმავლობაში მზადდებოდა.

რობერტ სერას მკვლელობაში პრეზიდენტმა მადურომ კოლუმბიური paramilitares-ი და ვენესუელელი ულტრამემარჯვენეები დაადანაშაულა. მისი განცხადებით, დანაშაული ჩაფიქრებული იყო, როგორც ნოემბერ-დეკემბერში ქვეყნის დესტაბილიზაციის ფართომასშტაბიანი გეგმის ნაწილი...

**fondsk.ru**

მოკლედ



## მექსიკელები გაუჩინარებულ 43 სტუდენტს ეძებენ

**მექსიკის დედაქალაქში შეკრებილი ათასობით დემონსტრანტი პოლიციამ ცრემლსადენი გაზის გამოყენებით დაშალა.** მეხიკოს ცენტრში შეკრებილი მომიტინგეები 26 სექტემბერს გატაცებული სტუდენტების მოძებნასა და დამნაშავეების დასჯას მოითხოვდნენ. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზი მას შემდეგ გამოიყენეს, რაც მომიტინგეებსა და პოლიციელებს შორის შეტაკება მოხდა. 26 სექტემბერს მექსიკის ქალაქ იგუალაში ერთ-ერთი დემონსტრაციის შემდეგ 43 სტუდენტი გაუჩინარდა. თვითმხილველთა განცხადებით, ისინი პოლიციის მანქანებით წაიყვანეს.



ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სულ მსოფლიოში დამზადებულია სხვადასხვა მოდიფიკაციის 100 მილიონი ერთეული „AK-47“. ამ ავტომატურ იარაღს აწარმოებს რუსეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, ეგვიპტე, სერბეთი და ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების უმეტესობა. როგორც გაზეთი INDEPENDENT-ი აღნიშნავდა, პლანეტის 70 მცხოვრებზე კალაშნიკოვის 1 ავტომატი მოდის. ამ ავტომატის ვერსიები ისრაელმა და ფინეთმაც კი შექმნეს, რომლებიც არასოდეს ყოფილან სსრკ-ის მოკავშირეები ან სატელიტები. ამ იარაღის ყველაზე თანამედროვე ვერსიაა მსუბუქვაზნიანი (5,45 მმ) „AK-47“, რომელიც რუსეთის არმიის შეიარაღებაშია.**

# 5 ყველაზე მომაკვდინებელი იარაღი

**მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველა ოხრავს და ვიშვიშებს ატომური იარაღის, წყალქვეშა ნავებისა და უპილოტო თვითმფრინავების გამო, თანამედროვე ომი, ჩვეულებრივ, ქვეითი ჯარის მოქმედებაა ხმელეთზე. ქვეით ჯარს კი ცეცხლსასროლი იარაღი სჭირდება.**

ბოლო 100 წლის განმავლობაში თანამედროვე ომის ხასიათში განსაცვიფრებელი ცვლილებები მოხდა — ქვეყნებს შორის მწვავე დაპირისპირების შედეგად შეიქმნა შეიარაღების გაცილებით მომაკვდინებელი სისტემები. თვითმფრინავებმა, რაკეტებმა, ტანკებმა, წყალქვეშა ნავებმა, რომლებიც 1914 წელს პრაქტიკულად არ არსებობდა, სწრაფად დაიკავა საკვანძო პოზიციები მსოფლიოს ქვეყნების არმიებში.

თუმცა არის ერთი გამოგონება, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ 500 წლის წინათ გაჩნდა, აქამდე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლის ველზე. ლაპარაკია ქვეითი ჯარის იარაღისა და მხარდაჭერის საცეცხლე საშუალებებზე. როგორი მაღალტექნოლოგიურიც უნდა იყოს არმიების შეიარაღება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საომარი მოქმედებები ქვეითი ჯარის ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობის გარეშე არ მიმდინარეობს. ისტორიკოსი თეოდორ რიდ ფერენბახი კორეის ომზე თავის ცნობილ ნაშრომში This Kind of War („ასეთი ომი“) წერდა: „შეიძლება მუდმივად იფრინო დედამიწის თავზე, შეიძლება დაბომბო, დაანგრიო, ფერფლად აქციო და გაანადგურო ყველაფერი ცოცხალი, მაგრამ, თუ მისი დაცვა და ცივილიზაციისთვის შენარჩუნება გსურს, ეს ხმელეთზე უნდა გააკეთო — ჯარისკაცები ტალახში უნდა ჩააგდო, როგორც ამას რომის ლეგიონები აკეთებდნენ. ამის გათვალისწინებით, თქვენს ყურადღებას მივაპყრობ ცეცხლსასროლი იარაღის ყველაზე მომაკვდინებელ 5 სახეობას.

## «AK-47»

ომის მეფე უდავოდ არის კალაშნიკოვის ავტომატი „AK-47“. ცეცხლსასროლი იარაღის ამ განსაკუთრებით საიმედო სახეობას ბრძოლის ველზე ფართოდ იყენებენ ე. წ. მესამე სამყაროს ქვეყნები. „AK-47“ ხატად და ცნობილ სიმბოლოდ იქცა ამერიკაშიც, სადაც მას რეპმუსიკასაც კი უძღვნიან, და ზიმბაბვეშიც. ამჟამად კალაშნიკოვის ავტომატებით შეიარაღებული არიან „ისლამური სახელმწიფოს“ „ბოევიკები“, ისლამისტი თალიბები, ლიბიაში მოქმედი დაჯგუფებები და უკრაინის კონფლიქტში ჩართული ორივე მხარე.

„AK-47“ აწ გარდაცვლილი მიხეილ კალაშნიკოვის შექმნილია. წითელ არმიაში გაწვეულმა კალაშნიკოვმა ომში მიღებული ჭრილობების მოშუშებისას ცეცხლსასროლი იარაღის გამომგონებლისა და კონსტრუქტორის ნიჭი გამოავლინა. მან თავისი ავტომატის საცდელი ნიმუში 1947 წელს ააწყო (არსებობს არაპირდაპირი მტკიცებულებები იმისა, რომ „AK-47“ ნაწილობრივ შექმნილია გერმანელი კონსტრუქტორის — ჰუგო შმაისერის მიერ, რომელმაც ანალოგიური ავტომატური იარაღის — „Stg44“-ის — კონსტრუირება 1942 წელს მოახერხა).

„AK-47“ სტანდარტული სახეობის პირველი ავტომატური იარაღია, რომლითაც არმია შეაიარაღეს. მასში გამოყენებულია 7,62 მმ კალიბრის ახალი ვაზნები, რომლებსაც უფრო მცირე უკუცემა აქვს და უფრო მსუბუქია ქვეითი ჯარის ტრადიციული შაშხანებისთვის განკუთვნილ ვაზნებთან შედარებით.

ვაზნა 7,62X39 მმ უფრო შექუჩებულად ხვდება მიზანს ჯერის მიშვების შემდეგ, ქვეითს კი შეუძლია, ეს ვაზნები მისი სიმსუბუქის გამო საკმაო რაოდენობით წაიღოს ბრძოლის ველზე.

**„AK-47“ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა იმიტომ, რომ მარტივი კონსტრუქციისაა. ამ იარაღიდან სროლის სწავლა ძალიან მალე შეიძლება და მოსახლეობისთვის „AR-47“-ების დარიგების შედეგად ჩნდება დიდი არმიის ან ლაშქრის შექმნის შესაძლებლობა. მისი გამოყენება რთული არ არის და მინიმალურ მოვლას მოითხოვს. ამ ავტომატური იარაღის დაშლა რამდენიმე წამის საქმეა, მუშაობა, პრაქტიკულად, საცხის გარეშეც შეუძლია.**


AK-47

**ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჯარიკაცები თუ „ბოევიკები“ ხშირად გაუნათლებელი ან ცუდად მომზადებული არიან.**

სულ მსოფლიოში დამზადებულია სხვადასხვა მოდიფიკაციის 100 მილიონი ერთეული „AK-47“. ამ ავტომატურ იარაღს აწარმოებს რუსეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა, ეგვიპტე, სერბეთი და ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების უმეტესობა. როგორც გაზეთი Independent-ი აღნიშნავდა, პლანეტის 70 მცხოვრებზე კალაშნიკოვის 1 ავტომატი მოდის. ამ ავტომატის თავიანთი ვერსიები ისრაელმა და ფინეთმაც კი შექმნეს, რომლებიც არასოდეს ყოფილან სსრკ-ის მოკავშირეები ან სატელიტები. ამ იარაღის ყველაზე თანამედროვე ვერსიაა მსუბუქვაზნიანი (5,45 მმ) „AK-47“, რომელიც რუსეთის არმიის შეიარაღებაშია.

## «M16»-ის ოჯახის შაშხანები

თანამედროვე შაშხანა „M16“ შეიქმნა 1956 წელს, როდესაც გამომგონებელი იუჯინ სტოუნერი ფორტ ბენინგის ქვეითთა სკოლაში „M16“-ის წინამორბედს — „AR-15“-ს ცდიდა. ეს შაშხანა აშშ-ის არმიის შეიარაღებაში 4 წლის შემდეგ მოხვდა, თანაც მხოლოდ სამხედრო-საჰაერო ძალების. სახმელეთო ჯარებმა ეს შაშხანა 1965 წელს მიიღეს, საზღვაო ქვეითებმა — 1966 წელს.

„AR-15“-ის თავდაპირველი ვარიანტი საიმედო ნოვატორული იარაღი იყო, მაგრამ, რადგან ბოლო მომენტში შაშხანისთვის საჭირო დენთის შემადგენლობა შეიცვალა და ამ იარაღის გაწმენდაზე არასწორი წარმოდგენა შეიქმნა, მან ვიეტნამში ვერ გაამართლა.

პრობლემა გაღრმავდა იმითაც, რომ „M16“-ში ვაზნის გასასროლად დენთის წვის შედეგად წარმოქმნილი აირების ენერგია იყო გამოყენებული. „M16A4“-ის ბოლო ვერსია 3,99 კგ-ს იწონის და აქვს 30-ვაზნიანი მჭიდი. ეფექტიანი სროლის სიშორე 550 მ-ს შეადგენს, ხანგრძლივი ბრძოლის რეჟიმში შეუძლია, წუთში 12-15 გასროლა განახორციელოს. 5,56 მმ კალიბრის ტყვია SS109/M855, რომლის მახასიათებლებში უფრო მეტი მნიშვნელობა ჯავშნის დაზიანებას ენიჭებოდა, ნელ-ნელა მცირდება ნატოს არმიების შეირაღებაში, მის ადგილს კი „M855A1“ იკავებს.

**1967 წელს გამოჩნდა „M16“ თავდაპირველი ნიმუშის მოდერნიზებული ვერსია — შაშხანა „M16A1“, 1986 წელს — „M16A2“. შაშხანა „M16A3“-ს მცირე პარტიებად აწარმოებენ „ზღვის ლომებისთვის“, M16A4 კი საზღვაო ქვეითების არსენალშია. „M4A1“, რომლითაც დღეს აშშ-ის სახმელეთო ჯარების ქვეითები არიან შეიარაღებულნი, „M16“-ის მსგავსია, ოღონდ ის მოკლე ლულითა და მოკლე ტელესკოპური კონდახით არის აღჭურვილი.**

„M16“ დროთა განმავლობაში საიმედო იარაღად იქცა. მას აქვს მოდულური კონსტრუქცია და ამის გამო შეიძლება სხვადასხვა მოდიფიკაციით ვიხილოთ — კარაბინიდან დაწყებული, ქვეითთათვის განკუთვნილ ავტომატურ იარაღამდე. ის არსებობს როგორც ავტომატური, ასევე სნაიპერის იარაღის სახითაც. ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა ამ იარაღის სამოქალაქო ვერსიაც — „AR15“, და ეს მოხდა ავტომატური იარაღის შენახვაზე ფედერალური აკრძალვის გაუქმების შემდეგ. ამ სტატიის ავტორს ორი ასეთი იარაღი აქვს.

## ტყვიამფრქვევი «M240»

ტყვიამფრქვევი „M240“ საშუალო კალიბრის ავტომატური იარაღია, რომლითაც აღჭურვილია აშშ საზღვაო-ქვეითი და სახმელეთო ჯარები. ამ იარაღით, აგრეთვე, შეიარაღებულია მსოფლიოს 68 ქვეყანა.

„M240“ — ეს არის ამერიკული ვერსია ტყვიამფრქვევ „FN-MAG“-ისა, რომელიც 1950-იან წლებში ბელგიურმა ფირმა Fabrigue Nationale-მ შექმნა. MAG-ში, ასე უწოდებდნენ მას იმხანად, გამოყენებული იყო როგორც მოკავშირეების, ისე ფაშისტური გერმანიისა და მისი მხარდამჭერი ქვეყნების არმიების ქვეითთა ჯარების შეიარაღებაში. მოგვიანებით ტყვიამფრქვევმა პოპულარობა მოიხვეჭა და ნატოს ქვეყნების შეიარაღებაშიც დაიმკვიდრა ადგილი. MAG-მა, თავისი შექმნის დღიდან, ბევრ ადგილას მოასწრო გასროლა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ფოლკლენდამდე და ავღანეთიდან ერაყამდე.

„M240“-ის გამოყენება შეიძლება მოწინააღმდეგის სამხედრო მოსამსახურეებისა და სატრანსპორტო საშუალებებისთვის ცეცხლის გასახსნელადაც და მოწინააღმდეგის ცეცხლის ჩასახშობადაც. 7,62 კალიბრის მძიმე ტყვიების სროლისას ტყვიამფრქვევის მოქმედების სიშორე 1800 მეტრია.

**„M240“ იწონის 12,25 კგ-ს, აქვს სათადარიგო ლულა, სამფეხა და სხვა ნაწილები, რომელთა საერთო წონა 21,3 კგ-ს აღწევს. ტყვიამფრქვევის მოქმედების რეჟიმი, რომელიც ხანგრძლივი დროით სროლისას დეტალების გადაუხურებლად მუშაობას ითვალისწინებს, წუთში 100 გასროლაა. საერთოდ კი სროლის სიჩქარე წუთში 650 გასროლაა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადახურება გარდაუვალია.**

რადგან „M240“ ბევრი ქვეყნის შეიარაღებაშია, მისი გამოყენების მეთოდებიც სხვადასხვანაირია. აშშ-ის არმიაში მას ჯავშნიან მანქანებზე ამონტაჟებენ და ქვეითთა თითოეულ ოცეულს 2 ერთეულს აძლევენ. საზღვაო ქვეითების კორპუსში კი ასეულს 6 ტყვიამფრქვევი აქვს.

## ტყვიამფრქვევი ПК

კალაშნიკოვის მსუბუქმა ტყვიამფრქვევმა ПК-მ საბჭოთა არმიაში ქვედანაყოფის დონეზე მაღალი საცეცხლე სიმძლავრის უზრუნველყოფის ამოცანა გადაწყვიტა „AK-47“-ის მსგავსად, ПК-საც ფართოდ იყენებენ მსოფლიოში. სადაც არის AK, იქვეა ПК-ც.

**ПК კალაშნიკოვის პირმშოა. ის ჰგავს „M240“-ს, მაგრამ სინამდვილეში ПК იმავე კლასის იარა-**


M16


M240



# ტალიავინი: კრიზისი უკრაინაში საფრთხეს უქმნის ევროპასაც

**„უკრაინის აღმოსავლეთში ვითარების მშვიდობიანად მოგვარებას ალტერნატივა არ აქვს,“ — განაცხადა ეუთოს საბჭოს სხდომაზე ამ ორგანიზაციის სპეცწარმომადგენელმა ჰაიდი ტალიავინიმ. ეს იყო ტალიავინის პასუხი უკრაინის მთავრობის წევრების, კერძოდ, პრეზიდენტ პეტრე პოროშენკოს განცხადებაზე, რომ კიევი მზად არის დონბასში საომარი მოქმედებების გასაახლებლად.**

ტალიავინიმ აღნიშნა, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის მიმდინარეობისას 4000 ადამიანზე მეტი დაიღუპა, ათასობით დაიჭრა და ეს არ არის უკრაინის ევროპული გზა. „კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივა ბუნდოვანია. კრიზისი ჯერ კიდევ სახიფათო სტადიაშია არა მხოლოდ რეგიონისთვის, არამედ ევროპისთვისაც“, — განაცხადა ტალიავინიმ.



„მართლმადიდებლობა წინააღმდეგია ნებისმიერი ხალხის მიმართ აგრესიის გამოვლენისა, მაგრამ ის, რა თქმა უნდა, უდავოდ მომხრეა ძალისა და იარაღის გამოყენებისა იმ შემთხვევაში, როდესაც შენს ხალხს თავს ესხმიან; განსაკუთრებით — როდესაც საფრთხე ემუქრება შენი ხალხის ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ეკლესია ლოცავს იარაღს, ეკლესია აკურთხებს იარაღის გამოყენებას კეთილი მიზნებისთვის, ანუ სარწმუნოების, მამულისა და სიცოცხლის დასაცავად“.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კალაშნიკოვმა მონანიების წერილი 2012 წელს დაწერა

**ავტომატ „AK-47“-ის შემქმნელმა მიხეილ კალაშნიკოვმა გარდაცვალებამდე წელიწად-ნახევრით ადრე სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს მისწერა წერილი, რომელშიც ინანიებს, რომ შექმნა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ცეცხლსასროლი იარაღი.**



სკანირებული დოკუმენტი გაზეთმა „იზვესტიამ“ გამოაქვეყნა. ჟურნალისტებმა განაცხადეს, რომ რედაქციას წერილი კონსტრუქტორთან დაახლოებულმა პირმა გადასცა, მაგრამ მისი ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავეს.

წერილი ხელით არ არის დაწერილი — მიხეილ კალაშნიკოვის ხელმოწერა კომპიუტერზე დაბეჭდილ დოკუმენტს ამშვენებს.

„იზვესტიის“ ჟურნალისტმა დენის ტელმანოვმა მოგვითხრო, რომ წერილი, შესაძლოა, კონსტრუქტორის დაწერილი არ არის, ის შეიძლება, მისი სიტყვებით დაწერეს სასულიერო პირებმა, რომლებიც ხანდაზმულ კონსტრუქტორს შინ ეწვივნენ.

წერილში **კალაშნიკოვი თავს მართლმადიდებელ ქრისტიანს უწოდებს, ავტომატ „AK-47“-ს — საოცარ იარაღს, ხოლო ცივი ომის პერიოდის ამერიკელებს — საბჭოთა ხალხის მეგობრებს.**

კალაშნიკოვმა სიცოცხლეში რამდენჯერმე საჯაროდ გამოთქვა სინანული, რომ სახელი იარაღის შექმნის წყალობით გაითქვა. წერილის ბოლოს დასმულია თარიღი: „7 აპრილი, ხარება“. წელი მითითებული არ არის. პირველ გვერდზე ხელით მიწერილია თარიღი „09.06 (ან 05). 2012“, აგრეთვე, ციფრები თუ ასოები, რომლებიც გაურკვევლად არის დაწერილი.

## „სულიერი ტკივილი“

**„ჩემი სულიერი ტკივილი აუტანელია, მაწუხებს ერთი და იგივე კითხვა: თუკი ჩემი ავტომატი ადამიანებს სიცოცხლეს მოუსწრაფებდა, მაშინ მე, მიხეილ კალაშნიკოვი, 93 წლისა, გლეხი ქალის შვილი, ქრისტიანი მართლმადიდებელი, დამნაშავე ვარ ადამიანების სიკვდილში, მტრისაც კი?“** — ნათქვამია წერილში.

„მივიღე რაღაც მუდმივი ძრავა, რომლის გამოგონება ძალიან მინდოდა ახალგაზრდობაში. სინათლე და სიბნელე, სიკეთე და ბოროტება ერთი მთლიანის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეა, რომლებსაც ერთმანეთის გარეშე არ შეუძლიათ? ნუთუ მამაზეციერმა ყველაფერი ასე მოაწყო და კაცობრიობა ასეთ თანაფარდობაში უნდა იყოს მუდმივად გაყინული?“ — წერს კონსტრუქტორი.

**კალაშნიკოვი წერს იმის შესახებ, როგორ გახდა მორწმუნე მეგობრების დახმარებით, როგორ შეეწინააღმდეგა მისი სახელობის მუზეუმის აშენებას იჟევსკში და როგორ დაუჭირა მხარი 1930-იან წლებში აფეთქებული წმინდა მიხეილის ტაძრის აღდგენის იდეას.**

**«ჩემი სულიერი ტკივილი აუტანელია, მაწუხებს ერთი და იგივე კითხვა: თუკი ჩემი ავტომატი ადამიანებს სიცოცხლეს მოუსწრაფებდა, მაშინ მე, მიხეილ კალაშნიკოვი, 93 წლისა, გლეხი ქალის შვილი, ქრისტიანი მართლმადიდებელი, დამნაშავე ვარ ადამიანების სიკვდილში, მტრისაც კი?»**



წერილის ბოლო ნაწილში კალაშნიკოვი მიმართავს პატრიარქს, უსურვებს ჯანმრთელობას და აღნიშნავს, რომ „იმ წლებში, როდესაც მართლმადიდებელ ეკლესიაზე უსამართლო თავდასხმები ხორციელდება ადამიანების რწმენის შესარყევად და მათ ზნეობრივად გასახრწნელად, ეკლესიის მეთაურს ძალიან უჭირს.

## მონანიება კი არა, შეკითხვა

სინოდთან არსებული ეკლესიისა და საზოგადოების ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარე ვსეოლოდ ჩაპლინმა „ბი-ბი-სისთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ კალაშნიკოვის წერილს არ განიხილავს, როგორც მონანიებას, და რომ ეკლესიამ თავისი დამოკიდებულება იარაღისადმი დიდი ხნის წინათ ჩამოაყალიბა.

**„მართლმადიდებლობა წინააღმდეგია ნებისმიერი ხალხის მიმართ აგრესიის გამოვლენისა, მაგრამ ის, რა თქმა უნდა, უდავოდ მომხრეა ძალისა და იარაღის გამოყენებისა იმ შემთხვევაში, როდესაც შენს ხალხს თავს ესხმიან; განსაკუთრებით — როდესაც საფრთხე ემუქრება შენი ხალხის ჭეშმარიტ სარწმუნოებას. ეკლესია ლოცავს იარაღს, ეკლესია აკურთხებს იარაღის გამოყენებას კეთილი მიზნებისთვის, ანუ სარწმუნოების, მამულისა და სიცოცხლის დასაცავად“,** — განაცხადა ვსეოლოდ ჩაპლინმა, რომელმაც დასძინა, რომ კალაშნიკოვისთვის ეკლესიური ცხოვრება უცხო არ იყო, მას ურთიერთობა ჰქონდა სასულიერო პირებთან და მხარს უჭერდა ტაძრების აღდგენას.

## სახელგანთქმული კონსტრუქტორი

მიხეილ კალაშნიკოვი 94 წლისა იჟევსკში გარდაიცვალა 2013 წლის 23 დეკემბერს.

თვეზე მეტ ხანს რეანიმაციაში იმყოფებოდა დიაგნოზით: „სისხლდენა კუჭში“, მანამდე კი მოსკოვში მკურნალობდა.

კალაშნიკოვის ყველაზე ცნობილი ავტომატური იარაღით — „AK-47“-ით საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები 1949 წელს აღიჭურვა.

მიახლოებული გამოთვლებით, მსოფლიოში „AK-47“-ის ოჯახის 100 მლნ ერთეული ავტომატი და ტყვიამფრქვევია, ამასთანავე, ბევრი ქვეყანა ამ იარაღს ულიცენზიოდ ამზადებს.

კალაშნიკოვის ავტომატურ იარაღს 100-ზე მეტი ქვეყნის ძალოვანი უწყება იყენებს.

**BBC RUSSIAN.COM**
**(დიდი ბრიტანეთი)**



ტყვიამფრქვევი ПК

**ღია, როგორიც არის ამერიკელ ქვეითთა ავტომატური შაშხანა „M27“ ან ხელის ტყვიამფრქვევი „MINIMI/M-249“.**

ПК მნიშვნელოვან როლს თამაშობს, როგორც ქვედანაყოფის ავტომატური იარაღი.

ПК-ს აქვს მძიმე ლულა და ჩარჩო, რომლებსაც შეუძლია, ხანგრძლივი სროლისას უკუცემასა და გადახურებას გაუძლოს. სამფეხზე დაყენებისას ის ზუსტად ისვრის 800 მეტრის მანძილზე.

**AK-სა და ПК-ს ბევრი რამ აქვს საერთო, რაც აიოლებს ჯარისკაცების მომზადებას და მათ უზრუნველყოფას იარაღით. კალაშნიკოვის ტყვიამფრქვევს ისეთივე სამიზნე აქვს, როგორიც „AK-47“-ს, რაც აიოლებს სროლის სწავლას. აქვს ერთნაირი საბრძოლო მასალებიც. თუ მეტყვიამფრქვევეს გაუთავდება ვაზნები, მას დაეხმარებიან მეავტომატეები, თუმცა მოუწევთ, ვაზნების ლენტში ჩასმა.**

ПК-ს, თუკი მას სამფეხზე დააყენებენ, შეუძლია, ცეცხლი გაუხსნას საჰაერო სამიზნესაც, თუმცა ამ იარაღს მხოლოდ დაბლა მფრინავი ვერტმფრენებისა და უპილოტო თვითმფრინავების ჩამოგდება შეუძლია.

## მსუბუქი ავტომატური შაშხანა «QBZ-95»

„QBZ-95“-ით, ანუ 95 ტიპის ავტომატური შაშხანით ჩინეთის არმიაა შეიარაღებული. „QBZ-95“, რომელიც „AK-47“-ის ჩინური ასლის შესაცვლელად შეიქმნა, ყველა სხვა ჩინური შაშხანისგან განსხვავებულია. ამ იარაღით არის აღჭურვილი ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ყველა ქვედანაყოფი, აგრეთვე, ჩინეთის პოლიცია.

„QBZ-95“ შექმნილია „ბულპაპის“ მიხედვით, რომელშიც ჩახმახი გატანილია მჭიდისა და დამრტყმელი მექანიზმის წინ. ეს საშუალებას იძლევა, შაშხანა მოკლე იყოს. შედეგად „QBZ-95“-ის ლულა 9 სანტიმეტრით გრძელია ავტომატ „M4“-თან შედარებით, მაგრამ „QBZ-95“ საერთო სიგრძით ნაკლებია. შაშხანას აქვს სახელური, რომლითაც მისი გადატანა შეიძლება, თუმცა, სახელურზე სამიზნისა და სხვა ოპტიკური საშუალების დამაგრების შემთხვევაში, ამ იარაღის გამოყენება პრობლემურია.

„QBZ-95“-ის ბაზაზე ქვეითებისთვის შექმნილია სხვადასხვა იარაღი. საბრძოლო მანქანების ეკიპაჟისა და სპეცრაზმელებისთვის არსებობს მოკლელულიანი ვერსია. ქვედანაყოფს ცეცხლის გასაძლიერებლად აქვს უფრო გრძელი და მძიმელულიანი შაშხანა, თუმცა ამ იარაღით სროლისას მხოლოდ 30-ვაზნიანი მჭიდის გამოყენება შეიძლება.

„QBZ-95“-ისთვის ჩინეთში ამზადებენ 5,8 მმ კალიბრის ვაზნას, რომელსაც მხოლოდ ამ ქვეყნის არმია იყენებს. ეს შაშხანა მსოფლიოში ფართოდ არ არის გავრცელებული, თუმცა ამ სიაში ადგილი ჩინეთის არმიის რიცხოვნობისა და სტატუსის გამო დაიმსახურა.

**კაილ მიზოკამი***
**The National Interest (აშშ)**

***კაილ მიზოკამი ცხოვრობს სან ფრანცისკოში და წერს The Diplomat-ისთვის, Foreign Policy-სთვის War is Boring-ისა და The Daily Beast-ისთვის. 2009 წელს ის გახდა თანადამფუძნებელი თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების ბლოგისა — Japan Security Watch.**




მოკლედ

## «ისლამური სახელმწიფოს» ქსელმა აზერბაიჯანშიც შეაღწია

**აზერბაიჯანულმა გაზეთმა „ენი მუსავატმი“ გამოაქვეყნა რელიგიური გაერთიანებების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე მუბარიზ გურნბალნის ინტერვიუ; ის ამბობს, რომ „აზერბაიჯანში რადიკალურ რელიგიურ დაჯგუფებებს აქვთ თავიანთი ბიზნესქსელები — მაღაზიები და დიდი სავაჭრო ცენტრები. სწორედ ამ ბიზნესიდან შემოსული შემოსავლებით ფინანსდებიან ამ დაჯგუფებების წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი მიემგზავრება სირიაში და „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში ერთიანდება.**

გურნბალნის განცხადებით, „სახელმწიფოს შესაბამის ორგანოებს განზრახული აქვთ, გაანადგურონ ამ დაჯგუფებების ფინანსური წყაროები.

გაზეთი წერს, რომ ზემოაღნიშნული ბიზნესქსელის სავაჭრო ბრუნვა წელიწადში 5 მლნ დოლარს აღემატება, ფული კი, ძირითადად, იხარჯება პროპაგანდაში, წიგნების გამოცემასა და დაჯგუფების წევრების ხელფასებში. გამოცემის აზრით, ამ დაჯგუფებებს აზერბაიჯანის ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მფარველობს.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში რადიკალური დაჯგუფებების წევრთა რაოდენობა 40 ათასს აღწევს.



ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი „ენგურჰესის“ წყალსაცავში დაგროვილი ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების თანამედროვე მეთოდებით ამოღებაში, რაც საშუალებას მისცემს „ენგურჰესს“, იმუშაოს სრული დატვირთვით. ამასთანავე, წყლის ავარიული გაშვების ან სტიქიური უბედურების დროს გაზარდოს წყლის დიდი ნაკადის გატარება, მდინარის კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხისა და არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით. პროექტი გაწერილია მრავალწლიანი სამუშაო გრაფიკით, არის უნიკალური, მრავალმხრივი და კომპლექსური.**

# ღია წერილი საქართველოს პრემიერმინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს!

**ბატონო პრემიერმინისტრო,**

სამეგრელოსა და განსაკუთრებით — მდინარე ენგურის კალაპოტის მიმდებარე რეგიონის მოსახლეობა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სახელისუფლებო ორგანოები კარგად ვიცნობთ **ქართული კომპანია „ჰერბის“ ქართველი მეცნიერ-სპეციალისტების მიერ უცხოელ სპეციალისტებთან კონსულტაციით შემუშავებულ პროექტს —„მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან“. ეს პროექტი და თანდართული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და აფხაზეთთან ინტეგრაციის თანდართული პროგრამები არის მრავალმხრივი, მასშტაბური, ქვეყნის განვითარებისა და ერთიანობისთვის მნიშვნელოვანი.**

პროექტი იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში, გარდა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და აფხაზეთთან ინტეგრაციისა, გათვალიწინებულია დიდი ტერიტორიების კეთილმოწყობა და ეს იმ დროს, როდესაც საჭირო არ არის სპეციალური საშუალებების გამონახვა ხელოვნური ლანდშაფტის მშენებლობისთვის. მისი განხორციელების შედეგად რესურსების მოპოვება არათუ დაარღვევს ლანდშაფტს, არამედ კეთილმოაწყობს მას, ბუნებრივ იერს უფრო მიმზიდველს გახდის და ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას მისცემს „ენგურჰესის“ თაღოვანი კაშხლის წყალსაცავ ფარებს.

მდინარე ენგურის გარკვეული ნაწილი წარმოადგენს ადმინისტრაციულ საზღვარს აფხაზეთის მხარესთან, ამიტომ პროექტის განხორციელება რეალურია აფხაზეთის მხარესთან მჭიდრო ინტეგრაციის პროცესში. წარმოდგენილი **პროექტის და თანდართული რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის რეალიზაცია არის ხანგრძლივი პროცესი და მოიცავს მდინარე ენგურის ორივე ნაპირის ნაპირდაცვით სამუშაოებს, რომლის შედეგადაც მდინარის გაუწყლიანებელი კალაპოტი გადაიქცევა სანაოსნო არხად, ხოლო გაზაფხულზე მდინარის ადიდების შედეგად წამოსული ნიაღვრისგან დაცული იქნება მიმდებარე ტერიტორიები და მოსახლეობა.** პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვართან დამაკავშირებელი არსებული დროებითი ავარიული ხიდები შეიცვლება თანამედროვე, კაპიტალური, კიდული ხიდებით. მოეწყობა სხვადასხვა სახეობის სარეწაო დანიშნულების თევზსაშენი მეურნეობები, სამრეწველო, სასოფლო დანიშნულების საწარმოები და სხვ.

***პროექტი მოწონებულია და მხარდაჭერილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროგაერთიანების მიერ; განხორციელება იგეგმება მათი მხარდაჭერითა და მონაწილეობით.**

*კონფლიქტის ეტაპობრივი მოგვარების პროცესთან ერთად გაფართოვდება პროექტით გათვალისწინებული პროგრამის არეალი მდინარე ენგურის მარჯვენა სანაპიროზე — აფხაზეთის ტერიტორიაზე.

***რეგიონში სანაოსნო არხის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება მოიტანს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც დადებითად აისახება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე.**

*წარმოდგენილ პროექტში და მისი განვითარების პროგრამაში გათვალისწინებულია აფხაზეთის რეგიონიდან მოწვეული მეცნიერ-სპეციალისტების, დამხმარე მუშების მონაწილეობა, რაც გააუმჯობესებს ქართულ-აფხაზურ ინტეგრაციულ პროცესს. აფხაზეთის მხრიდან მოწვეულ მეცნიერ-სპეციალისტებს პროექტის ფარგლებში საშუალება მიეცემათ, მიიღონ აქტიური მონაწილეობა პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებასა და რეალიზაციაში, წარმოადგინონ ინიციატივა ქართულ მხარესთან ერთობლივი დასაქმებისა და საქმიანი ურთიერთობებისთვის, გამოვიდნენ თანადამფუძნებლად ქართულ-აფხაზური ერთობლივი შერეული ოფისის შექმნაში, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ეკონომიკური პროექტების შემუშავება, კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიებების მოწყობა, ერთობლივი ექსკურსიების ჩატარება, უფრო მჭიდრო და თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, ტრადიციების აღდგენა. შერეულმა ოფისმა, აფხაზურ მხარესთან ერთად, აფხაზეთში მცხოვრებ ხალხებთან უნდა გასწიოს პროპაგანდა, თუ რამდენად საშიში და ეკოლოგიური კატასტროფის მომტანია აფხაზეთის მდინარეებიდან (ბზიფი, კოდორი, გუმისთა, ღალიძგა და სხვ.) ინერტული მასალების მოპოვება.

***აღნიშნული პროგრამა კომერციული თვალსაზრისითაც არის მომგებიანი, საშუალებას მისცემს ქართველ და აფხაზ ხალხს, ერთობლივად გადაჭრან მრავალი სოციალური და ეკონომიკური პრობლემა, ხელი შეუწყონ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას.**

კომპანია „ჰერბის“ მიერ წარმოდგენილი **პროექტი „მდინარე ენგურის კალაპოტისა და წყალსაცავის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან“ მოიცავს მდინარე ენგურის შავ ზღვასთან შერთების ადგილიდან „ენგურჰესის“ კაშხლამდე 62 კმ-ს და წყალსაცავიდან ზევით 35 კმ-ს, მდინარის კალაპოტს და მიმდებარე თავისუფალ ტერიტორიებს**. პროექტი, აგრეთვე, მოიცავს მდინარე ენგურზე არსებული დროებითი და ამორტიზებული ხიდების შეცვლას თანამედროვეთი, კალაპოტის ჩასმას რკინა-ბეტონის ჯებირებში. პროექტით ასევე გათვალისწინებულია მდინარე ენგურის კალაპოტის მიმდებარე თავისუფალ და გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურისა და მრეწველობის ეკოლოგიურად სუფთა დარგების განვითარება.



**პროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი „ენგურჰესის“ წყალსაცავში დაგროვილი ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების თანამედროვე მეთოდებით ამოღებაში, რომელიც საშუალებას მისცემს „ენგურჰესს“, იმუშაოს სრული დატვირთვით. ამასთანავე, წყლის ავარიული გაშვების ან სტიქიური უბედურების დროს გაზარდოს წყლის დიდი ნაკადის გატარება, მდინარის კალაპოტის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები ხალხისა და არსებული მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით. პროექტი გაწერილია მრავალწლიანი სამუშაო გრაფიკით, არის უნიკალური, მრავალმხრივი და კომპლექსური.**

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება მოითხოვს დიდი ოდენობით ცოცხალი ძალის გამოყენებას, რომლის პოტენციალიც რეგიონში საკმაოა. სამუშაოების ხანგრძლივი დროით წარმართვა მოითხოვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი პირობების მოწყობას, რომელიც ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის ფართო ქსელის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. პროექტის რენტაბელობიდან გამომდინარე, ანაკლიიდან დაწყებული, მდინარე ენგურის მთელი კალაპოტის გასწვრივ შეიქმნება სხვადასხვა დანიშნულების საწარმოები, რაც განაპირობებს ხალხის დასაქმებას ინფრასტრუქტურის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, სპორტისა და მომსახურების სფეროში. ათასობით მუშამოსამსახურის დასაქმების პირობებში აუცილებელი გახდება საბინაო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების მცირე და დიდი ობიექტების მშენებლობა, საკომუნიკაციო სისტემების მოწყობა და სხვ.

პროექტის ფარგლებში, ეტაპობრივად განხორციელდება ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების ამოღება, ადგილზე მოხდება ამოღებული ინერტული მასალებიდან ძვირფასი ნივთიერებების (ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, ტყვია, თუთია, დარიშხანი, ბისმუტი, ინდიუმი) პირველადი გამოყოფა და ამ ნივთიერებების შემცველი მასის შემდგომი გადამუშავებისთვის განვითარებულ ქვეყნებში გაგზავნა. ნატანი მასალა (ქვა, ქვიშა) ძირითადად მოხმარდება საქართველოს ტერიტორიაზე შავი ზღვის ნაპირების, პლაჟების კვებას, ზღვასა და მდინარეებზე ნაპირდამცავი ნაგებობების მშენებლობას, საზღვაო-სამდინარო ინფრასტრუქტურის განვითარებას და ქვეყნისთვის აქტუალურ მიზნებს. ამოღებული ლამი გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობაში, როგორც ეკოლოგიურად სუფთა მინერალური სასუქი.

კომპანია „ჰერბის“ პროექტით, ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების მოპოვება-გადამუშაება და ტრანსპორტირება განხორციელდება კომპანიის მეცნიერ-სპეციალისტების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით, რომლის ანალოგიც რეგიონში არ არსებობს. ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც მდინარის კალაპოტის გაწმენდა ინერტული მასალებისა და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტებისგან ხორციელდება სპეციალური დანადგარებით აღჭურვილი საათში 5600 კუბ.მ წარმადობის „სუპერდრაგით“.

პროექტის ფინანსური წარმატების არსი მდგომარეობს ინერტული მასალების და მასში შემავალი ქიმიური კომპონენტების კომპლექსურად გამოყოფაში, რომელიც პროდუქციის თვითღირებულებას შეამცირებს და პროექტს გახდის მომგებიანს.

წარმოდგენილი პროექტის განხორციელება მცირე საინვესტიციო დანახარჯებით — 34,5 მლნ ევრო, მოიტანს დიდ მოგებას — 110 მილიარდ ევროს, ანუ სამუშაოების კომპლექსურად წარმოება პროექტის ავტორებს საშუალებას მისცემს, წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შედეგად მიღებულმა შემოსავალმა დაფაროს მის წარმოებაზე გაწეული ხარჯები (60 მილიარდი ევრო) და მიიღოს მოგება რეინვესტირების განსახორციელებლად.

ქიმიური კომპონენტების მოპოვებისა და ნაწილობრივ რეალიზაციის შედეგად, იგეგმება გამამდიდრებელი კომპლექსის მშენებლობა რეინვესტირების თანხით, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას, ადგილზე აწარმოოს სტრატეგიული მაღალხარისხიანი ნედლეული და დაასაქმოს ათასობით ადამიანი.

პროექტის ავტორებს რეინვესტირება განზრახული აქვთ მუშაობის დაწყებიდან მე-2 წელს, როცა „ენგურჰესის“ წყალსაცავის გაწმენდითი სამუშაოებისთვის შეძენილი იქნება და ადგილზე დამონტაჟდება უცხოელ პარტნიორებთან ერთად შემუშავებული, წყალსაცავის სპეციფიკიდან გამომდინარე (ანალოგიური წყალსაცავების გაწმენდის პრეცენდენტი მსოფლიოში ჯერ არ არსებობს), სპეციალური დანადგარ-მოწყობილობებით აღჭურვილი მცურავი პლატფორმა, აგრეთვე, ტრანსპორტირებისა და გადამუშავებისთვის საჭირო ტექნიკა.

**წარმოდგენილი პროექტის ფისკალური ეფექტი საშუალო წლიური საბიუჯეტო შენატანებით შეადგენს 2 მილიარდ ევროს, ეს კი საგრძნობლად გააუმჯობესებს, როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, შექმნის ათასობით სამუშაო ადგილს.**

ავტორები ამტკიცებენ, რომ ჰყავთ ინვესტორი, რომელიც სპეციალიზებულია მსგავსი სამუშაოების ჩატარებაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

**ვინაიდან მდინარე ენგურის კალაპოტის გარკვეული მონაკვეთი წარმოადგენს კონფლიქტურ რეგიონს, პროექტს აქვს გაეროსა და ევროკავშირის წერილობითი მხარდაჭერა, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, თანადაფინანსების გამოყოფაზე. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ბატონ დავით უსუფაშვილის მხარდაჭერით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის, ბატონ პაატა ზაქარეიშვილის წერილობითი მიმართვა აფხაზური მხარისადმი.**

პროექტს გამოეხმაურნენ სახელმწიფო უწყებებიდან, კერძოდ, არის შეფასებები სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის, აგრეთვე, ეკონომიკური საბჭოებისგან. არსებობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროების, „ენგურჰესის“ დირექციის, დამოუკიდებელი ექსპერტების დადებითი დასკვნები, შეთანხმებები საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტების თავმჯდომარეებთან და ფრაქცია „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობასთან.

პროექტი განხილულია, შეთანხმებულია და მოწონებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის რწმუნებულთან, ბატონ ლევან შონიასთან, ზუგდიდის რაიონის გამგებელთან, ბატონ ედიშერ თოლორაიასთან, რეგიონის მოსახლეობასთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

**ბატონო ირაკლი! პროექტის აქტუალურობიდან გამომდინარე, გთხოვთ, დროულად უზრუნველყოთ პროექტის რეაბილიტაციისთვის საჭირო სამთავრობო დადგენილება.**

უღრმესი პატივისცემით,

**ანზორ ლომაია,**
სამეგრელოს რეგიონული საზოგადოებრივი უხუცესთა კავშირ „სხუნუს“ გამგეობის თავმჯდომარე;

**ჯონი ზარანდია, მიხეილ ხუბუტია, კლიმენტი კიკილაშვილი, ალეკო თოდუა, ვახტანგ ბულია, გივი ქირია,**
გამგეობის წევრები;

**ალვერ იზორია,**
საზოგადოება „მამულის“ თავმჯდომარე;

**ჯემალ შერვაშიძე, ჯამბულ ანჩიბაძე, ბოჩია ემხვარი,**
აფხაზი ხალხის წარმომადგენლები;

**ბაია მარგიანი, ერეკლე საღლიანი,**
ზემო სვანეთის წარმომადგენლები;

**ზურაბ კვარაცხელია,**
სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარე;

**ლაურა ადამია,**
ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დეპარტამენტის სამეგრელოს განყოფილების უფროსი;

**შუკო ჯიქია,**
საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე;

**შოთა თოდუა,**
ზუგდიდისა და აფხაზეთიდან დევნილი სამამულო ომის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე;

**რევაზ მაქაცარია,**
ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი;

**ვაჟა ფიფია,**
ზუგდიდის რაიონის ავტონომთა ასოციაციის თავმჯდომარე

**„უახლოეს მომავალში საქართველოში ჟურნალისტები გაერთიანდებიან საერთაშორისო პროფესიული სოლიდარობის საფუძველზე, ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში შეწყდება ჟურნალისტრების დევნა, შეურაცხყოფა, პატივისა და ღირსების შელახვა, მათი უსაფრთხოების უგულებელყოფა არა მხოლოდ მედიასივრცეში, არამედ სოციალურ ქსელშიც“**

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ჰამლეტ გეგია:

# არ იქნება მედიის ფინანსური დამოუკიდებლობა — არ იქნება დემოკრატიული მედია!

**5 მილიონი დოლარი საქართველოში მედიის განვითარებისთვის — ეს USAID-ის ახალი პროგრამაა და, როგორც ამ ორგანიზაციის დემოკრატიის, მმართველობისა და მედიაგანყოფილების ხელმძღვანელის მოადგილემ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, ძირითადი ყურადღება რეგიონულ მედიაზე გამახვილდება. 5-წლიანი პროგრამა საქართველოში მედიაგარემოზე, მის დემოკრატიულობაზე იქნება ორიენტირებული. ქართული მედიის პრობლემებზე საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე ბატონი ჰამლეტ გეგია გვესაუბრება:**



— მისასალმებელია, რომ UUSAID-მა გაათვითცნობიერა საქართველოში მედიის დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდის აუცილებლობა, რომელიც დაფუძნებულია, უპირველეს ყოვლისა, ფინანსურ დამოუკიდებულებაზე, ჟურნალისტის პროფესიონალიზმსა და დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობ სამართლებრივ ნორმებზე, მოწინავე დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით. ამ საკითხზე თქვენს გაზეთში ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ ინტერვიუში აღვნიშნე, რომ კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს ჟურნალისტის პროფესიონალიზმს, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული უნდა იყოს მის პროფესიულ პასუხისმგებლობასთან (ამასთანავე, მისი პროფესიონალური ზრდა დაკავშირებული უნდა იყოს ფინანსურ დაინტერესებასთან, კარიერასთან, დასაქმებასთან და ა. შ). რაც შეეხება მედიისა და ჟურნალისტების რეალურ დამოუკიდებლობას, ეს, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული უნდა იყოს მედიასაშუალების ფინანსური მდგრადობითა და მომგებიანობით, ყოველ შემთხვევაში, წამგებიანი არ უნდა იყოს, რათა სხვადასხვა პოლიტიკურმა და ფინანსურმა ძალამ მისი მანიპულაცია არ დაიჭყოს. რაც შეეხება მედიასივრცეში რეფორმების გატარებას, სასურველი იქნებოდა, UUSAID-ის წარმომადგენლებს ხელი შეეწყოთ მედიისა და ჟურნალისტების სოლიდარობისთვის, რათა ერთობლივი ძალისხმევით წარედგინათ საქართველოს პარლამენტისთვის მედიისა და ჟურნალისტების თავისუფლების ხარისხის ამაღლების ხელშემწყობი პროექტი.

**— ამ პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია რეგიონულ მედიაზე.**

— მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი კეთდება რეგიონულ მედიაზე, რადგან რეგიონული მედისაშუალებები და ჟურნალისტები განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათი ერთადერთი შველა არის ადგილობრივი მმართველობის დახმარება და მხარდაჭერა. თუ ადგილობრივი მედიის დაფინანსებაზე იქნება საუბარი, ეს კანონით ეკრძალებათ გამგეობებსა და თვითმმართველობებს, თუმცა არსებობს კანონით განსაზღვრული ფორმებიც — რეკლამა და სხვ. რეალურად რეგიონული მედია უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების ნებაზეა დამოკიდებული, ადრეც და დღესაც ვითარება არ შეცვლილა, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა მრავალჯერ დააყენა საკითხი მთავრობის, პარლამენტის წინაშე, რომ **აუცილებელია, შეიქმნას დამოუკიდებელი რეგიონული მედიაფონდები, რომლებიც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მის დამოუკიდებლობას, პროფესიონალიზმს, არამედ მის ნაირფეროვნებასაც. არ იქნება მედიის ფინანსური დამოუკიდებლობა, არ იქნება დემოკრატიული მედია!** მსგავსი პრაქტიკა უცხოეთშიც არის, როცა მედისაშუალებებს შეღავათებს უწესებენ და რედაქტორთა დამოუკიდებელი ფონდებიც კი არსებობს, რა თქმა უნდა, არასამთავრობო. **ამ თვალსაზრისით, სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, რომ 5 მილიონი დოლარი გამოიყო 5 წლის განმავლობაში რეგიონული მედიის დამოუკიდებლობისა და განვითარების მხარდასაჭერად. თუმცა, მეორე მხრივ, გული მწყდება, რომ საქართველოში რეალურად არ არსებობს ის ეროვნული ფონდები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მედიისა და ჟურნალისტების ფინანსურ დამოუკიდებლობას და ჟურნალისტების პროფესიონალიზმის ამაღლებას.** ვფიქრობ, ეს ჩვენი საზოგადოებისა და ხელისუფლების სერიოზული შეცდომაა. თუ ჩვენ დემოკრატიული, ღია საზოგადოების შექმნა გვინდა, მთავრობაც, ეროვნული ბიზნესიც და საზოგადოებაც ერთობლივად უნდა ცდილობდეს, მათ ხელთ არსებული რესურსის გამოყენებით, დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას. მიუხედავად არსებული პრობლემებისა, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი მედია და განსაკუთრებით — რეგიონული მედია, ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება, თუ იქნა მთავრობის პოლიტიკური ნება და საზოგადოების აქტიური მხარდაჭერა.

უცხოეთის მიერ ამ კონკრეტული პროგრამის მხარდაჭერა, ძირითადად, განპირობებულია საზოგადოებებსა და ერებს შორის, სახელმწიფოებს შორის კულტურულ-დემოკრეტიული თანხვედრის გამოცდილების გაზიარებით და, ჩემი აზრით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების უზრუნველსაყოფად, რადგანაც თავისუფალმა საბაზრო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა თვითონ შექმნა მმართველობის ისეთი დემოკრატიული ფორმა, რომელიც ხელს უწყობს არამხოლოდ ეკონომიკის, არამედ ცივილიზაციის მშვიდობიანი გზით განვითარებას. ეს მოთხოვნები დევს გლობალიზაციისა და მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებში.

**— დღემდე რატომ მოაღწია ამ პრობლემამ, რა უშლიდა ხელს აქამდე მის მოგვარებას?**

— არ არის გათვითცნობიერებული, რომ საბაზრო ეკონომიკის გარეშე დემოკრატია ვერ განვითარდება და პირიქით — საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობები თვითონ ქმნის წინა პირობას მედიის დამოუკიდებლობის, ჟურნალისტთა პროფესიონალიზმისა და სახელმწიფო მდგრადობის ჭეშმარიტ სახეს, ზრდის მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას, ანუ ინფორმაციული ბაზრისა და რეკლამის მოცულობას. მეორე მხრივ, მშიერი ადამიანის მართვა, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგი, ძალზე ძნელია და ისტორიაში ამის გამოცდილება არის — „პროლეტარტებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“. ნახევრად მშიერი ადამიანების მართვა და მანიპულირება ადვილია, მდგრადი საშუალო ფენის მართვა — შეუძლებელი. პირიქით, ის თვითონ მართავს და აფინანსებს განვითარებული ქვეყნის ბიუჯეტს, ამიტომაც **ეჭვი მაქვს, რომ საქართველოში შეგნებულად ხორციელდება საზოგადოებისა და მედიის მანიპულირება გაჭირვების, უსახსრობის მდგომარეობის გამოყენებით.** მითქვამს და ვამბობ — საქართველო არის ერთ-ერთი მდიდარი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია, მედიის ფინანსური დამოუკიდებლობისა და ხარისხის ზრდასთან ერთად მოახდინოს ეკონომიკური სასწაული. ამისათვის საჭიროა შესაბამისი რეფორმები და ეკონომიკური ნახტომების წინაპირობების შექმნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ კოლაფსს. **სოციალურ-ეკონომიკურ სტატისტიკაში ნათლად აისახა საზოგადოების პოლარიზაცია, მცირე ნაწილი უზომოდ მდიდრდება უმრავლესობის გაღარიბების ხარჯზე. ამას საზოგადოება არასტაბილურობამდე მიჰყავს და ხელს უშლის ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებას.**

**— მედიაგარემოს გაუმჯობესებისა და ჟურნალისტების მომზადების პროგრამა ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმაც წარადგინა, თუმცა განუხორციელებელი დარჩა...**

— USAID-ი სისტემურად უდგება პრობლემას და, როგორც ჩანს, კარგადაა ინფორმირებული რეგიონებში არსებულ მედიაპრობლემებზე, უპირველეს ყოვლისა, ფინანსური და პროფესიული ხასიათის საკითხებზე და ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად, სთავაზობს სწავლებას, რაც მისასალმებელია ნებისმიერი მედიასაშუალებისთვის. ამასთანავე, მას აქვთ სერიოზული საერთაშორისო გამოცდილება და, რაც მთავარია, ჰყავს პარტნიორები, რომლებიც ადგილზე ხელს უწყობენ პროექტის პროპაგანდასა და რეალიზაციის საკითხებს, რაც, სამწუხაროდ, არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ არ გააჩნდა.

მარტო ერთი პიროვნება, ბილ გეითსიც რომ იყოს, ამის გაკეთებას ვერ შეძლებს, თუ არ იქნა საზოგადოების აქტიურობაც. არ მაქვს სრული ინფორმაცია, მაგრამ ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილის დადანაშაულება ამ საკითხში არ შეიძლება იმის გამო, რომ ამ საქმიანობის მონოპოლია აღებული აქვთ უცხოეთის საქველმოქმედო ორგანიზაციებსა და ფონდებს. **ბატონი ბიძინას ინსტიტუტი „მოქალაქე“ ამ შემთხვევაში „მიჯირყვნილი“ აღმოჩნდა.**

**— რას გვეტყვით საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის შესახებ, მოგეხსენებათ, ეს ორგანიზაცია უწევს ამ პროექტს კოორდინირებას...**

— ქარტია წარმოადგენს გარკვეული მედიასაშუალებების წარმომადგენლობის ნებაყოფლობით გაერთიანებას საერთაშორისო პროექტის ფარგლებში, რომელიც მოქმედებს საკუთარი წესდებითა და ჟურნალისტური სტანდარტებით, მაგრამ, სამწუხაროდ, წარმოადგენს გარკვეულწილად კორპორატიულ ინტერესებს, ანუ იქ გაწევრიანებულ მედიასაშუალებებსა და ჟურნალისტების ურთიერთშეთანხმების ფორმატს და არ წარმოადგენს საქართველოში არსებული მრავალრიცხოვანი მედიასაშუალებების სპექტრს; რა თქმა უნდა, **სასურველი იქნებოდა, საქართველოში შექმნილიყო წარმომადგენლობითი მედიასაბჭო, რომელიც ასახავდა საქართველოში მოქმედი მედიასაშუალებების ნაირფეროვნებას და დაამკვიდრებდა თვითრეგულირების სისტემას პროფესიული ეთიკის საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. შეიქმნებოდა პრესომბუდსმენის ინსტიტუტი და ეყოლებოდა უმრავლესობით არჩეული პრესომბუდსმენი, რომელიც იქნებოდა მიუკერძოებელი და ჭეშმარიტად მედიის თავისუფლების დამცველი — ლობისტი.** ჩვენ ამის თაობაზე 1994-95 წლებში გვქონდა საუბარი. იმ პერიოდში ჟურნალისტების უსაფრთხოების საკითხი სერიოზულ პრობლემა იყო. ჯერ კიდევ იმხანად დავაყენეთ საკითხი საზოგადოებასა და ჟურნალისტების წინაშე ჟურნალისტების უსაფრთხოების სისტემის შექმნაზე, რომელიც გაითვალისწინებდა ჟურნალისტის დაზღვევასაც და დაქსაქსული ჟურნალისტების, მედიასაშუალებების დაცვას სახელისუფლებო, პოლიტიკური თუ ფინანსური ძალებისგან. მიგვაჩნდა, რომ უნდა შექმნილიყო წარმომადგენლობითი მედიასაბჭო, რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიმუშავებდა საერთაშორისო ნორმებზე დაფუძნებულ ჟურნალისტთა პროფესიულ ეთიკას. ეს, რა თქმა უნდა, საშუალებას მოგვცემდა, გამოგვეყენებინა მედიასაშუალებების თვითრეგულირების მექანიზმები და შევთანხმებულიყავით პრესომბუდსმენის ინსტიტუტის ამოქმედების აუცილებლობაზე. სწორედ ეს ინსტიტუტი განახორციელებდა ჟურნალისტთა ინტერესების დაცვას საზოგადოებრივ და საკანონმდებლო დონეზე. **ვინაიდან არ იყო ნება იმჟამინდელი ხელისუფლებისა, რომელიც მოქმედებდა ფორმულით „გათიშე და იბატონე“, ეს საკითხიც შეჩერდა, თუმცა ამ პროექტის საფუძველზე უცხოეთის ორგანიზაციებმა გამოყვეს გრანტები, რომლებიც მიიღეს ხელისუფლების მფარველობის ქვეშ მყოფმა ორგანიზაციებმა, მაგრამ საქმის გაკეთება ვერ შეძლეს და, შესაბამისად, ჟურნალისტებისათვის არანაირი შედეგი მას არ მოჰყოლია.** შემდგომში ჩამოვაყალიბეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „პრესომბუდსმენი“, რომლის დამფუძნებლებიც საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი პროფესიონალი ჟურნალისტები იყვნენ.

დარწმუნებული ვარ, **უახლოეს მომავალში საქართველოში ჟურნალისტები გაერთიანდებიან საერთაშორისო პროფესიული სოლიდარობის საფუძველზე, ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში შეწყდება ჟურნალისტრების დევნა, შეურაცხყოფა, პატივისა და ღირსების შელახვა, მათი უსაფრთხოების უგულებელყოფა არა მხოლოდ მედიასივრცეში, არამედ სოციალურ ქსელშიც.**

ამის რესურსი საქართველოს ნამდვილად აქვს.

ესაუბრა
**დათო ქაქუთია**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**2008 წლის მონაცემებით, 1,5 მილიარდი მოზრდილი ადამიანი ჭარბწონიანი იყო. მსოფლიო მოსახლეობის 65% იმ ქვეყნებში ცხოვრობს, რომლებშიც ჭარბი წონა და სიმსუქნე უფრო მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე წონის ნაკლებობა. ჭარბი წონა და სიმსუქნე სიკვდილის მე-5 ძირითადი მიზეზია.**



# ყველაფერი ჭარბი წონის შესახებ

**ჭარბი წონა და სიმსუქნე დღეს მოსახლეობის ნახევარზე მეტს აწუხებს. მსოფლიოში სიმსუქნემ ეპიდემიის სახე მიიღო. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გათვლებით, 2015 წლისთვის დაახლოებით 2,3 მილიარდი მოზრდილი ადამიანი — ჭარბწონიანი, ხოლო 700 მილიონი მსუქანი იქნება. წელიწადში მინიმუმ 2,6 მილიონი ადამიანი ჭარბი წონის ან სიმსუქნის გამო იღუპება. მსოფლიოში ჭარბი წონითა და სიმსუქნითაა გამოწვეული დიაბეტის შემთხვევათა 44%, გულის იშემიური დაავადების 23% და სხვადასხვა ლოკალიზაციის კიბოს 7-41%. კატასტროფულად მოიმატა სიმსუქნემ ბავშვთა შორისაც — ბავშვების 20-25% მსუქანია ან ჭარბი წონა აქვს.**



მაღალი ტექნოლოგიებისა და უმოძრაობის საუკუნეში ჭარბ წონას ყოველი მერვე ადამიანი უჩივის. დიეტოლოგები მას ჩვენი საუკუნის ეპიდემიასაც კი უწოდებენ. სიმსუქნე ქრონიკული დაავადებაა, რომელსაც მორეციდივე მიმდინარეობა ახასიათებს. ინერტული ცხოვრების წესი, არაჯანსაღი საკვები, კვების არასწორი რეჟიმი, სიმსუქნისადმი გენეტიკური მიდრეკილება — ეს ის ძირითადი ფაქტორებია, რომლებიც სიმსუქნეს უდევს საფუძვლად.

**სიმსუქნეს ბევრი ესთეტიკურ პრობლემად მიიჩნევს. სინამდვილეში სწორი იქნება, ის დაავადებად მივიჩნიოთ. ასე უფრო იოლად მოვახერხებთ მასთან გამკლავებას.**

ჭარბი წონისა და სიმსუქნის განვითარებას საფუძვლად უდევს ქრონიკული დისბალანსი ორგანიზმის მიერ მიღებულ და დახარჯულ ენერგიას შორის. ენერგიის ცვლა და ცხიმის დაგროვების ინტენსივობა ისეთი ფაქტორებით განისაზღვრება, როგორიცაა არაჯანსაღი ცხოვრების წესი, არასწორი კვება, გენეტიკა, ჰორმონები და სხვ.

სიმსუქნე მხოლოდ კოსმეტიკური პრობლემა არ არის. ის ჯანმრთელობის სერიოზული დარღვევის გამოხატულებაა. ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებით, ყოველწლიურად სიკვდილის 300 000 შემთხვევა სწორედ სიმსუქნესთან არის უშუალოდ დაკავშირებული.

**2008 წლის მონაცემებით, 1,5 მილიარდი მოზრდილი ადამიანი ჭარბწონიანი იყო. მსოფლიო მოსახლეობის 65% იმ ქვეყნებში ცხოვრობს, რომლებშიც ჭარბი წონა და სიმსუქნე უფრო მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე წონის ნაკლებობა. ჭარბი წონა და სიმსუქნე სიკვდილის მე-5 ძირითადი მიზეზია.**

2010 წლის მონაცემებით, 5 წლამდე ასაკის დაახლოებით 43 მილიონი ბავშვი ჭარბწონიანია. 5 წლამდე ასაკის დაახლოებით 22 მილიონი ბავშვი მსუქანია. ბავშვობის ასაკში სიმსუქნე ზრდასრულობაში ნაადრევი სიკვდილისა და ინვალიდობის გაზრდილ რისკს უკავშირდება.

2020 წლისთვის, ექსპერტთა პროგნოზით, გოგონების მესამედი და ბიჭების მეხუთედი მსუქანი იქნება. კვლევების თანახმად, მსუქანი მშობლების შვილს ექვსჯერ მეტი რისკი აქვს, იყოს მსუქანი, ვიდრე არამსუქანი მშობლების შვილს. ასევე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ძუძუთი კვებასაც. დადგენილია, რომ ბავშვებს, რომლებიც ძუძუთი არ იკვებებოდნენ, სიმსუქნის მეტი რისკი აქვთ.

დაბადების წონას (საშუალოდ ეს 3500 გრამია ხოლმე) ბავშვი, ჩვეულებრივ, 4-4,5 თვის ასაკში აორმაგებს, ერთი წლის ასაკში კი ასამმაგებს. მომდევნო წლებში წონის წლიური მატება დაახლოებით 2 კგ-ს შეადგენს. 6-7 წლისათვის ერთი წლის ასაკში არსებული წონა ორმაგდება, 11-12 წლის ასაკში კი — ოთხმაგდება. ნორმალური წონის სქემატური გამოთვლისთვის რამდენიმე მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი ფორმულა ასეთია:

**1-6 წლის ბავშვის წონა = ასაკი (წლებში) X 2 + 8**

**7-12 წლის ბავშვის წონა = (ასაკი (წლებში) X 7-5) / 2**

ბავშვობის ასაკში სიმაღლისა და წონის მატება თანაბრად არ ხდება. 2-4 და 8-10 წლის ასაკს ჩამრგვალების პერიოდს უწოდებენ. ამ დროს წონა უფრო ინტენსიურად იმატებს. 5-7 და სქესობრივი მომწიფების ხანას კი აჭიმვის პერიოდს უწოდებენ. ამ დროს სიმაღლის მატება უფრო შესამჩნევია. ეს ყოველივე მხოლოდ საშუალო და სქემატური მაჩვენებლებია. ბუნებრივია, წონის ნორმის თუ სიჭარბის დადგენისას ასაკთან ერთად სქესსა და სიმაღლესაც აქვს მნიშვნელობა. ამიტომ ექიმები ამ მონაცემების შესაფასებლად სპეციალურ ცხრილებს იყენებენ.

ზოგადად, სიმსუქნის შეფასების იდეალური ვარიანტია ორგანიზმში ცხიმების შემცველობის განსაზღვრა, რაც სპეციალური აპარატურის მეშვეობით ხორციელდება: ორგანიზმში ატარებენ სუსტ დენს, იმპულსის გავლადობის მიხედვით კი ცხიმის რაოდენობა განისაზღვრება. ცხიმის რაოდენობის გამოთვლა სხეულის მასის ინდექსის მიხედვითაც ხდება.

**მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მას, ვინც მიირთმევს მცირე ულუფებით და დღეში 4-5-ჯერ, ქოლესტერინის უფრო დაბალი დონე და სისხლში შაქრის უფრო სტაბილური და დაბალი შემცველობა აქვს, ვიდრე მას, ვინც დღეში 2-3-ჯერ დიდ ულუფას იღებს**



**სხეულის მასის ინდექსი (სმი) შემდეგნაირად გამოითვლება: სხეულის წონა (კგ) იყოფა სიმაღლის კვადრატზე ($მ^2$).**

სმი-ის შესაბამისად შედგენილია სიმსუქნის კლასიფიკაცია. *თუ სმი 18,5-ზე ნაკლებია, სხეულის მასა ნორმაზე ნაკლებია; *თუ სმი 18,5-დან 24,9-მდე შუალედშია, სხეულის მასა ნორმალურია; *თუ სმი 25-დან 29,9-მდე შუალედშია, ადამიანი ჭარბწონიანია; *ხოლო თუ სმი ამ ბოლო ზღვარსაც გადასცდა, ეს სიმსუქნეა, რომელსაც, თავის მხრივ, ხარისხებად ყოფენ. **I ხარისხის სიმსუქნისას სმი არის 30-34,9, II ხარისხის სიმსუქნისას – 35-39,9, ხოლო III ხარისხის სიმსუქნისას – 40 და მეტი.**

**სიმსუქნე და ჭარბი წონა სხვადასხვა ცნებებია. ჭარბი წონის შემთხვევაში, ადამიანის წონა აღემატება მაჩვენებელს, რომელიც მის სიმაღლეს შეესაბამება. ხშირად ჭარბი წონა ნორმალური მდგომარეობიდან სიმსუქნისაკენ გარდამავალი ეტაპია.** ზოგჯერ კი ის მძლავრად განვითარებული ძვლოვანი ან კუნთოვანი სისტემის მქონე პირებს აღენიშნებათ.

ზოგადად, თუ რა ფაქტორები განაპირობებს სიმსუქნეს, ვრცელი თემაა და ამ საკითხზე საუბარი მუდამ იწყება ტრივიალური ფრაზით: ადამიანის წონა მიღებული კალორიებისა და დახარჯული ენერგიის ბალანსზეა დამოკიდებული. როცა ადამიანი კვებისას იღებს იმაზე მეტ კალორიას, ვიდრე ხარჯავს, ზედმეტ ენერგიას ორგანიზმი ცხიმად აქცევს და მარაგად ინახავს. აქედან გამომდინარე, სიმსუქნის მთავარი მიზეზი მაინც ჭარბი კალორიების მიღება და ჰიპოდინამიაა.

გარდა ამისა, ცნობილია მრავალი ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობს სიმსუქნეს. ზოგიერთი მათგანი გენეტიკურია. დადგენილია, რომ ადამიანს, რომლის ერთი ან ორივე მშობელი მსუქანია, სიმსუქნის განვითარების რისკი უფრო მეტი აქვს. გენეტიკური ფაქტორები გავლენას ახდენს იმ ჰორმონებზე, რომლებიც ცხიმოვანი ცვლის რეგულაციაში მონაწილეობს. მნიშვნელოვანი ფაქტორია საკვების ჭარბი მიღებაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭარბი კვება წონის მატებას იწვევს. განსაკუთრებით მაშინ, როცა საკვები მდიდარია ცხიმითა და შაქრით, უფრო ზუსტად — მარტივი ნახშირწყლებით. მართალია, ამ უკანასკნელთა როლი ბოლომდე დაზუსტებული არ არის, მაგრამ მათი ზემოქმედების მექანიზმი დაახლოებით ასე შეიძლება აღვწეროთ: ნახშირწყლების მიღებისას იზრდება სისხლში გლუკოზის შემცველობა, რაც პანკრეასის მიერ ინსულინის პროდუქციას ასტიმულირებს, ინსულინი კი, თავის მხრივ, იწვევს ცხიმოვანი ქსოვილის ზრდას და წონის მატებას.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მარტივი ნახშირწყლები (შაქარი, ფრუქტოზა, ტკბილეული, ტკბილი სასმელები, ლუდი, ღვინო) იმით არის საშიში, რომ სისხლში უფრო ადვილად იწოვება, ვიდრე რთული ნახშირწყლები (მარცვლეული, ბოსტნეული, ცოცხალი ხილი და ასე შემდეგ) და, შესაბამისად, ინსულინის უფრო ინტენსიურ გამოყოფას იწვევს, ვიდრე რთული ნახშირწყლები, ინსულინის მაღალი დონე კი წონის მატებას განაპირობებს.

**მსუქანი ადამიანები ხშირად ამბობენ, რომ ცოტას ჭამენ. სინამდვილეში ისინი გულისხმობენ იშვიათად კვებას. დადგენილია, რომ კვების სიხშირესა და წონას შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა.** მრავალი გამოკვლევა ადასტურებს, რომ მსუქნები უფრო იშვიათად ჭამენ, ვიდრე ისინი, ვისაც სხეულის ნორმალური მასა აქვს. **მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მას, ვინც მიირთმევს მცირე ულუფებით და დღეში 4-5-ჯერ, ქოლესტერინის უფრო დაბალი დონე და სისხლში შაქრის უფრო სტაბილური და დაბალი შემცველობა აქვს, ვიდრე მას, ვინც დღეში 2-3-ჯერ დიდ ულუფას იღებს.**

ამ კანონზომიერების ერთ-ერთი ახსნა ისიც არის, რომ ხშირი წილადობრივი კვების დროს სისხლში ინსულინის დონე უფრო სტაბილურია, ხოლო დიდი ოდენობის საკვების იშვიათი მიღება ჭამის შემდეგ ინსულინის შემცველობის მკვეთრ პიკებს იწვევს.

წონის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია მეტაბოლიზმის სისწრაფე. ცნობილია, რომ ქალებს კუნთოვანი მასა უფრო ნაკლებად აქვთ განვითარებული, ვიდრე მამაკაცებს, კუნთოვანი ქსოვილი კი მეტ კალორიას წვავს, ვიდრე სხვა ქსოვილები. ამის გამო ქალებს უფრო ნელი მეტაბოლიზმი აქვთ, ვიდრე მამაკაცებს, გასუქებისკენ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი და წონის დაკლებაც უფრო მეტად უჭირთ. აღსანიშნავია, რომ ქალები ხშირად იმატებენ წონაში ორსულობისას და მენოპაუზის პერიოდში. ასაკის მატებასთან ერთად კუნთოვანი ქსოვილის მასა მცირდება, ხოლო მეტაბოლიზმი ნელდება. ამიტომ არის, რომ ხანშიშესული ადამიანი ადვილად იმატებს, თუ მიღებული საკვების კალორაჟი არ შეამცირა.

სიმსუქნეს ხელს უწყობს ფიზიკური აქტიურობის სიმცირე. დადგენილია, რომ ჰიპოდინამია ორივე სქესის პირებში მჭიდროდ უკავშირდება ჭარბ წონას.

არ შეიძლება, ყურადღება არ გავამახვილოთ ფსიქოლოგიური ფაქტორების როლზე. დადგენილია, რომ მრავალ ადამიანს ემოციური სტრესის ფონზე მკვეთრად ეცვლება საკვების მიღების რეჟიმი. იმ პაციენტთა 30%-ს, რომლებიც ექიმს სიმსუქნის გამო მიმართავენ, სტრესის დროს უზომოდ ჭამის მოთხოვნილება უჩნდებათ. მნიშვნელოვანია ძილის დარღვევაც. დადგენილია, რომ, როცა ადამიანს ღამით 7 საათზე ნაკლები ძინავს, ორგანიზმში მადის გამაძლიერებელი ჰორმონების შემცველობა იცვლება. გარდა ამისა, **უძილობა მაღალკალორიული და ნახშირწყლებით მდიდარი საკვებისადმი ლტოლვას იწვევს.**

ზოგჯერ სიმსუქნის მიზეზი განსაზღვრული სახის მედიკამენტების მიღებაა. ასეთია ზოგიერთი ანტიდეპრესანტი, კრუნჩხვის საწი- ▶

# მიუხედავად იმისა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ ფაქტორს, სიმსუქნე ოჯახური დაავადება არ არის. სიმსუქნით დაავადებული მშობლების აყვანილი შვილები ისევე სუქდებიან, როგორც მათი ღვიძლი შვილები. ამ დროს მნიშვნელოვან როლს ოჯახის კვებითი ჩვევები ასრულებს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ნააღმდეგო ზოგიერთი პრეპარატი, დიაბეტისას გამოსაყენებელი საშუალებები, ზოგიერთი ჰორმონული პრეპარატი, მათ შორის — ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებები და პრედნიზოლონი, თუმცა თანამედროვე კონტრაცეპტივები ესტროგენების მცირე დოზას შეიცავს, რომლის წყალობითაც აღნიშნული ეფექტის რისკიც მცირდება.

**წონის მატება აღინიშნება არტერიული წნევის სამკურნალო ზოგიერთი საშუალებისა და ალერგიის საწინააღმდეგო ზოგიერთი პრეპარატის მიღებისას.**

სიმსუქნის ასაკსა და პროგრესირების სისწრაფეზე გავლენას ახდენს ეთნიკური ფაქტორიც. **დადგენილია, რომ აფროამერიკელი და ესპანელი ქალები წონაში უფრო ადრე იმატებენ, ვიდრე კავკასიელები და აზიელები, ესპანელ მამაკაცებს კი სიმსუქნე უფრო ადრე ეწყებათ, ვიდრე აფროამერიკელებსა და კავკასიელებს.** მოზრდილებში სიმსუქნის განვითარებაზე გავლენას ახდენს ბავშვობის წონაც. როცა ადამიანს 20 წლისთვის ჭარბი წონა აქვს, მოსალოდნელია, 35 წლისთვის გასუქდეს. განსაკუთრებით მაშინ, თუ მშობლებიც სიმსუქნეს უჩივიან. არის შემთხვევები, როცა სიმსუქნე ენდოკრინული დაავადების სიმპტომია. ასეთია ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითებით მიმდინარე დაავადებები, კუშინგის სინდრომი, საკვერცხის პოლიკისტოზი, თუმცა ამ დაავადებების დროს სიმსუქნესთან ერთად ყურადღებას სხვა სიმპტომებიც იპყრობს.

სიმსუქნე შეიძლება, ნებისმიერ ასაკში განვითარდეს, როგორც ნივთიერებათა ცვლის დარღვევით მიმდინარე ქრონიკული დაავადება; სიმსუქნის დროს მაღალია რეციდივების (განმეორებების) განვითარების რისკი.

ცენტრალური ნერვული სისტემა უშუალოდ და ჰიპოთალამუსის მეშვეობით მონაწილეობს საკვების მიღების კონტროლში. ბიოლოგიური ფაქტორი, რომელიც მისაღები საკვების რაოდენობას აკონტროლებს, მადაა. მადა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე (მხედველობა, ყნოსვა, საკვების რაოდენობა, ხარისხი, ტემპერატურა, სოციალური და კულტურული ფაქტორები, ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ა. შ.), რომლებიც ტვინში „შიმშილისა“ და „სიმაძღრის“ ცენტრებს აკონტროლებენ. სიმსუქნის გამომწვევი ყველა მიზეზი ერთ შედეგამდე მიდის — მიღებული ენერგია დახარჯულს აღემატება.

კვებით ქცევას ორი ფაქტორი განაპირობებს: შიმშილის განცდა, რომელიც ორგანიზმში საკვების განლევას უკავშირდება, და მადა, რომელიც გარემო ფაქტორების ზემოქმედებით აღიძვრება, იმისგან დამოუკიდებლად, შია თუ არა ადამიანს. ადამიანის კვებითი ქცევა ცხოველებისგან განსხვავებით უფრო მეტად მადაზეა დამოკიდებული, ვიდრე შიმშილის განცდაზე, რომელიც დღევანდელი საკვების ფონზე სიმსუქნის განვითარების მიზეზი ხდება.

**მიუხედავად იმისა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ ფაქტორს, სიმსუქნე ოჯახური დაავადება არ არის. სიმსუქნით დაავადებული მშობლების აყვანილი შვილები ისევე სუქდებიან, როგორც მათი ღვიძლი შვილები. ამ დროს მნიშვნელოვან როლს ოჯახის კვებითი ჩვევები ასრულებს.** მომავალ თაობაში სიმსუქნემ შეიძლება ისეთ ოჯახებში იჩინოს თავი, რომელთაც სიმსუქნის პრობლემა არ აქვთ; ეს 100-დან 30 შემთხვევაშია შესაძლებელი. იქ, სადაც ერთი მშობელია მსუქანი, ალბათობა 50 %-მდე იზრდება. ორივე მშობლის სიმსუქნის შემთხვევაში კი — 80 %-ია.

თანამედროვე კვების რაციონი გაჯერებულია რაფინირებული პროდუქტებით – შაქრით, ცხიმით. საკვების უმეტესობა მაღალკალორიულია. მაღალკალორიული საკვების რეგულარული მიღება კვებითი ქცევის დარღვევის უმარტივესი მოდელია. ამ დროს გარდაუვალია ორგანიზმში ცხიმის დაგროვება.

უმეტესად სიმსუქნის შედეგი ენდოკრინული დარღვევებია და სიმსუქნის ადეკვატური მკურნალობის შემთხვევაში თავისთავად სწორდება.

ცხიმოვანი ქსოვილი ერთგვარი ენდოკრინული ორგანოა, რომელიც სასქესო ჰორმონების ცვლაში მონაწილეობს. მისი უჯრედები დაახლოებით 14 სახის ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას გამოიმუშავებს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ლეპტინი. ლეპტინი თავის ტვინში, ჰიპოთალამუსში მდებარე შიმშილისა და მაძღრობის ცენტრებზე ზემოქმედებს და საკვების მიღების რაოდენობის ძირითადი განმსაზღვრელია.

თუ ორგანიზმში რაიმე მიზეზით სასქესო ჰორმონების ცვლა დაირღვევა, ირღვევა ცხიმოვანი უჯრედების მიერ ლეპტინისა და სხვა ნივთიერებათა ნორმალური სინთეზი, რაც საბოლოოდ ცხიმების ჭარბად დაგროვებისა და სიმსუქნის განვითარების მიზეზი ხდება. სწორედ ამიტომ ჰორმონული სიმსუქნე თითქმის ყოველთვის სასქესო ჰორმონთა დისბალანსს უკავშირდება.

ჭარბ წონასთან დაკავშირებული სქესობრივი განსხვავებაც სასქესო ჰორმონებით არის განპირობებული. ქალის სასქესო ჰორმონები, ესტროგენები, ცხიმოვანი ქსოვილის განვითარებას უწყობს ხელს, რაც ქალს 9 თვის განმავლობაში ნაყოფის მუცლით ტარებისა და შემდეგ მისი ძუძუთი კვების პირობას უქმნის.

მამაკაცთა სასქესო ჰორმონი ტესტოსტერონი კი ესტროგენების მოქმედების საპირისპირო თვისებებით ხასიათდება.

რამდენიმე წლის წინათ დადგინდა, რომ კუჭის ლორწოვანი გარსის უჯრედები გამოყოფს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას — ჰორმონს, რომელსაც ლეპტინის საწინააღმდეგო მოქმედება აქვს. იგი მადას კი არ თრგუნავს, არამედ აძლიერებს. ამ ჰორმონს გრელინს, მეორენაირად კი შიმშილის ჰორმონს უწოდებენ.

გრელინი მნიშვნელოვან დაცვით ფუნქციას ასრულებს: იგი ეწინააღმდეგება წონის დაკლებას ორგანიზმისთვის სახიფათო დონემდე. მისი რაოდენობა იზრდება საკვების მიღების წინ და მცირდება საკვების მიღების შემდეგ. იმ ადამიანებს, რომლებსაც ახასიათებთ ანორექსია, ანუ კვების დარღვევა



**ბოლოდროინდელი გამოკვლევების შედეგების თანახმად, ყოველი ზედმეტი კილოგრამი 1%-ით ზრდის კორონარული არტერიების დაავადებით სიკვდილის რისკს. იმ პაციენტებში, რომელთაც უკვე აქვთ გადატანილი სტენოკარდიის შეტევა, სიმსუქნე მისი განმეორების ალბათობას ზრდის**



(ამ დროს ადამიანი მიზანმიმართულად და ხანგრძლივად ცდილობს წონის დაკლებას), ჰორმონ გრელინის რაოდენობა სისხლის პლაზმაში უფრო მაღალი აქვთ.

**როგორც უკვე ითქვა, სიმსუქნე და ჭარბწონიანობა მხოლოდ ესთეტიკური პრობლემა არ არის, ამ დროს იზრდება რიგი ქრონიკული დაავადების განვითარების რისკი. პირველ რიგში ინსულინრეზისტენტობა უნდა დავასახელოთ.**

ინსულინი არის ჰორმონი, რომელიც აუცილებელია სისხლიდან გლუკოზის (შაქრის) კუნთებსა და ცხიმის უჯრედებში გადასატანად, სადაც ის ენერგიის წყაროდ იქცევა. ამასთანავე, უჯრედებში გლუკოზის ტრანსპორტირება სისხლში მისი ნორმალური დონის შენარჩუნებასაც ემსახურება. ინსულინრეზისტენტობა კი ის მდგომარეობაა, როდესაც უჯრედებში გლუკოზის ტრანსპორტირების თვალსაზრისით ინსულინის ეფექტიანობა ნაკლებია. ცხიმოვანი ქსოვილის უჯრედები ინსულინის მიმართ უფრო რეზისტენტულია, ვიდრე კუნთოვანი უჯრედები, ამის კვალობაზე, სიმსუქნე ინსულინრეზისტენტობას იწვევს. რა თქმა უნდა, ორგანიზმი ამაზე რეაგირებს — პანკრეასი უფრო მეტ ინსულინს წარმოქმნის და სისხლში გლუკოზის შემცველობაც ნორმალური რჩება. ასე გრძელდება, ვიდრე პანკრეასს ექნება ინსულინის საკმარისი რაოდენობის გამომუშავების უნარი. ასეთი ინსულინრეზისტენტული მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს სისხლში გლუკოზის ნორმალური და ინსულინის მაღალი შემცველობა, შესაძლოა, წლობით გაგრძელდეს, მაგრამ უსასრულოდ, რა თქმა უნდა, ვერა.

**დაიწყება სისხლში გლუკოზის შემცველობის მატება და განვითარდება — II ტიპის შაქრიანი დიაბეტი.** ამრიგად, ინსულინრეზისტენტობა პრედიაბეტური, ანუ დიაბეტისწინარე მდგომარეობაა. საყურადღებოა ისიც, რომ, თანამედროვე მონაცემების თანახმად, დიაბეტთან ასოცირებული ათეროსკლეროზი ჯერ კიდევ ინსულინრეზისტენტობის სტადიაზე იწყება. გარდა ამისა, დადგენილია, რომ II ტიპის შაქრიანი დიაბეტის რისკი სიმსუქნის ხარისხისა და ხანგრძლივობის პროპორციულად იზრდება. II ტიპის დიაბეტი ასოცირებულია ცენტრალურ სიმსუქნესთან, ანუ ცხიმის ჭარბ დაგროვებასთან წელის არეში, რომლის შედეგადაც სხეულის ფორმა ვაშლს ემსგავსება.

**მსუქანთა შორის ძალიან ხშირია არტერიული ჰიპერტენზია.** ამასთანავე, ცნობილია, რომ სხეულის მასის მატება არტერიული წნევის მატებას ქალებში უფრო მეტად იწვევს, ვიდრე მამაკაცებში. ცენტრალური, ვაშლის მსგავსი სიმსუქნის დროს მაღალი არტერიული წნევის რისკი უფრო მეტია, ვიდრე მსხლისებრი სიმსუქნის დროს, როდესაც ჭარბი ცხიმი თეძოებისა და ბარძაყების არეში გროვდება.

გარდა მაღალი არტერიული წნევისა, სიმსუქნის დროს ხშირია ჰიპერქოლესტერინემია, ინსულტი, გულის შეტევა. დადგენილია, რომ გულის კორონარული (გვირგვინოვანი) არტერიების ათეროსკლეროზული დაზიანების რისკი 3-4-ჯერ იზრდება, როდესაც ქალს სხეულის მასის ინდექსი 29-ზე მეტი აქვს.

**ბოლოდროინდელი გამოკვლევების შედეგების თანახმად, ყოველი ზედმეტი კილოგრამი 1%-ით ზრდის კორონარული არტერიების დაავადებით სიკვდილის რისკს. იმ პაციენტებში, რომელთაც უკვე აქვთ გადატანილი სტენოკარდიის შეტევა, სიმსუქნე მისი განმეორების ალბათობას ზრდის.**

სიმსუქნესთან ასოცირებული ჯანმრთელობის პრობლემები პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: უშუალოდ სხეულის დიდი მასის ზემოქმედებასთან დაკავშირებულ დაავადებებად და ისეთ დაავადებებად, რომლებიც ცხიმოვანი უჯრედების რაოდენობის ზრდით არის გამოწვეული. სხეულის დიდი მასა იწვევს ოსტეოართრიტს, ძილის აპნოეს; ჭარბი წონა პაციენტის სოციალური სტიგმატიზაციის მიზეზად იქცევა; ქალებს ხშირად უვითარდებათ დეპრესია; ცხიმოვანი უჯრედების გამრავლება განაპირობებს დიაბეტს, სიმსივნეს, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს, ცხიმოვანი ღვიძლის დაავადებას, ინსულინრეზისტენტობას, ქმნის ორგანიზმის განწყობას ანთებითი დაავადებებისა და თრომბოზისადმი; მსუქანთა შორის ხშირია გულის ქრონიკული უკმარისობა, ვენების გაგანიერება, ღრმა ვენების თრომბოზი და ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია, ნაღვლის ბუშტში კენჭების ფორმირება, გასტროეზოფაგური რეფლექსური დაავადება, პოდაგრა, მადეფორმირებელი ოსტეოართროზი, წელის ტკივილი.

სიმსუქნისას სახსართა პათოლოგია ერთგვარ მანკიერ წრეს ქმნის: მადეფორმირებელ ოსტეოართროზს მოჰყვება ტკივილი, რომლის გამოც პაციენტი მოძრაობის შეზღუდვას ცდილობს, ეს კი ხელს უწყობს წონის მატებას. დადგენილია, რომ სიმსუქნისას მომატებულია სიმსივნის განვითარების რისკი. გამოკვლევათა შედეგების თანახმად, სიმსუქნე ასოცირებულია მსხვილი ნაწლავის სიმსივნესთან ორივე სქესის პირებში, სწორი ნაწლავისა და პროსტატის, ანუ წინამდებარე ჯირკვლის სიმსივნესთან მამაკაცებში, ნაღვლის ბუშტისა და საშვილოსნოს კიბოსთან ქალებში.

**გარდა ამისა, მსუქან ქალებს პოსტმენოპაუზურ პერიოდში ხშირად უვითარდებათ სარძევე ჯირკვლის სიმსივნე, რადგან ცხიმი მნიშვნელოვანია ესტროგენის პროდუქციისთვის, ხოლო ორგანიზმზე ესტროგენების გახანგრძლივებული ზემოქმედება ზრდის ძუძუს კიბოს განვითარების რისკს.**

სიმსუქნისას მომატებულია პრაქტიკულად ნებისმიერი ორგანოს (საკვერცხე, საყლაპავი, ღვიძლი, პანკრეასი, თირკმელი, სისხლის სისტემა) სიმსივნის აღმოცენების ალბათობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩამონათვალი ვრცელია, ის ჯერ კიდევ არ მოიცავს სიმსუქნით პროვოცირებულ ყველა პათოლოგიას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სიმსუქნე პრაქტიკულად ყველა ორგანოსა და სისტემის დაავადებებთან ასოცირდება. **მსუქნები ხშირად უჩივიან დერმატოლოგიურ პრობლემებს — ცელულიტს, ჭარბთმიანობას, გამოყელვას ანუ ინტერტრიგოს, ლიმფის მიმოქცევით გამოწვეულ შეშუპებას, შავ აკანთოზს (კანის ჰიპერპიგმენტაცია), სტრიებს.**

გარდა ინსულტისა, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ, სიმსუქნისას ვითარდება ნერვული სისტემის ისეთი დაავადებები, როგორიც არის შაკიკი, დემენცია, ქალასშიგა წნევის იდიოპათიური (დაუდგენელი მიზეზით აღმოცენებული) მატება, გაფანტული სკლეროზი, კარპული არხის სინდრომი (მტევნის ნერვზე ზეწოლა), რაც მტევნის არეში პარესთეზიასა და ტკივილს იწვევს. ხშირია პარესთეზია ბარძაყის არეში. მსუქან ქალებს ხშირად აღენიშნებათ მენსტრუალური ციკლის დარღვევა, უნაყოფობა, რთული ორსულობა, მამაკაცებში ხშირია ერექციული დისფუნქცია, ჰიპოგონადიზმი, შარდის შეუკავებლობა.

ბოლო ხანს მედიცინაში ცნობილი გახდა მოვლენა, რომელსაც სიმსუქნის პარადოქსს უწოდებენ: მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობაზე სიმსუქნის გავლენა აშკარად უარყოფითია, განსაზღვრულ დაავადებათა პროგნოზი უფრო უკეთესია სხეულის მასის მაღალი ინდექსის დროს. ეს ცნობილი გახდა 1999 წელს, როცა შეამჩნიეს, რომ ჰემოდიალიზზე მყოფ ჭარბი წონის მქონე და მსუქან პაციენტებს უკეთესი პროგნოზი ჰქონდათ.

შემდგომ იგივე კანონზომიერება გამოვლინდა გულის უკმარისობისა და პერიფერიული არტერიების დაავადების შემთხვევაშიც. იმ პაციენტებში, რომელთაც სხეულის მასის ინდექსი 30-სა და 34,9-ს შორის მერყეობს, გულის უკმარისობისას სიკვდილიანობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ნორმალური მასის პაციენტებში. მედიკოსები ამ მოვლენას ამგვარად ხსნიან: როგორც ჩანს, პაციენტები წონას კარგავენ დაავადების პროგრესირებისა და ზოგადი მდგომარეობის გაუარესებისას. იგივე კანონზომიერება ახასიათებს გულის სხვა დაავადებებსაც I ხარისხის სიმსუქნის შემთხვევაში, უფრო მაღალი ხარისხის სიმსუქნისას კი პროგნოზი უარესდება.

ვინაიდან ჭარბწონიანობა და სიმსუქნე ესოდენ ვერაგი მტერია კაცობრიობისთვის, ცხადია, კაცობრიობა მასთან ბრძოლის ეფექტური მეთოდების გამოსანახად ძალ-ღონეს არ იშურებს. თუმცა, ეს ცალკე საუბრის თემაა.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქალს ანონიმური დონორი შეუყვარდა

**რამდენიმე წლის წინათ ამინა ჰართმა მემკვიდრეობითი დაავადების გამო ორი მცირეწლოვანი შვილი დაკარგა.** 42 წლისთვის მას არც შვილები და არც შეყვარებული ჰყავდა, ამიტომ გადაწყვიტა, ხელოვნური განაყოფიერების გზით გამხდარიყო დედა. სწორედ ასე მოევლინა სამყაროს მისი ცისფერთვალება ქალიშვილი ლეილა. რამდენიმე თვის შემდეგ ჰართი სპერმის დონორის ვინაობით დაინტერესდა. მას სურდა, გაეგო, რითაა დაკავებული და სად ცხოვრობს ბავშვის ბიოლოგიური მამა. თავდაპირველად ლეილას დედამ დონორი ინტერნეტით იპოვა, როდესაც ხელთ არსებული მონაცემებით დაიწყო მამაკაცის ძიება. იმ დროისთვის ფერმერ ანდერსენს პარტნიორი ჰყავდა, თუმცა მალევე მიატოვა რჩეული და ამინასთან გააბა რომანი.





# სანტა კლაუსი გარდაიცვალა

**დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბერჯეს ჰილში, რომელიც სასექსის საგრაფოში მდებარეობს, გარდაიცვალა ჯონ მური — მსოფლიოში ყველაზე ცნობილი სანტა, რომელმაც კომპანია „კოკა-კოლას“ უამრავ საშობაო რგოლში მიიღო მონაწილეობა.** მური 86 წლის ასაკში ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა. როგორც ცნობილია, იგი არ იყო პროფესიონალი მსახიობი. გადაღებებისგან თავისუფალ დროს ტაქსისტად და ბარმენად მუშაობდა, შობის დღეებში კი თავის ცნობილ წითელ კოსტიუმს იცვამდა და საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობდა.



# როგორი იქნება მომავლის თვითმფრინავები

**კომპანია Centre for Process Innovation გვთავაზობს, უარი ვთქვათ თვითმფრინავების ილუმინატორებზე და საჰაერო ტრანსპორტში არსებული მთელი სივრცე — იატაკიდან ჭერამდე — იმ ეკრანებით აღვჭურვოთ, რომლებიც თვითმფრინავის მიღმა არსებულ სურათს ასახავენ.** შემოთავაზების მიზანს კომერციული თვითმფრინავების ფიუზელაჟის წონის შემცირება წარმოადგენს, რაც გავლენას მოახდენს როგორც საწვავის გამოყენების მოცულობაზე, ასევე ფასზე და ტრანსპორტის მიერ მავნე ნივთიერებების გამოყოფაზე.

კომპანია CPI-ის შეფასებით, მათი იდეის კომერციულ რეალიზებას დაახლოებით 10 წელიწადი დასჭირდება.







# ბორდელი, რომელშიც უცხოპლანეტელები მუშაობენ

**ნევადაში, სადაც ამერიკის საჯარისო ბაზა მდებარეობს და სადაც, სავარაუდოდ, უცხოპლანეტელების ყველაზე დიდი აქტივობაა დაფიქსირებული, ახალი ბიზნესი გაიხსნა. გალაქტიკური ბორდელი ყველა სამეცნიერო ფანტასტიკის მოყვარულის (და არა მხოლოდ მათი) ოცნების ადგილია. ოთახები გაფორმებულია ცნობილი ფანტასტიკური ფილმებისა და სერიალების დეკორაციებით.**

კონკრეტული ფასის გადახდის შემთხვევაში, ნებისმიერ მსურველს შეეძლება, ღამე გაატაროს ოქროსფერ ბიკინში გამოწყობილ პრინცესა ლეასთან. ბორდელი კლიენტებს სთავაზობს თემატურ კოსტიუმებს; მაგალითად, კლიენტს შეეძლება, დართ ვეიდერის ფორმა ჩაიცვას და, თუ ლეა არ მოსწონს, სექსმუშაკს სტორმტრუპერის ფორმაში გამოწყობა მოსთხოვოს.

ტერიტორიაზე, რომელიც ისედაც წააგავს პლანეტა ტატუინს „ვარსკვლავური ომებიდან“, მალე კლიენტების მოზღვავებას წინასწარმეტყველებს ბიზნესმენი და იდეის ავტორი დენის ჰოფი. უახლოეს მომავალში ის კაპიტან კირკის ოთახის შექმნასაც გეგმავს, რომელიც ხომალდ „ენტერპრაიზის“ მიხედვით იქნება კონსტრუირებული, სატელევიზიო შოუდან „სტარ ტრეკი“.

ბორდელში, აგრეთვე, არიან სექსუალური, ლურჯი უცხოპლანეტელი ქალები ფილმიდან „ავატარი“. ჰოფი აცხადებს, რომ კიდევ მრავალი რასა და ადგილი დაემატება ცნობილი ფანტასტიკური ფილმებიდან.

# 70 წელი საჭმლისა და წყლის გარეშე

**82 წლის ინდოელმა იოგით გატაცებულმა პრაჰლად ჯანიმ ცხოვრების უმეტესი ნაწილი ცარიელი მუცლით გაატარა. იგი ამტკიცებს, რომ ენერგიას კოსმოსიდან იღებს.**

თავიდან მედიკოსებს თაღლითი ეგონათ, მაგრამ გამოკვლევის შემდეგ აზრი შეიცვალეს. უნიკალური იოგი საავადმყოფოში გამოკhვლევებისთვის დააწვინეს. შედეგებმა მეცნიერები შოკში ჩააგდო და ახლა ისინი ცდილობენ, დაადგინონ, სხვა ადამიანებსაც შეუძლიათ თუ არა საკვებისა და წყლის გარეშე ცხოვრება.

ჯანი ამბობს, რომ, 70 წელია, წყლისა და საჭმლის გარეშე ცხოვრობს. მისი თქმით, რვა წლისას ინდოელი ქალღმერთი გამოეცხადა. მას ბავშვი შეეცოდა და ეს არაჩვეულებრივი უნარი უბოძა. მას შემდეგ ყველაფერი, რაც სიცოცხლისთვის სჭირდება, არის ორი წვეთი ნექტარი, რომელსაც, მისი თქმით, ქალღმერთი უგზავნის. მეცნიერები ამ ფაქტზე კომენტარს არ აკეთებენ.

იოგი იზოლაციაში ერთი კვირის მანძილზე იყო და მას მუდმივად აკვირდებოდნენ კამერებით. მთელი კვირა მამაკაცს არ უჭამია და არ დაულევია. ყოველ დღე ექიმი აკვირდებოდა, რომ სისუსტის ნიშნები აღმოეჩინა, მაგრამ უშედეგოდ. მათ აღმოაჩინეს, რომ იოგის ტვინის უჯრედები 25 წლის ადამიანის უჯრედების მდგომარეობაშია, სხეული კი ახალგაზრდა და ჯანმრთელია.

ექიმები ამბობენ, რომ ეს ბიოლოგიური სასწაულია. ჯანის 35 ექიმი იკვლევს. ისინი ამბობენ, რომ იოგამ საკუთარ სხეულში ბიოლოგიური ცვლილებები გამოიწვია. ექიმებს იმედი აქვთ, რომ ეს შემთხვევა მათ ექსტრემალურ პირობებში გადარჩენის საშუალებას აპოვნინებს. უნიკალურ პაციენტზე დაკვირვება კიდევ გაგრძელდება.



ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



### ჯეიდენ სმიტი

**იგი უილ და ჯადა პინკეტ სმიტების შვილია. მან პირადად გამოიმუშავა 5 მილიონი დოლარი ფილმში „კარატისტი ბიჭუნა“, რომელშიც ჯეკი ჩანთან ერთად თამაშობდა.** მამასთან ერთადაც არაერთ ფილმში უთამაშია. კინოში გადაღებების გარდა, რეპითა და საცეკვაო გამოსhვლებითაც საკმაო ფულს შოულობს და მისი ქონება უკვე 8 მილიონი დოლარია.

# ყველაზე მდიდარი ბავშვები

ეს პატარები მცირეწლოვანნი არიან, თუმცა მათ საბანკო ანგარიშზე უკვე მრავალმილიონიანი ქონებაა.



### პრინცი გეორგ ალექსანდრ ლუისი

**პრინცი 1 წლისაა და თეორიულად 1 მილიარდი დოლარის მფლობელია.** ის ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრეთა შორის რიგით მესამეა და გაცილებით მეტის მიღება შეუძლია გვირგვინთან ერთად, ვიდრე, უბრალოდ, ძალაუფლებაა. ტიტულთან ერთად გეორგს ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის აქტივები გადაეცემა და ეს მხოლოდ მამის — პრინცი უილიამის მხრიდან. მთავარი მონარქიც რომ არ გახდეს, გეორგი ყოველ წელს მიიღებს 400 მილიონ გირვანქა სტერლინგს სახელმწიფო ხაზინიდან.



### რიკო როდრიგესი

**მას ჯერ არ დაუმთავრებია სკოლა, თუმცა უკვე 4 მილიონი დოლარის ქონება დააგროვა.** ნორჩ კომიკოსს ერთადერთმა როლმა მოუტანა პოპულარობა სერიალში „თანამედროვე ოჯახი“.

### იზაბელა ბარეტი

**7 წლის იზაბელა 2 მილიონი დოლარის მფლობელია.** ეს საბავშვო კონკურსების დამსახურებაა, სადაც 3-4 წლის ასაკიდან მონაწილეობს მშობლების დიდი მონდომებით. იზაბელი შოუების ხშირი სტუმარია, საბავშვო კოსმეტიკას უკეთებს რეკლამას და დიდ ფულს შოულობს. გოგონას ათიათასდოლარიანი კაბები აცვია, რამდენიმე ათას დოლარს ხარჯავს ვახშამზე ლობსტერებით და ყოველდღე ასობით დოლარი იხარჯება ხელოვნურ რუჯზე, მისამაგრებელ წამწამებსა და ფრჩხილებზე. ყველაზე მეტად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უყვარს — მის კოლექციაში 60 წყვილი ფეხსაცმელია. ძირითადი შემოსავალი მისთვის მოაქვს მარკას Glitzy Girl, რომელიც მისი და მისი მშობლების საკუთრებაა და ძირითადად ტუჩის საცხებსა და გლამურულ სამაჯურებს უშვებს.



### სური კრუზი

**სური კრუზი 8 წლისაა და მისი ქონება 270 მილიონ დოლარად არის შეფასებული.** მის ტანსაცმელში მშობლები საარაკო თანხებს იხდიან, ზოგიერთი ნივთი კი განსაკუთრებით ფასეულია — მაგალითად, „დოლჩე და გაბანას“ ლაბადა, რომელიც 2140 დოლარი ღირს, მარკ ჯეკობსის, ქლოეს, ბარბერის კაბების კოლექცია. ერთ შობას კეტი ჰოლმსმა მისი და ტომ კრუზის ამ ნებიერა ქალიშვილს 24 ათას დოლარად ღირებული სათამაშო სახლი უყიდა საკუთარი გათბობით, წყალგაყვანილობითა და ელექტროენერგიით.



### პრინცი მულაი ელ ჰასანი

პრინცი 11 წლისაა და მისი ქონება 2,5 მილიარდი დოლარია. იგი მაროკოს მეფის — მოჰამედ V-ს ვაჟია. სწორედ ის გახდება მომავალში ამ ქვეყნის მეფე. ტრადიციის თანახმად, მალე ეს 2,5 მილიარდი დოლარი მის მფლობელობაში გადავა და თვითონ შეეძლება მისი განკარგვა.





### ვალენტინა პალომა პინო

**სელმა ჰაიეკისა და მილიარდერ ფრანსუა არნოს 7 წლის ქალიშვილი ვალენტინა პალომა პინო 12 მილიონი დოლარის მფლობელია.** არაერთხელ გამოჩენილა დედასთან ერთად წითელ ხალიჩაზე, სამი წლიდან ლაპარაკობს სამ ენაზე და არდადეგებს მილიონერების კუნძულ სენ-ბარტზე ატარებს. ვალენტინას სახელზეა ჩაწერილი ლოს-ანჯელესში მდებარე 12-მილიონიანი ვილა, რომლის შენახვაშიც მამამისი თვეში 50 ათას დოლარს იხდის. თუმცა მამისთვის, რომლის ქონებაც 16,2 მილიარდი დოლარია, ეს დიდი არაფერია.



### ჯორდან კეისი

**ირლანდიელი ჯორდან კეისი 13 წლისაა და ნამდვილი კომპიუტერული გენიოსია.** ათი წლისამ იყიდა სასწავლო წიგნი, ერთ წელიწადში კი თვითონ აპროგრამებდა თამაშებს სამ ენაზე. მშობლები ღელავდნენ, რომ შვილი მთელ დღეს კომპიუტერთან ატარებდა და თამაშობდა, ის კი თურმე სერიოზულად ქმნიდა რაღაცას. დღეს ერთ-ერთი ყველაზე ნორჩი პროგრამისტია და სოლიდურ ფულსაც შოულობს.



### დენილინ ჰოუპ ბირკჰედ-მარშალი

**იგი ჯერ მხოლოდ 8 წლისაა და 59 მილიონი დოლარის მფლობელია.** ეს ის შემთხვევაა, როცა ცნობილი ოჯახის შვილობა სულაც არ ჰგავს ზღაპარს. რამდენიმე თვეში გოგონამ ძმაც დაკარგა და დედაც (ცნობილი მოდელი ანა-ნიკოლ სმიტი) ორივე ტრაგიკულად დაიღუპა. მის ბიოლოგიურ მამას ლარი ბიკჰედს კი სასამართლოთი მოუწია თავისი მამობის დამტკიცება. 6 წლის ასაკში დენილინს ერგო მემკვიდრეობით დედის სახლი და 10 მილიონი დოლარი, რომლებიც დედამისმა სამოდელო კარიერით დააგროვა.




# შეტაკება ფერგიუსონში



**მისურის შტატის ქალაქ ფერგიუსონში (აშშ) სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის შეტაკება მოხდა იმ მიზეზი, რომ ნაფიცმა მსაჯულებმა სასჯელი არ დააკისრეს პოლიციელს, რომელმაც აგვისტოში 18 წლის მაიკლ ბრაუნი მოკლა.**

24 ნოემბერს, ღამით, ფერგიუსონში სროლის ხმა ისმოდა, ცეცხლი წაუკიდეს მანქანებს. პოლიციამ საპროტესტო აქციის მონაწილეთა დასაშლელად ცრემლმდენი გაზი გამოიყენა.

ფერგიუსონში მიმდინარე მოვლენებს გამოეხმაურა აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელმაც მოსახლეობას ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილების მშვიდობიანად გაპროტესტებისკენ, პოლიციას კი თავშეკავებისკენ მოუწოდა.

აგვისტოში 18 წლის აფროამერიკელ მაიკლ ბრაუნს პოლიციის ოფიცერმა დარენ უილსონმა 12-ჯერ ესროლა.

# რეჯეპ ტაიპ ერდოღანი: ქალისა და მამაკაცის თანასწორობა ბუნებას ეწინააღმდეგება



**ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა ბუნებას ეწინააღმდეგება. ქალისა და მამაკაცის ცხოვრების სტილი ისევე განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც მათი აღნაგობა, — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილ სამიტზე სტამბოლში.**

„ორსული ქალი იმავე პირობებში ვერ იმუშავებს, როგორშიც მამაკაცი. მეძუძური დედა მამაკაცის თანასწორი ვერ იქნება. ქალს ვერ აიძულებთ იმის გაკეთებას, რასაც მამაკაცი აკეთებს, როგორც ეს კომუნისტური რეჟიმის პერიოდში იყო. ჩვენმა რელიგიამ განსაზღვრა ქალის დანიშნულება — ის დედა უნდა გახდეს. ამას ვერ ავუხსნით ფემინისტებს, რადგან ისინი უარყოფენ დედობის იდეას“, — აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა სამიტზე, რომელსაც მისი ქალიშვილიც ესწრებოდა.

„ქალებს არ სჭირდებათ თანასწორობა, მათ სჭირდებათ, მამაკაცის თანაბრად სცენ პატივი“, — აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

# ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით იწყებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას — „არა ძალადობას!“**

კამპანიის ფარგლებში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიების მეშვეობით მოხდება საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს კანონი იცავს, ხოლო მოძალადეები კანონით ისჯებიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართული კამპანიის პრეზენტაციას დაესწრნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, მისი მოადგილე ლევან იზორია, სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი პირები, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, პარლამენტის წევრები, აშშ-ის ელჩის მოადგილე ნიკოლას ბერლინერი, INL-ის უფროსი ტრეისი ნიუველი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა კამპანიის ფარგლებში მომზადებული საინფორმაციო ვიდეორგოლის ჩვენება, რომელიც სამი კვირის განმავლობაში სატელევიზიო ეთერში განთავსდება. რგოლის მიზანია მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე: 112 ან მიმართონ უბნის ინსპექტორს, მოძალადეებმა კი მიიღონ გაფრთხილება, რომ ოჯახში ძალადობა თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

კამპანიაში საზოგადოების ჩართულობის ამაღლების მიზნით, ოჯახში ძალადობის თემაზე ჟურნალისტებისთვის გამოცხადდება კონკურსები — საუკეთესო ჟურნალისტურ ნამუშევარზე და მოქალაქეებისთვის — საუკეთესო სლოგანზე, ლოგოსა და ფოტოსურათზე. კონკურსებში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებითა და საჩუქრებით შსს-სა და გაეროს ქალთა ორგანიზაცია UN WOMAN-ისგან.

აღნიშნულ თემას მიეძღვნება თოქშოუები და რადიოგადაცემები, დაგეგმილია ქუჩის სხვადასხვა აქცია და აქტივობები სოციალურ ქსელში.




# აშშ-ის თავდაცვის მინისტრი თანამდებობიდან გადადგა



**ამერიკის თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი თანამდებობიდან გადადგა. პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გადადგომის შესახებ განცხადება უკვე დააკმაყოფილა. ჩაკ ჰეიგელი მოვალეობას მანამდე შეასრულებს, ვიდრე მისი შემცვლელი არ დასახელდება.**

„ჰეიგელის გადადგომა პირველი დანაკარგია ობამას ადმინისტრაციისთვის სენატში დემოკრატების მიერ უმრავლესობის დაკარგვის შემდეგ“, — წერს „ნიუ იორკ თაიმსი“. ჰეიგელი თანამდებობას იმის გამო ტოვებს, რომ მას არ მიიჩნევენ იმ ფიგურად, რომელმაც შეიძლება, ამერიკის თავდაცვის უწყებას უხელმძღვანელოს იმ საფრთხის პირობებში, რომელსაც „ისლამური სახელმწიფო“ წარმოადგენს. ჩაკ ჰეიგელს აკრიტიკებდნენ იმის გამოც, როგორ ხორციელდებოდა ამერიკული ჯარის გამოყვანა ავლანეთიდან, აგრეთვე, სამხედრო ბიუჯეტის შემცირებისთვის. მის შესაძლო შემცვლელებად სახელდებიან მიშელ ფლურნოი, რომელიც მინისტრის მოადგილეა პოლიტიკურ საკითხებში, დემოკრატი სენატორი როდ-აილენდის შტატიდან ჯეკ რიდი და თავდაცვის მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-913-765; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

## სიმაღლეში სწრაფი ზრდა

2-დან 25 წლამდე სიმაღლის 3-5 სმ მომატებით, ვიტამინებისა და ამინომჟავების კომპლექსით: ვარჯიშები, ზრდის ზონების გააქტიურებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს.

გახდომა-გასუქება — თვეში 5-15 კგ. დიეტის და ვარჯიშების გარეშე, ცხიმების აქტიური წვა, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება. მიღებული შედეგის შენარჩუნება. ასევე ძვალ სახსართა პათოლოგიების, კოქსართროზების, ოსტეოქონდროზის, ოსტეპოროზის და ა.შ. მკურნალობა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა. მკურნალობა ტარდება ნაოპერაციევ-საოპერაციო სახსრებზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ. 558-15-63-33;**
**218-46-08 ექიმი ნინო**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

## მკურნალობა მამაკაცებისთვის

პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.

მკურნალობა — ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.

**ტელ. 558-15-63-87;**
**218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**
**მის.: აღმაშენებლის №154 «მწვანე ოფისი»**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894